

ალისა დელტუზო

ოჯახური
ქალაქობა
დამწყებთათვის



This edition was published with the support of the Open Society Institute (Center for Publishing Development and the Network Women's Program)

წიგნი გამოიცა ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით (საგამომცემლო განვითარების ცენტრი და ქალთა პროგრამების ქსელი)

მთარგმნელები

ლიკა ნადარაია
ნანა ბერეკაშვილი

რედაქტორი

ზეინაბ სარაძე

გარეკანი და ილუსტრაციები ნატა ბაბუნაშვილი

დიზაინი და დეკადადონება გიორგი ბაგრატიონი

© ილუსტრირებული ქართული გამოცემა, გამომცემლობა „დიოგენე“, 2000

ISBN 999928-59-49-0

პირველი ქართული გამოცემა 2000

ყველა უფლება დაცულია

გამომცემლობა „დიოგენე“

თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 150ა,

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, VIII სართული

ტელეფონი/ფაქსი 96 79 71, ელფოსტა diogene@ip.osgf.ge

სააბონენტო ყუთი 68, 380079

ს ა რ ჩ ე ვ ი

მკითხველს	6
ოჯახური ძალადობა	8
ცოტაოდენი სტატისტიკა	10
უნივერსალური მსხვერპლი	12
ოჯახი	14
კანონები და ღირებულებები	16
რელიგია	18
ებრაული ბიბლია	19
უსახელო ხარჭა	20
კუდიანები	22
ანტისემიტიზმი, ქალები და კუდიანები	24
წმინდანები	27
ინგლისის ზოგადი სამართალი	30
კერძო საკუთრება	32
მონობა და ქორწინების საფუძვლები	33
ოჯახური ძალადობა თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში	36
აი, რა ხდება, როდესაც მიატოვებენ ხოლმე	40
ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი?	41
ძალადობა ბავშვებზე	42
ბავშვთა დახმარების სისტემის საფუძვლები	45
ვინ შედის ბავშვთა დახმარების სისტემაში?	48

ძალადობა ხანდაზმულებზე	50
ძალადობა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში	51
თანამედროვე ფსიქოლოგია	54
ფროიდი და ფსიქონალიზის საფუძვლები	55
ცდუნების თეორია ვენის რესპექტაბელური საზოგადოების წინააღმდეგ	57
ცდუნების თეორია	59
რატომ ძალადობს მამაკაცი ქალზე	62
რატომ რჩება მამაკაცი იმ ქალთან?	65
მაგრამ მე ხომ განსაკუთრებული ვარ	67
როგორ გავხდე მოძალადე	68
თერაპია მოძალადეებისათვის	71
ოჯახური თერაპია	74
სიბრაზის მართვა/სტრესის დაქვეითება	76
ქალური მამოხიზმი	78
ხელყოფილ ქალთა სინდრომი – ნასწავლი უმწეობა	79
ძალადობის თაობათაშორისი ციკლი	83
სტოკჰოლმის სინდრომი	85
ქალების დაცვა ხელყოფისაგან	89
ყალბი მეხსიერების სინდრომი	92
პოსტტრავმული სტრესის სინდრომი	94
გვაქვს აქ პრობლემა თუ არა?	97
ქალი და ეკონომიკური დაქვემდებარება	98
ქალთა ადრეული მოძრაობა	100

სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობა	103
ქალთა თანამედროვე მოძრაობა	106
რა შეიძლება ვისწავლოთ ისტორიიდან	107
ძალადობის მსხვერპლი ქალების მოძრაობა	109
უსაფრთხო სახლები, თავშესაფრები და სხვა დახმარება	112
რას ვაკეთებთ ამისათვის?	118
პოლიცია	120
სასამართლოები	123
ბავშვების დაცვა	125
ჯოელ სტიინბერგის ისტორია	126
რელიგიური ორგანიზაციები	130
კონსულტაცია — თერაპია	131
ხელყოფილი ქალები მიდიან საავადმყოფოში	132
დასკვნა	134
დამატება წიგნის ბოლოს	138
ძალადობრივ ქცევათა სია	140
მიმართეთ შემდეგ სამსახურებსა და ორგანიზაციებს	144
ქართულ ენაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ	148

მკითხველს

უკვე თხუთმეტი წელია, ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მათ ბავშვებთან ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გავაკეთე, რომ მათ ცხოვრებაში ძალადობა შემწყდარიყო.

თავიდან ქალთა ორგანიზაციაში ვმუშაობდი მრჩევლად კრიზისულ საკითხებში; შემდეგ ქალზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამაში ემონანილეობდი ნიუ-იორკის საავადმყოფოში; ნიუ ჯერსიში ხელყოფილი ქალების პროგრამას ვუძღვებოდი, შემდეგ დავბრუნდი ნიუ-იორკში და დავაარსე საოჯახო თავშესაფარი. ჩემს წამონწყებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

ჯერ ერთი, მთელ ნიუ-იორკში ფაქტიურად არ არსებობდა სპეციალური სამსახური მომუშავე ქალებისათვის. თავშესაფარს ან შესაბამის მომსახურებაზე უფლება მხოლოდ სახელმწიფო შემწეობაზე მყოფებს ჰქონდათ: ახალი თავშესაფრით ყველა ქალს (შემოსავლის მიუხედავად) შეეძლო ესარგებლა.

მეორე მიზეზი ის იყო, რომ ნიუ-იორკში ხელყოფილ ქალს რაიმე დახმარება რომ მიეღო, ჯერ თავშესაფარში უნდა მოხვედრილიყო.

თავშესაფარში შეგეძლოთ გეცხოვრათ, მიგელოთ კონსულტაცია ან იურიდიული რჩევა, შეგეძლოთ მხარდამჭერ ჯგუფებში მონაწილეობა, ბავშვთა სპეციალური სამსახურებით სარგებლობა და საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა. ჩვენი თავშესაფარი ნიუ-იორკში ძალადობის მსხვერპლი ქალების ყველაზე ცნობილ და დიდ პროგრამად იქცა.

1991 წელს დავტოვე თავშესაფარი, რათა დამეწყო პროექტი ხელყოფილ დედებთან ზეპირი თხრობის მეთოდით. წლების მანძილზე ვისმენდი ქალების მონაყოლს იმის შესახებ, თუ როგორ

აგრძელებდნენ ისინი ცხოვრებას მოძალადესთან ბავშვების გულისათვის, მაგრამ შემდეგ როგორ გარბოდნენ იმავე ბავშვების გამო. ზეპირი თხრობის პროექტი მცდელობა იყო გაეგო, რა ედო საფუძვლად ასეთ ცვლილებას.

როდესაც უფრო ღრმად შევისწავლე ბავშვსა და ქალზე ძალადობას შორის კავშირის საკითხი, ნიუ-იორკის ოჯახური ძალადობის პრობლემაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს. ჩვენი ანგარიში სახელწოდებით – „დახურულ კარს მიღმა“ – ოჯახურ ძალადობაზე მომუშავე სხვა ორგანიზაციებისთვისაც მოქმედების გეგმად იქცა.

ამჟამად ვუძღვები ოჯახური ძალადობის პროექტს უსახლკაროთა სამართლებრივ ქმედებათა ცენტრში და ვცდილობ შეძლებისდაგვარად განვახორციელო ანგარიშში მოცემული ყველა რეკომენდაცია.

ამ წლების მანძილზე ათასობით ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალსა და ბავშვს შევხვდი. თუმცა მათი მდგომარეობა მძიმე ან უკიდურესად ტრაგიკული იყო, მათ აღმოაჩნდათ გასაოცარი ძალა და გამბედაობა, ძალადობას წინ აღსდგომოდნენ და მისგან თავი დაეღწიათ.

ვიმედოვნებ, რომ ეს წიგნი დაეხმარება ადამიანებს, დაინახონ ძალადობის დამანგრეველი ბუნება შინ თუ გარეთ, ხოლო თუ ძალადობას მათ ცხოვრებაშიც აქვს ადგილი, მოახერხებენ მისგან გათავისუფლებას.

თუ დახმარება გჭირდებათ, ნუთსაც ნულარ-მოიცდით. გადაშალეთ წიგნი 144-ე გვერდზე, ნახეთ ტელეფონების სია და დარეკეთ ერთ-ერთ მათგანზე დაუყოვნებლივ.

ალისა დელტუფო

ოჯახური ძალადობა

... თითქოს სრულიად შეუთავსებელი ცნებებია. მაგალითად, ნაზი სამხედრო ან ბუმბერაზი ცეროდენა. ოჯახური, ჩვეულებრივ, რაღაც საყვარელს, თვინიერს, სადას გვაგონებს, როგორიცაა, ვთქვათ, შინაური ცხოველები, შინაური ღვინო, ოჯახური სიმყუდროვე. ოჯახური ძალადობა კი სწორედ ამის საწინააღმდეგოა.

რატომღა იგი ოჯახური? როგორც წესი, ის ხდება შინ, ოჯახში. მას სწადიან შინაურები, ოჯახის წევრები.

რაში მდგომარეობს ეს ძალადობა?

1967-1973 წლებში მოძალადე მამაკაცების მიერ მოკლული იყო 17 500 ამერიკელი ქალი და ბავშვი.

ამშ-ში მოკლულ ქალთა სამოცი პროცენტი მოკლულია საკუთარი ქმრის ან მეგობარი მამაკაცის მიერ.

ქალი ცხრაჯერ უფრო ხშირად ხდება ძალადობის მსხვერპლი საკუთარ სახლში, ვიდრე გარეთ.

შედით ნებისმიერი საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში და ნახეთ, ვინ შემოჰყავთ. დააკვირდით ყურადღებით ჭრილობებს, სისხლჩაქცევებს, გატეხილ ძელებს, თვითმკვლელობის მცდელობებს, დარტყმულ ან ცეცხლნასროლი იარაღებს, რომლებიც მიყენებულია ერთმანეთის "მოყვარული" ადამიანების მიერ. მშობელი, რომელიც ძალადობს ბავშვზე, ქმარი, რომელიც ძალადობს ცოლზე, მამაკაცი, რომელიც ძალადობს მეგობარ ქალზე, ბავშვი, რომელიც ძალადობს ხანშიშესულ მშობელზე, ჰომოსექსუალი, რომელიც ძალადობს პარტნიორზე — ეს ძალადობის სხვადასხვა ვერსიაა.

თუმცა ეს წიგნი მსუბუქად და ზოგან იუმორითაა კია დაწერილი, მისი საგანი სულაა არ არის ასეთი. ისე ღიღია ჩვენი სურვილი, ხმა მოგაწვდინოთ, რომ ყველა ხერხს მიემართათ – მათ შორის იუმორსაც – ოღონდ თქვენი “სიყრუე” გავარღვიოთ.

შეიძლება ფიქრობდეთ, რომ არასოდეს გახდებით ძალადობის მსხვერპლი ან მოძალადე. ვიმედოვნებ, რომ არ ცდებით — მაგრამ ვინ იცის.

ძალადობრივი ურთიერთობები ზუსტად ისევე იწყება, როგორც არაძალადობრივი — კოცნით, ყვავილებით, სეირნობით. ამ სახის ურთიერთობათა ამოცნობა იმიტომ გვიჭირს — და კიდევ უფრო მათგან თავის დაღწევა — რომ ისინი იწყება როგორც სასიყვარულო და გრძელდება როგორც სასიყვარულო ზოგჯერ მაშინაც კი, როცა ადვილი აქვს ძალადობას.

ერთ რამეში კვლავ და კვლავ რწმუნდები — რა ადვილია გახდეს სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი და, თუ ასეთი რამ დაინყო, რა ძნელია მისგან თავის დაღწევა.





ცოტაოდენი სტატისტიკა

გასულ წელს ქალზე ოჯახური ძალადობის 4 მილიონზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა.

ამათგან 20 %-ს შედეგად სერიოზული დაზიანება მოჰყვა.

საავადმყოფოში და გადა-უდებელი დაზარების ცენტრებში მოხვედრილ ქალთა ერთი მესამედი ოჯახური ძალადობის

მსხვერპლია.

ფსიქიატრიული ქალი-პაციენტების 25%, რომელთაც თვითმკვლელობის მცდელობა ჰქონდათ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამაში შესული ქალების 85 % ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

ბავშვთა სახლებში მოთავსებულ ბავშვთა 50% უმთავრესად ოჯახური ძალადობის შედეგად არის იქ მოხვედრილი.

ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის შემთხვევების 70%-ის მიზეზი მათი ოჯახის წევრი მამაკაცები არიან.

ნიუ-იორკში უსახლკარო ოჯახების 40%-ში აღინიშნება ოჯახში ძალადობის ფაქტები. ასეთივე სურათია სხვა დიდ ქალაქებშიც.

თ

უ თქვენ მოძალადე ხართ ან ფიქრობთ, რომ შეიძლება ასეთი გახდეთ, ახლავე შერყვით და დახმარება ითხოვეთ. თუ ამას არ იზამთ, თქვენ საკუთარ ცხოვრებასაც დალუპავთ და იმ ადამიანებსაც, ვინც გიყვართ.

თუ თქვენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ხართ, ან ფიქრობთ, რომ შეიძლება გახდეთ, ნაიკითხეთ ბოლო თავში მოტანილი სია და ნახეთ, რამდენად აღწერს იგი თქვენს ურთიერთობებს.

თუ თქვენ მოძალადე ხართ ან ფიქრობთ, რომ შეიძლება გახდეთ, ნაიკითხეთ ბოლო თავში მოტანილი სია და ნახეთ, რამდენად შეესაბამება იგი თქვენს ურთიერთობას ახლობლებთან. არა აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობთ ამაზე ან რამდენად გკიცხავთ ამისათვის საზოგადოება ან ქალები. ძალადობა ყოველთვის დაუშვებელია!

გაითვალისწინეთ: დააკვირდით თქვენს ურთიერთობებს და რეალისტურად შეაფასეთ.

თუ გადაწყვიტეთ, რომ შევლა გჭირდებათ, ნუ დააყოვნებთ. რაც ადრე მიმართავთ მას, მით უკეთესი.

ნუ იფიქრებთ, რომ ეს პრობლემა თავისთავად გადაწყდება.

ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ურთიერთობანი თითქმის ყოველთვის უარესდება და არა – პირობით.

თუ ძალადობის მსხვერპლი ხართ, იცოდეთ: ეს თქვენი ბრალი არ არის.

მაგრამ თქვენი საქმეა – დაიცვათ საკუთარი თავი, ეძებოთ დახმარება ან თავი დააღწიოთ სასტიკ მოპყრობას.

თუ შევლა გჭირდებათ, გადაშალეთ ნიგნი 144 გვერდზე და დაუყოვნებლივ დარეკეთ ერთ-ერთ ნომერზე.

უნივერსალური მსხვერპლი

მსოფლიო ისტორია და ოჯახური ძალადობის ისტორია ერთმანეთისაგან განუყოფელია. მოუხედავად ენობრივი, რელიგიური თუ წესჩვეულებითი გან-



ემი ქალებს ყოველპარტნიორები.

ბილ საზოგადოებაში მამაკაცი ქალთან შედარებით საკუთარ თავს უპირატესად

აღიქვამს. ხოლო როდესაც ერთი ჯგუფი თავს უპირატესად მი-

იჩნევს, ეს მისთვის სხვისი დაჩაგვრის

უფლებას დასაშვებს ხდის. ადრე თუ გვიან ჩაგვრა ფიზიკური ჩაგვრის ფორმას იღებს.



მართალია, ოჯახური ძალადობა თითქმის საყოველთაო მოვლენაა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. რით განსხვავდება ასეთი საზოგადოებები სხვებისაგან? ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ ნაკლები ძალადობის მქონე კულტურებში ქალები და მამაკაცები უფრო თანასწორნი არიან. ასეთი იყო ძველი „მატრიარქალური“ საზოგადოებები, სადაც თაყვანს სცემდნენ „დედა ღვთაებას“, სიკვდილ-სიცოცხლის გამრიგეს.

დღემდე შემორჩენილი ამ სახის საზოგადოებები მიეკუთვნება მომთაბარე, ან მონადირე-შემგროვებელ ტიპს, ასეთებია, მაგალითად, კალაჰარის ბუმბენები ან ავსტრალიელი აბორიგენები. აქ ორგანიზაციის მთავარი ერთეული ტომია და არა ოჯახი. ჩვენს თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში ოჯახური ძალადობის დონე ძალიან მაღალია. ქალები სულაც არ არიან ისე თანასწორნი, როგორც ამას ვაცხადებთ.

რ

ოგორი გამონაკლისებიც არ უნდა არსებობდეს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ისტორიის მანძილზე მთელ დედამიწაზე ქალების მიმართ ძალადობას ყოველთვის ჰქონდა ადგილი.


მერედა რატომ?

მიზეზი მრავალია. რომელიღაცით უნდა დაეინყოთ. ვნახოთ ჯერ ოჯახი.

ო ჯ ა ხ ი

რადგან ჩვენ ყველა ოჯახებიდან მოვდივართ, მისი არსებობა და შემადგენლობა ჩვენთვის თავისთავად ცხადი რამაა და თავში არ მოგვდის, რომ ოჯახის სხვა სტრუქტურაც შეიძლება არსებობდეს. ინდუსტრიულ სამყაროში ოჯახები მეტწილად „ნუკლეარულია“. ეს ნიშნავს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ მშობელთან (თუმცა დღეს სულ უფრო ხშირად გვხვდება მხოლოდ ერთი მშობელი, უმეტესად დედა) და მათ ბიოლოგიურ შვილებთან. მსოფლიოს სხვა ნაწილებში ოჯახები უფრო „განვრცობილია“, რაც იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს ერთ სახლში ან ერთ საერთო სივრცეში.

სანამ ოჯახები გაჩნდებოდა (რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია), ადამიანები უფრო დიდ ჯგუფებად — ტომებად — ცხოვრობდნენ (ამ ჩვეულებრივ ანთროპოლოგიურ ცნებაში — ტომში — ერთგვარად დასაველურ-რასისტული ქედმაღლობაა ასახული). ამ ტომებში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ოჯახისა და თაობის ადამიანები. ისინი ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ ერთობას ქმნიდნენ. ეს ჯგუფები ინანილებდნენ შრომას (ნადირობა, პირუტყვის მოვლა, მებოსტნეობა), საკვებსა და ზრუნვას ხანდაზმულებსა და ბავშვებზე.



დღეს ტომის ნაცვლად ჩვენი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულს ოჯახი წარმოადგენს. ოჯახის საშუალებით გადაიცემა ის ღირებულებები და იდეები, რომლებიც აუცილებელია მთელი საზოგადოების არსებობის გასაგრძელებლად. იგი ამავე დროს ეკონომიკურ ერთეულსაც წარმოადგენს; ოჯახი იძენს მრავალ ნივთს, რათა იარსებოს და უზრუნველყოს ბავშვების გაზრდა.

კანონები და ღირებულებები

ადამიანებს შორის უთვალავი განსხვავების არსებობის მოუხედავად, ყველა მამაკაცისათვის საერთოა შეხედულება, რომ ქალი მასთან შედარებით არასრულფასოვანია. ოჯახებში სწორედ მამაკაცებს აქვთ სხვა წევრებთან შედარებით უფრო მეტი ძალაუფლება. ოჯახებში ბიჭები და გოგონები ითვისებენ იმ ღირებულებათა სისტემას, რომელიც მამაკაცის უპირატესობის იდეაზეა დაფუძნებული.

ამ ღირებულებებს მხარს უმაგრებს კანონიც. მხოლოდ უკანასკნელი დროის მონაპოვარია, რომ ქალს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობა, თავისი ინიციატივით განქორწინება, გადანყვეტილების მიღება — იყოლიოს თუ არა შვილი, გახდეს საკუთრების მემკვიდრე. არსებობს ქვეყნები, სადაც 50 წლის წინ მოპოვებული ეს უფლებები გაუქმდა ფუნდამენტალიზმის გავლენის შედეგად. კანონები ყოველთვის გამოიყენებოდა მამაკაცის პრივილეგირებული და ქალის დამორჩილებული მდგომარეობის გასამყარებლად, ზუსტად ისევე, როგორც ერთ დროს მონათმფლობელის უფლება — ჰყოლოდა საკუთრებაში სხვა ადამიანი. თუ ჯვრისწერის ფიცის ტექსტს დავაკვირდებით, დავინახავთ, რაოდენ გამჯდარია მასში ასეთი შეხედულებანი. ქალი ამბობს, „ვფიცავ, მიყვარდეს, პატივი ვცე და დავემორჩილო“. მამაკაცი პირობას იძლევა „უყვარდეს და პატივი სცეს“.

კი მაგრამ, სად არის „მორჩილება“?

მაგრამ ჩვენ უკვე რელიგიაზე დავინყეთ საუბარი!

დიას, ოჯახი, კანონი და რელიგია ნანილობრივ შინაარსობრივად ერთმანეთს ფარავს. ყოველდღიურად გაზეთები გვამცნობს, თუ როგორ ადარდებთ რელიგიურ ორგანიზაციებს ოჯახის თანამედროვე მდგომარეობა.

თუ ქალს არ გააჩნია შემოსავალი, თუ მას არ შეუძლია იხმაროს კონტრაცეპტივები, მიაღწიოს განქორწინებას, ჩათვალეთ, რომ იგი საბოლოოდ და უიმედოდ ჩიხშია მომწყვდეული.

ასე რომ, მოდით, განვიხილოთ ოჯახსა და ქალთან დაკავშირებული ზოგიერთი რელიგიური ნარმოდგენა.



რელიგია

კაცობრიობის ისტორიაში რელიგიამ ერთობ საგულისხმო როლი ითამაშა. რელიგიამ გავლენა იქონია მეფეებსა და მხატვრებზე, გენერლებსა და მღვდლებზე. ამასთან, რელიგია განსაზღვრავდა ადამიანებს შორის ურთიერთობებს. განსაკუთრებით ეს ითქმის სქესთა შორის ურთიერთობებზე. „მსოფლიო რელიგიებმა“ რეპროდუქციის, სექსუალობისა და, საზოგადოდ, ოჯახის მიმართ ერთობ დიდი ინტერესი გამოიჩინეს. გადავხედოთ ზოგიერთ ამ შეხედულებას, რადგან მათი როლი ოჯახური ძალადობის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია. დღევანდელ დასავლეთში მოქმედი რელიგიები, რომელთაც ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავთ, ებრაულ ბიბლიას ეფუძნება. ოუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს ძველი აღთქმის ნიგნები აკავშირებს.


მოუხედავად იმისა, რომ რელიგიური ტრადიციები მრავალმხრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ოჯახისა და ქალების მიმართ მათი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია. ყველაზე მრავლისმეტყველი თვალსაზრისები, ქალის არასრულფასოვნების გაგებას რომ უსვამს ხაზს, სამყაროს შექმნისა და პირველყოფის მითებშია გამოსატყული, ან ...

ასე რამ არივ-დარია სამყარო!

პასუხი მარტივია: ქალებმა.

ადამმა, საბრალო, უმწეო თოჯინამ, შეჭამა ევას შემოთავაზებული ვაშლი.

ქალის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მაგალითებიც აქვია.



ებრაული ბიბლია

აუდუო-ქრისტიანული ტრადიციები ქალის მიმართ ღრმა უნდობლობას ეფუძნება.

გვამცნობს რა დაბადების წიგნი, თუ როგორ აცდუნა ევამ ადამი ვაშლის შესაჭმელად, რამდენიმე სტრიქონის შემდეგ გვიცხადებს, რომ ევას პირველცოდვის გამო „მამაკაცს ექნება ძალაუფლება ქალზე“ (გამაგებინა ერთი, რა გაჩნდა პირველად – ვაშლი თუ ქალეზზე ძალაუფლების გამართლების სურვილი?)

ებრაული ბიბლია ერთობ ენაწყლიანად აღწერს ქალებსა და იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ისინი იმსახურებენ. თვალსაჩინოებისათვის მოგვეყავს ერთი მაგალითი:

უსახელო ხარჭა. წიგნი მსაჯულთა 19;1-30

(მოემზადე გულსაკლავი ამბის მოსასმენად)

ეს ამბავი ერთი მდიდარი მამაკაცის ხარჭას¹ ეხება. ამ ქალმა მიატოვა ეს მამაკაცი და წავიდა მამის სახლში (ჩვენ არ ვიცით, რატომ). და ლევიტელი, ქალის მესაკუთრე და უფალი, სიმამრის გზას დაადგა ქალის უკან დასაბრუნებლად. სიმამრის სახლში უფალი და მისი თანმხლებნი რამდენიმე დღე რჩებიან, ქალის მამის მასპინძლობით განცხრებიან. ბიჭები მაგარ დროს ატარებენ — თითქოს დაავიწყდათ კიდევც, რისთვის ჩამოვიდნენ. ქალს არავინ ახსენებს.

ბოლოს ტოვებენ მამას და შინისაკენ წამოსულები იმავე დღეს პოულობენ მასპინძელს, რომელიც ასმევს და აჭმევს მათ. ჩვენი მაგარი ბიჭები ისევ კარგ დროსტარებაში არიან, როცა ვილაც სადა-გელი მებობლები მოდიან და კარზე აბრაზუნებენ. ისინი მოითხოვენ სტუმრების გამოსვლას და მათ გაუპატიურებას. დიახაც! მათ სურთ მამრი სტუმრების „კომპრომეტირება“. მაგრამ ეს ხომ ადგილობრივი სტუმართმასპინძლობის საშინელი შეურაცხყოფაა. ასე რომ, მასპინძელი ცდილობს მათ დაოცებას და თავისი კეთილი ნების დასადასტურებლად საკუთარ ქალწულს სთავაზობს სტუმრის უბედურ ხარჭასთან ერთად. და საერთოდ, იგი იმდენად თავაზიანია, რომ თვითონ გამოყავს ქალები გარეთ, რათა მახინჯმა მებობლებმა მათი გაუპატიურება შეძლონ.²

¹ბიბლიის ქართულ ტექსტში ლაპარაკია ცოლზე. (რედ.)

²ბიბლიის ქართულ ტექსტში თავად სტუმარმა მოკიდა ხელი თავის ცოლს და მიჰგვარა მომხდურებს. (რედ.)

ჰოდა, მათაც გააუპატიურეს ხარჭა „და მოკიცხეს იგი ღამე ყოველ ვიდრე განთიადამდე“, რის შედეგადაც ქალი სახლამდე ძლივს მიფოფხდა. იგი კარებთან იპოვეს მკვდარი ან თითქმის მკვდარი (ბიბლიურმა მთხრობელმა თითქოს არ იცის).³ მასპინძლის ქალწულის შესახებ კი საერთოდ ვერაფერს ვიგებთ. სტუმარი წასასვლელად მზად არის, ქალს, როგორც სიმინდის ტომარას, ვირზე შემოდებს და გზას გაუდგება. ბოლოს, შინ რომ დაბრუნდება, ქალს ვირიდან ჩამოიღებს (ჩვენ ჯერ კიდევ გარკვევით არ გვეუბნებიან, ქალი მკვდარია თუ არა), 12 ნაწილად დაჭრის მას და სათითაოდ გაუგზავნის ისრაელის ტომებს, როგორც გაფრთხილებას. იგი გადარეულია იმით, რაც მოხდა და ომს უცხადებს იმ ტომს, რომლის კაცებმაც ეს საშინელება ჩაიდინეს. ეს ყოველივე ცოტა გაუგებარია, რადგან მაინცდამაინც შენუხებული არ ჩანდა მასპინძლის სახლში, როცა სტუმრობით სიამოვნებდა (შეიძლება კარგი ხარჭის მომსახურების დაკარგვამ გააძნარა).

ყოველ შემთხვევაში, ომი იწყება და ბენიამინის ტომის 25 000 კაცი ერთ დღეს იღუპება. ამ ხოცვა-ჟლეტას ვერც ერთი ქალი, ბავშვი თუ ცხოველი ვერ გადაურჩა. მაგრამ გამარჯვებულნი ვერ შეჰგუებიან იმ აზრს, რომ ისრაელის ერთ-ერთი ტომი უნდა ამოწყდეს. ვილაცას ბრწყინვალე აზრი მოსდის თავში — ქალაქ იაბის-გალაადის 400 ქალწული ბენიამინის ტომის გადარჩენილ 600 მამაკაცს გაუგზავნონ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან ამ ვაჟკაცებს მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე გაყოფა. ამიტომ გამარჯვებულები დამატებით კიდევ 200 ქალს შეიპყრობენ და იმავე მისამართით გააგზავნიან. ბოლოს და ბოლოს, გამოდის, რომ ერთი ქალის გაუპატიურებასა და სიკვდილს მოჰყვა მრავალი კაცის, ქალის, ბავშვისა და ცხოველის გაჟლეტა, თან კიდევ 600 ქალის გაუპატიურება.

³ ბიბლიის ქართულ ტექსტში ცხადად ნერია, სახლის კარს რომ მიაღწია, ქალს „სულნი წარჰხდეს“. (რედ.)

არსი: რომც არ იყოთ რელიგიური, ხომ ცხადია, რომ ამგვარ ისტორიებში კოდირებული შეხედულებანი ჭოლავს ჩვენს ყოველდღიურობას. თუ ისტორიაში ღრმად ჩაიხედავთ, ნახავთ, რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რელიგიურ იდეებს ჩვენი დღევანდელი კანონებისა და სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებაში.

მოდით, გადავხედოთ ქალზე ძალადობის ამსახველ ზოგიერთ საერო კანონსა და ისტორიულ მაგალითს. ეს დაგვეხმარება იმის გამოძიებაში, თუ რატომ მიიჩნევა ქალზე ძალადობა დადებით მოვლენად.

კუდიანები

ყველას გვსმენია კუდიანებზე. მაგრამ არის ზოგიერთი რამ – მათ შესახებ იშვიათად ლაპარაკობენ – რაც ნათელს ხდის, რომ კუდიანებზე ნადირობა ქალების დევნის კიდევ ერთი საშუალება იყო. მე-16 საუკუნის ამერიკასა და ევროპაში ოჯახები უკიდურესად პატრიარქალური გახდა. საზოგადოება ინდუსტრიული რევოლუციის გავლენით გარდაქმნებს განიცდიდა. ადამიანებს თავის გასატანად და ფულის საშოვნელად შინიდან მოშორებით უხდებოდათ სამუშაოს ძებნა.

ამ ახალმა ეკონომიკურმა და სოციალურმა სტრესებმა განაპირობა სქესთა შორის ახალი ურთიერთობები და ოჯახის სტრუქტურაშიც ცვლილებები შეიტანა.

მამაკაცს კანონით მიეცა ქალსა და ბავშვებზე კონტროლის უფლება, ხოლო ქალის როლი და თავისუფლება კიდევ უფრო შეიზღუდა. ქალი ზედმეტად თავს რომ არ გასულიყო, ამოქმედდა დასჯის სისტემა. ჭირვეულთათვის სხვადასხვა სასჯელი არსებობდა. მაგალითად, „ჭირვეულის ლაგამი“, რომელიც წარმოადგენდა ლითონის გალიას. მასში ქალს თავს აყოფინებდნენ. გალია რომ იკეტებოდა, „ჭირვეულს“ ენაში ლითონის წვეტები ერჭობოდა.

საუკუნეთა მანძილზე ქალი სარჩოსა და პატივისცემას მოიპოვებდა როგორც მკურნალი, ბალახების მცოდნე და ბებიაქალი. მე-16 საუკუნეში ეს ფუნქციები ქალებს თვითმარქვია მამაკაცმა-მედიკოსებმა წაართვეს და თანაც თავს მკურნალის „ლიცენზირების“ უფლება მიანიჭეს. კანონის მიხედვით, „არალიცენზირებული“ მკურნალი ქალები, რომლებიც მაინც განაგრძობდნენ ექიმობას და თანაც ამას არ მალავდნენ, კუდიანებად მიიჩნეოდნენ. ამას სასამართლო და წამებაც მოჰყვებოდა.

ანტისემიტიზმი, ქალები და კუდიანები

ეროპის ისტორია იმავდროულად ებრაელების დევნის ისტორიაცაა. პიტლერის ნაციისტური მოძრაობა ანტისემიტიზმის უკიდურესი გამოხატვა იყო, მაგრამ იგი არც პირველი იყო და არც ერთადერთი.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქრისტიანებიც ებრაელები იყვნენ, როგორც კი ქრისტიანებმა პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვეს, დაიწყეს ებრაელთა (ქრისტეს “მკვლელების”) დაუნდობელი დევნა. მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში ებრაელებს ეშმაკთან კავშირს მიაწერდნენ და ძიძიბიდან დაწყებული შავი ჭირის ჩათვლით ყველა უბედურებას მათ აბრალებდნენ.

შუასაუკუნეების გარკვეული პერიოდში ქალებისა და ებრაელების დევნა ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდა. ითვლებოდა, რომ ებრაელ მამაკაცებს მენსტრუაცია აქვთ, ქალებსაც და ებრაელებსაც შეუძლიათ ცხოველად გადაქცევა, ებრაელ ქალებს სქესობრივი კავშირი აქვთ ეშმაკთან, რის შედეგადაც ჩნდება ცხოველი, რომ ებრაელებსაც და ქალებსაც შეუძლიათ ქარიშხლისა და შავი ჭირის გამონევა. არც ებრაელი, არც ქალი ნამდვილ, სრულფასოვან ადამიანად არ ითვლებოდა, ამიტომ სასტიკ

მოპყრობასაც იმსახურებდა.

ებრაელებიცა და კუდიანებიც ქრისტიანული საზოგადოებისათვის საფრთხედ აღიქმებოდნენ და, ამდენად, უნდა განადგურებულიყვნენ.

მე-16 საუკუნის ევროპაში კუდიანების დევნის მანიამ თავის მწვერვალს მიაღწია. 100 000-ზე მეტი „კუდიანი“ (ზოგიერთი გაანგარიშებით – მილიონზე მეტი) სასტიკი წამებით დაისაჯა სიკვდილით. მსხვერპლთა 85 %-ს ქალები შეადგენდნენ. დანარჩენ 15 %-ს წარმოადგენდნენ მამაკაცები, რომლებიც კოცონზე დამწვარ „კუდიანებთან“ რაიმე კავშირში იმყოფებოდნენ. კუდიანობაში დადანაშაულებული ქალების მამები, ქმრები, ძმები და შვილები ასევე დამნაშავეებად მიიჩნეოდნენ. ქალი, რომელსაც არ ჰყავდა ქმარი, ძმა თუ ვაჟიშვილი, „კუდიანებზე მონადირეს“, რომელსაც, სინამდვილეში, მისი საკუთრების ხელში ჩაგდება უნდოდა, ადვილად შეეძლო ამოეღო მიზანში.

თუ გვინდა ვიცოდეთ, რას ფიქრობდნენ კუდიანებზე მონადირენი ქალების შესახებ, ჩავიხედოთ იმ დროის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გზამკვლევაში (გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ იმ დროს მრავალი ასეთი წიგნი არსებობდა; მათში აღწერილი იყო კუდიანების დევნის, წამებისა და დასჯის „სწორი“ ხერხები). „Mal-leus Malificarum“ ანუ „კუდიანთა ურო“ – ესაა ცნობარი-სახელმძღვანელო, რომელიც შეუდგენია ორ მღვდელს კუდიანებზე

მონადირეთათვის. მასში ნათქვამია, რომ კუდიანები ეშმაკთან დებენ ხელშეკრულებას და მასთან რიტუალურ სქესობრივ კავშირს ამყარებენ, რომ ისინი მსხვერპლად სწირავენ მოუნათლავ ახალშობილებს, იცვლიან გარეგნობას, შეუძლიათ ფრენა, ჭამენ ბავშვებს, ინვევენ იმპოტენციას, შეუძლიათ ღვთის მსახურის სასქესო ორგანოს გაქრობა და ა.შ.

წიგნი მთავრდება ღმერთისათვის მადლობის მიძღვნით, „რომელმაც მამაკაცები დაიცვა ასეთი საშინელი დანაშაულისაგან (როგორიცაა კუდიანობა)“. აქედან გამომდინარე, კუდიანობა ქალად ყოფნას გულისხმობდა. მამაკაცები (მონადირეები, მოსამართლეები, გამომცდელები, მწამებლები, ჯალათები, სასულიერო პირები) – ისინი, ვინც ქალებს აწამებდნენ და ხოცავდნენ, ფიქრობდნენ, რომ ამით ქვეყნიერებას ბოროტებისაგან ათავისუფლებდნენ. ზოგიერთ ევროპულ ქალაქში იმ დროს ქალების 90 % განადგურდა.

და ეს იყო ღვთის ნება.

წმინდანები

სხოვრება რომ მარტივი იყო და არ არსებობდა რადიო, ტელევიზია და გაზეთები, იმას, რასაც ყოველ კვირას ეკლესიაში ისმენდა ადამიანი, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ერთობ პოპულარული იყო ამბები წმინდანთა ცხოვრებაზე. ნაწილობრივ, მათ გასართობ ამბად ჰყვებოდნენ, მაგრამ მთავარი მათში ის ზნეობრივი გაკვეთილი იყო, რომელიც ადამიანებს გაარჩევინებდა ჭეშმარიტსა და მცდარს. ამ ისტორიების გავლენით მილიონობით ადამიანს მრავალი საუკუნის მანძილზე ჩამოუყალიბდა შეხედულება იმაზე, თუ რას ნიშნავს კარგი პიროვნება.

არ გამიკვირდება, თუ იკითხავთ, რა საერთო აქვთ წმინდანებს ოჯახურ ძალადობასთან? წმინდანები (თუკი ასეთი რამეების გჯერათ) ხომ ჩვენ გასაჭირში გვშველიან ან სურვილებს გვისრულებენ.

სინამდვილეში, მრავალი ქალი წმინდანი შეურაცხყოფილი ან გაუპატიურებული ქალი იყო, რომელთაც წინააღმდეგობის განევას სიკვდილი არჩიეს, ან ჯერ წინააღმდეგობა განიეს და შემდეგ დაიღუპნენ.

წმინდა აგნესმა 13 წლის ასაკში ქაღალდის დაკარგვას სიკვდილი ამჯობინა. მან მიიღო მონამეობრივი სიკვდილი კისერში დანის დარტყმით.

წმინდა მონიკას თავისი ქმრისაგან ყველანაირი სისასტიკე ჰქონდა ნაწვნივი, მაგრამ მოთმინებითა და სათნოებით დაძლია მისი უკეთურება. იგი ნამდვილი წმინდანი იყო.

წმინდა უილგეფორტისი უბედური ქორწინებების წმინდანია. მას აღუქმა ჰქონდა მიცემული, რომ მთელი ცხოვრება ქაღალდი დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, მამამისმა იგი სიცილიის მეფეზე დანიშნა. უილგეფორტისი ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, დაეხსნა ამ ქორწინებიდან. შედეგად წვერ-ულვაში გაეზარდა. ასეთი დაუმორჩილებლობისათვის მამამ იგი ჯვარს აცვა. გაუგებარია, რატომ გახდა იგი უბედური ქორწინებების მფარველი. ალბათ იმ შემთხვევების გამო, როცა ისეთი უბედური ხარ, რომ სიკვდილს ნატრობ.

წმინდა მარია გორეტი წინ აღუდგა მისი გაუპატიურების მცდელობას, მაგრამ ურჩობისათვის მოკლულ იქნა. მას თაყვანს სცემენ, როგორც წმინდანს, რომელმაც ნაბილწვას სიკვდილი არჩია.

წმინდა რიტას, რომელსაც ქორწინებაში პრობლემების გადაჭრას სთხოვენ, მონაზვნობა სურდა, მაგრამ მშობლებმა მაინც გაათხოვეს. მისი ქმარი უხეში, მრისხანე და მოძალადე კაცი იყო,

მაგრამ რიტა მორჩილად და უსაყვედუროდ ცხოვრობდა ამ უგრძნობი „პირუტყვის“ გვერდით მის სიკვდილამდე.

წმინდა დაფნა წარმართი მამის ქრისტიანი შვილი იყო. მამის ინცესტუური ზრახვებისაგან თავი რომ დაეღწია, გემით გაქცევა გადანყვიტა. მამამ მის კვალს მიაგნო და მოკლა.

*გლობატტ პალამის წიგნიდან – ვინ არიან წმინდანები
და როგორ გვებმარებიან.*

ამ ქალთა უმრავლესობა მამაკაცთა ძალადობას შეენირა. ამიტომაც მათ თავყვანს ვცემთ. ამ ისტორიების დედაზრი შემდეგია: შენ კარგი ქალი ხარ, თუ მამაკაცისაგან ტანჯვას იღებ და იტან.

ქალისათვის ორი გზა არსებობდა: ან შენ აზრს გამოთქვამდი და მაშინ გეპყრობოდნენ როგორც კუდიანს, გკლავდნენ და შენს საკუთრებას ითვისებდნენ, ან შეგეძლო მომკვდარიყავი მონამეობრივი სიკვდილით, სამაგიეროდ, ყველას ეყვარებოდი.

მაგრამ ორივე შემთხვევაში გელოდა სიკვდილი!

კარგი რა, – იტყვით თქვენ, — ეს ხომ ბნელი დროის აბდაუბდაა. ჩვენ დროში ადამიანები ასე აღარ ფიქრობენ. მაგრამ ამ შეხედულებებს შეიძლება გაცილებით დიდი გავლენა აქვთ თანამედროვე საზოგადოებაზე, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ. ვნახოთ, როგორ ექცევიან ქალებს დღეს ჩვენს თანამედროვე სამყაროში.

ინგლისის ზოგადი სამართალი

სამერიკული კანონმდებლობა პირდაპირი მემკვიდრეა მრავალი საუკუნის წინ ინგლისში აღმოცენებული „ზოგადი სამართლისა“. ინგლისური ზოგადი სამართალი ამაყობს „სწორი ქცევის წესების“ გამოგონებით და მათი კოდექსის სახით ჩანერით, თუმცა სინამდვილეში იგი მხოლოდ ძველი რელიგიური კანონების გადამღერება იყო. ეს კანონი სრულიად გარკვეულად ადასტურებს მამაკაცისათვის „სწორი მოპყრობის“ უფლებას სხვა ადამიანების მიმართ, ცოლისა და ბავშვების ჩათვლით. როგორც სხვა სამართლებრივ სისტემებში, ინგლისურ ზოგად სამართალშიც ადამიანთა ერთ ჯგუფს სხვებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება.

ინგლისური ზოგადი სამართალი ოჯახთან მიმართებაში ხაზს უსვამდა ერთობას ცოლსა და ქმარს შორის. ამ ერთობას მამაკაცი ხელმძღვანელობდა. მას „მფარველობა“ ეწოდებოდა — რაც იმას ნიშნავდა, რომ ქმარს უნდა დაეცვა ცოლი და შვილები კანონის წინაშე პასუხისმგებლობისაგან.

სხვა სიტყვებით, ინგლისის ზოგადი სამართალი, რომელიც ამერიკული სამართლის საფუძვლად იქცა, ინვევდა გათხოვილი ქალის „მოქალაქეობრივ სიკვდილს“.

გათხოვებით კი ქალი აუცილებლად უნდა გათხოვილიყო. გაუთხოვარი ქალისათვის მონასტრის იქით გზა არ არსებობდა

(გავიხსენოთ კუდიანებისა და წმინდანების ბედი).

ხელისუფლებისათვის გაუთხოვარი ქალი, კაცმა რომ თქვას, არც არსებობდა. გაუთხოვარი ქალისათვის სრულიად შეუძლებელი იყო საკუთარი თავის რჩენა. მას ხშირად არც საკუთრება გააჩნდა, არც ხმის უფლება, არც უსაფრთხოდ მგზავრობა შეეძლო მამაკაცის გარეშე. გაუთხოვარი ქალი თავად აღიქმებოდა საფრთხედ. ადრეული ამერიკული კოლონიების კანონების მიხედვით გაუთხოვარი ქალი ჯარიმდებოდა და ქალაქის იურისდიქციის ქვეშ ექცეოდა, ან იძულების წესით სხვა ოჯახში იწყებდა ცხოვრებას. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ქალი მამაკაცის იურისდიქციიდან არ გასულიყო.

ამ კანონების თანახმად ქალის პიროვნება მისი ქმრის პიროვნებასთან იყო გაიგივებული. მფარველობის კანონის მიხედვით მამაკაცი პასუხისმგებელი იყო თავისი ცოლის, ბავშვებისა და მსახურების საქციელზე და ამიტომაც უფლება ჰქონდა, დაესაჯა ისინი.

ამერიკაში, ისევე როგორც ინგლისში, ქმარს კანონის ძალით ენიჭებოდა უფლება, ეცემა ცოლი, თუ ეს უკანასკნელი კონტროლს არ დაემორჩილებოდა. ხოლო სახელმწიფო ამაში არ ერეოდა.

რასაკვირველია, იყო გარკვეული შეზღუდვები მამაკაცის სისასტიკეზეც. ცნობილი გამოთქმა – „ცერით მმართველობა“ – წარმოდგება ბრიტანული კანონიდან, რომლის თანახმადაც მამაკაცს არ ჰქონდა უფლება, ეცემა ცოლი საკუთარ ცერზე უფრო მსხვილი ჯოხით. ხომ ჰუმანურია?

კერძო საკუთრება


სამერიკაში, თუ არ შევიმჩნევიათ, გეტყვი, რომ კერძო საკუთრება წმინდაა. ამ ქვეყნის კაპიტალისტური სისტემა ეფუძნება იდეას, რომ ადამიანს ფულის შოვნის მიზნით შეუძლია თავისი საკუთრება როგორც გაეხარდება, ისე გამოიყენოს. სხვა ადამიანებს ამაში ჩარევის უფლება არა აქვთ. საკუთრება და პირადულობა განუყრელი ცნებებია; ეს ჩემია და შენ არ გეხება.

ეს წესი მაშინაც ძალაშია, როდესაც საკუთრებას სხვა ადამიანი წარმოადგენს.

ბრიტანულ ზოგად სამართალში ცოლები, ბავშვები და მსახურები მამაკაცის საკუთრებას წარმოადგენენ. ამ წანამძღვარმა განაპირობა საშინელი ლოგიკური დასკვნა – ამერიკის კოლონიებში მონობის შემოღება.

ამერიკაში მილიონობით შავკანიანი აფრიკელის დამონება სწორედ იმის საზარელი შედეგია, რომ ადამიანი საკუთრებად განიხილებოდა. რასიზმი ამას ამართლებდა, ხოლო კანონი იცავდა: მფლობელს ეძლეოდა უფლება მოჰყრობოდა მონას, როგორც საკუთარი გამდიდრების საშუალებას.

ამერიკის კონგრესი ვერ გააუქმებდა მონობას თუნდაც იმის გამო, რომ ასეთ რამეს არაკონსტიტუციურ ქმედებად – საკუთრების ჩამორთმევად – მიიჩნევდა. მონობის დამცველი კანონები, მართალია, უფრო სასტიკი და სისტემატური ხასიათისაა, მაგრამ ძალიან ჰგავს იმ კანონებს, რომლებიც მამაკაცის საკუთრებას იცავს ცოლსა და შვილებზე.



მონობა და ქორწინების საფუძვლები

ქალეზზე მამაკაცების ძალადობას ბევრი პარალელი მოეძებნება მონებზე თეთრი ბატონების ძალადობასთან. მონობის ინსტიტუტი ემყარება ერთი ჯგუფის დომინირებას მეორეზე; ერთ პიროვნებას ეკუთვნის მეორე და მისგან ნებისმიერი სამსახურის მოთხოვნა შეუძლია. მუქარა და ძალადობა გამოიყენება იმისათვის, რომ დამონებულმა პიროვნებამ პატრონის ბრძანებები შეასრულოს. ისტორიულად, ქალი თავისი ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა. ამ უკანასკნელს ჰქონდა ფიზიკური ძალადობის გამოყენების უფლება – აეძულებინა ცოლი აუნაზღაურებლად ეშრომა. მონობა ამერიკაში 1888 წელს გაუქმდა. 1878 წლიდან (როდესაც მასაჩუსეტსში გაუქმდა ცოლის ცემის დამშვები კანონი) დაიწყო ქალის დამცველი კანონების მიღებაც. წლები და წლები იყო საჭირო, რომ ასეთი კანონები ორმოცდაათივე შტატში მიეღოთ. ხოლო მათ განხორციელებას ქალები დღესაც ელიან.

ზოგიერთ ძველ კულტურაში მონისა და ცოლის სტატუსი თითქმის იდენტური იყო. ანტიკურ საბერძნეთში არც მონას, არც ცოლს არავითარი მოქალაქეობრივი უფლება არ გააჩნდა. ორივე საკუთრებად განიხილებოდა, რომელსაც პატრონი გამოიყენებდა თავისი ნება-სურვილის შესაბამისად. მაგრამ თუ ბევრ საზოგადოებაში მონას შეეძლო კარგი სამსახურის საფასურად თავისუფლება მოეპოვებინა, ცოლის მდგომარეობა სიკვდილამდე უცვლელი იყო. მართალია, მონობა და ოჯახური ძალადობა ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ორივე შემთხვევაში ძალადობის ამხსნელი მიზეზები ძალიან მსგავსია.

ორივე სისტემა ეფუძნება უპირატესობისა და პრივილეგიის იდეას, ანუ იმ შეხედულებას, რომ ერთი ჯგუფი ან გარკვეული პიროვნება მეორეზე უკეთესია, გონიერია, ფასეულია და ა. შ. აქედან გამომდინარე, „უკეთესებს“ უფლება აქვთ და მოვალეობაც აკისრი-ათ აკონტროლონ სიტუაცია. რადგანაც სქესთა შორის ურთიერთობა უძველესია ყველა არსებულ ურთიერთობაში, სექსიზმი¹ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ჩაგვრის ყველა ფორმის „დედა“. ყველა იმ სიტუაციაში, სადაც ერთი ჯგუფი იჩაგრება თავისი რასობრივი ან კლასობრივი კუთვნილების გამო, ამ ჯგუფის ქალები დამატებით იჩაგრებიან საკუთარი ჯგუფის კაცების მხრიდანაც.

პატრიარქია (მამაკაცი უპირატესია) და რასიზმი ერთმანეთთან ახლოს დგას. ნებისმიერი სახის პრივილეგია – მამაკაცი, თეთრკანიანი, ქრისტიანი და სხვ. – ემყარება სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ცნებას:

1. მე შენზე უკეთესი ვარ.
2. თქვენ რომ მეტი გასაქანი მოგცეთ, სამყარო კიდევ უფრო უარესი იქნება.
3. ამიტომ, მე მაქვს თქვენი გაკონტროლებისა და ექსპლუატაციის უფლება.

¹ სექსიზმი – დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით

შეამონმეთ, რამდენად პატრიარქალური ხართ:

თუ მამაკაცი (ბიჭი) ხარ და
ხვალ ქალად გაიღვიძე, რას იზამ?

თუ ქალი (გოგონა) ხარ და
ხვალ მამაკაცად გაიღვიძე, რას იზამ?

ეს ტესტი დაწყებითი კლასების ბავშვებს მისცეს. ბიჭების უმრავლესობამ თქვა, რომ თავს მოიკლავდა, თუ გოგოდ გადაიქცეოდა. გოგონების უმრავლესობამ თქვა, რომ ძალიან გაუხარდებოდა ბიჭად გადაქცევა, და რომ იქნებოდნენ მებანძრეები, ფეხბურთელები, პრეზიდენტები, ექიმები და ა.შ. სრულიად გასაგებია, რომ ბიჭებსაც და გოგონებსაც ბიჭობა ურჩევნიათ
(გამოდის, ფროიდი მართალი იყო).

ამიტომაც არის მამაკაცის პრივილეგია ასეთი ძალის მქონე. არა მარტო ბიჭები, გოგონებიც ფიქრობენ, რომ ბიჭებს მეტი უფლებები აქვთ. ;

(ძვირფასო ზიგმუნდ, იქნებ ეს პენისის შური კი არა და ძალაუფლების შურია.)

ოჯახური ძალადობა თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში


სრეზული საკანონმდებლო სისტემა და ადათ-წესები ერთგვარად დასაშვებს ხდის მამაკაცისათვის ცოლისა და ბავშვების ცემასა და მოკვლასაც კი. ოჯახური ძალადობის სტატისტიკა საომარი ზონიდან მოსულ რეპორტაჟებს წააგავს. მართლაც, თუ ვიეტნამის ომში 39000 ჯარისკაცი დაიღუპა, იმავე პერიოდში (1967-73) 17 500 ამერიკელი ქალი და ბავშვი იქნა მოკლული მოძალადე მამაკაცის მიერ. ვიეტნამის ომი დასრულდა 1973 წელს; ომი ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ გრძელდება.

- ქალი 9-ჯერ უფრო ხშირად იღებს შეურაცხყოფას შინ, ვიდრე გარეთ.
- აშშ-ში მოკლული ქალების 60% საკუთარი ქმრების ან მეგობარი მამაკაცების მიერაა მოკლული.

(მართალი ბრძანდებით: ერთხელ ეს უკვე ვთქვი. გმადლობთ, რომ შემასხენეთ.)

ოჯახური ძალადობის შესახებ დისკუსიები ძირითადად იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც მამაკაცი სცემს ქალს. მაგრამ ოჯახური

ძალადობის სხვა ფორმებიც არსებობს: როდესაც მშობელი ძალადობს ბავშვზე, მოზრდილი შვილი მოხუც მშობელზე, ან ჰომოსექსუალი თავის პარტნიორზე. ეს ყველაფერი სხვადასხვა ვარიანტია ერთი და იმავე ძალადობრივი ქცევისა. ოჯახური ძალადობა არ შემოიფარგლება ფიზიკური ძალადობით, რომელიც სხვა ადამიანის იძულების მხოლოდ ერთ-ერთი ხერხია. ძალადობრივი ქცევა შეიძლება ასევე იყოს: სიტყვიერი შეურაცხყოფა, სოციალური იზოლაცია, სახალხო შერცხვენა, ფულის წართმევა, თვალთვალი, სილის განვნა, ნიხლის კვრა, დაყვირება, ტანსაცმლის შემოხვევა, ნიეთების მტვრევა, სიკვდილით დამუქრება, მუქარა ახლობლების მიმართ, მუშტით ცემა, დანით დასერვა, სროლა, დანვა და მოკვლის სხვა გზები.




უფრო ზუსტი ხომ არ ამისათვის ოჯახური გვენოდებინა!



იქნებოდა, ტერორი

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამას იყენებენ ძალადობრივი ქცევის ელემენტების წარმოსადგენად.



გასულ წელს ქალზე ოჯახური ძალადობის 4 მილიონზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა, აქედან 20%-ს სერიოზული დაზიანება მოჰყვა.

საავადმყოფოსა და გადაუდებელი დახმარების ცენტრებში მოხვედრილ ქალთა ერთი მესამედი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

ფსიქიატრიული პაციენტი ქალების 25%, რომელ-იც თვითმკვლელობას შეეცადა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

ნარკომანიასთან ბრძოლის პროგრამაში შესული ქალების 85% ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

ბავშვთა სახლებში ბავშვთა 50% უმთავრესად ოჯახური ძალადობის მიზეზით არის იქ მოხვედრილი.

ნიუ-იორკის უსახლკაროთა 40% განიცდის ოჯახურ ძალადობას.

კი მაგრამ, რატომ არ ადგება ქალი და არ მიატოვებს მოძალადეს?



აი, რა ხდება, როდესაც მიატოვებენ ხოლმე

უმეტეს შემთხვევაში ერთდროულად გამოიყენება სხვადასხვა ძალადობა და მსხვერპლი გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება, თავს მახეში გაბმულად აღიქვამს. როდესაც მსხვერპლი ცდილობს თავი დააღწიოს ძალმომრეობას, მოძალადე ან პატიებას ითხოვს ან უფრო უჭერს მარყუჟს.

ხშირად ორივე ერთად ხდება. ამიტომ მნიშვნელოვანია დავი-მახსოვროთ, რომ: ყველაზე სასტიკი ძალადობა – სერიოზული დაზიანება და მკვლელობა ხდება მაშინ, როდესაც მსხვერპლი ცდილობს გაქცევას!

ამიტომ მსხვერპლისათვის ყველაზე სახიფათო სწორედ ძალადობრივი ცხოვრებიდან თავის დაღწევაა. მოძალადე მსხვერპლს ტყვესავით ექცევა: *თუ მსხვერპლი წინა-აღმდეგობას უწევს, უჯანყდება ან გაქცევას ცდილობს, მოძალადე ყველა ღონეს ხმარობს, რომ ისევ ტყვედ ჩაიგდოს და დასასჯელად დაიბრუნოს.*



ვინ შეიძლება გახდეს ძალადობის მსხვერპლი?

ნებისმიერი ადამიანი. თუმცა ასეთი უფრო ხშირად ქალი ან ბავშვია. ქალებსაც და ბავშვებსაც ხშირად ოჯახში მცხოვრები მამაკაცი სცემს. ისმის კითხვა, მამაკაცებს არ სცემენ? ზოგჯერ – კი, მაგრამ მეტწილად მამაკაცები მძლავრობენ ქალებზე. თუ ქალი ძალას იყენებს, ძირითადად – თავდაცვის მიზნით. საერთო-ეროვნული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მოზრდილთა შორის ძალადობა ოჯახში გულისხმობს მამაკაცის ძალადობას ქალზე. ამაზე საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების ოთახებში მოთავსებულ ქალთა რაოდენობაც მეტყველებს, რომელთაც დამტვრეული აქვთ ძვლები, არიან დაჭრილნი დანით ან ტყვიით, დაზიანებული აქვთ შინაგანი ორგანოები, ალბათ ხვდებით, ვისგანაც.



ძალადობა ბავშვებზე

სმ წიგნში ძირითადად მოზრდილ ქალზე ახლობლურ ურთიერთობაში განხორციელებული ძალადობაა განხილული. მაგრამ აქვე უნდა შევეხოთ ოჯახური ძალადობის მეორე ფორმასაც, რომელიც პირველთან მჭიდრო კავშირშია.

ბავშვზე ძალადობა ან ბავშვის უგულუბელყოფა სერიოზული პრობლემაა. ასეთი ბავშვების რაოდენობა ექსპერტების აზრით ამერიკაში ყოველწლიურად 2-4 მილიონს შეადგენს. ყოველწლიურად მშობელი ან მეურვე ათასობით ბავშვს კლავს, ხოლო ათიათასობით ბავშვს მშობლიურ კარს წყვეტენ და ბავშვთა სახლებში ათავსებენ. ნაცემი და უგულუბელყოფილი ბავშვების უზომო ტანჯვას ისიც ზრდის, რომ ჩვენი საზოგადოება უშვებს ბავშვზე ძალადობას. ბევრი დამნაშავე, მომწყვლელი, მცემელი და ბავშვის სექსუალურად შემბლაღავი ბავშვობაში თვითონ იყო ძალადობის

მსხვერპლი ან უგულუბელყოფილი ბავშვი. ბავშვზე ძალადობის შედეგები გნებავთ პიროვნულ, გნებავთ სოციალურ დონეზე ნარმოუდგენლად მიძიება.




ვინ ძალადობს ბავშვებზე და რა ახასიათებს ოჯახს, რომელშიც ბავშვზე ძალადობენ?

- შემთხვევათა 70%-ში ბავშვზე ოჯახში მცხოვრები მამაკაცი ძალადობს
- ბავშვთა მკვლელობის 70% მოხდა იმ ოჯახებში, სადაც ქალზეც ხდებოდა ძალადობა (1991)
- ქალებზე მოძალადე მამაკაცების 50-70% ბავშვებზეც ძალადობს
- ხელყოფილ ქალთა 70%-მა განაცხადა, რომ მათი ბავშვებიც ხელყოფილნი არიან


ნათელია, რომ დიდია იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც ძალადობის მრავალი ფაქტია, რაც მთავარია, ეს ყველაფერი ერთი ადამიანის გამო ხდება. თუ არსებობს ერთი მსხვერპლი, მოსალოდნელია, რომ იქნება კიდევ ერთი.

რას აკეთებს ამ შემთხვევებში ბავშთა დაცვის სისტემა? კარგი იქნებოდა, ის რომ პრაქტიკულად სწორად მოქმედებდეს, ანუ ოჯახს მოაცილებდეს იმას, ვინც სხვა დანარჩენს ამწარებს, ხოლო დედასა და ბავშვებს შინ დატოვებდეს. მაგრამ ასე არ ხდება. უმეტესად შინ მოძალადე რჩება, ხოლო ბავშვებს ბავშვთა სახლებში ამწესებენ. “ბედნიერი” დედა კი თავის ხელმყოფთან რჩება.

თუ მამაკაცია მოძალადე, რატომ არ აბარებენ მას მოზრდილთა აღსაზრდელ სახლში (ციხეში)? უფრო ჭკვიანური, სამართლიანი და იაფიც არ იქნებოდა, ქალი თავისი შვილებით შინ დარჩენილიყო? ბავშვთა დაცვის სისტემას შეეძლო ოჯახი უსაფრთხო გაეხადა, თუ მოძალადეს მოაშორებდა და ისეთ ადგილას მოათავსებდა, საიდანაც იგი ვეღარ ავნებდა დედასა და ბავშვებს. მას ასევე შეეძლო მოძალადესთან სპეციალური მუშაობით იმისათვის მიეღწია, რომ შინ დაბრუნებულს აღარ ევნო ცოლ-შვილისათვის ან, თუ ახალ ოჯახს შექმნიდა, ძველებურად აღარ მოქცეულიყო.



მაგრამ ასე არ ხდება. სინამდვილეში, აშშ-ის არც ერთ ბავშვთა დაცვის ცენტრში არავის მოსდის თავში, იკითხოს – იქნებ დედაც მსხვერპლია. უფრო იოლია, დაადანაშაულო დედა ბავშვის მიუხედაობაში (ბავშვები სკოლაში ვერ წავიყვანე, რადგან კვირას ქმარმა ძალიან მცემა; ან არ მქონდა საჭმლის ფული, ჩემმა ქმარმა სასმელზე დახარჯა), ვიდრე მოძალადეს პასუხი აგებინო დანაშაულზე. სისტემის ამგვარ მიდგომას თავისი ახსნა მოუძებნება, თუკი ამ ქვეყანაში ბავშვთა დახმარების მოძრაობის საფუძვლებს გავეცნობით.



ბავშვთა დახმარების სისტემის საფუძვლები

დრეულ კოლონიალურ ამერიკაში ოჯახები მკაცრ სოციალურ წესებს ექვემდებარებოდნენ. ქალები უნდა გათხოვილიყვნენ, ბავშვებს უნდა ჰყოლოდათ დედაც და მამაც, ხოლო მთელი ოჯახი სუფთა, შრომისმოყვარე და თავისი თავის შემნახველი ერთეული უნდა ყოფილიყო. ეს ამერიკული იდეალია. ალბათ ხვდებით, რომ ყოველთვის ასე არ ხდებოდა. კონტროლის სხვა ფორმებთან ერთად, კოლონიალური კანონმდებლობის მიხედვით უღირს მშობლებს ბავშვები უნდა ჩამორთმეოდათ. ისევე როგორც დღეს, უღირსად შეიძლება მიეჩნიათ ურჩი, ურწმუნო, დაღუპვის მოყვარული ან უბრალოდ ღარიბი ადამიანი. თუ უღირსად ჩაითვლებოდით, საზოგადოებას შეეძლო თქვენთვის ბავშვი ჩამოერთვა. ქალაქებს ჰქონდათ უფლება, ობლები და ოჯახებიდან ნამოყვანილი ბავშვები დაესაქმებინათ. შრომას ეს ბავშვები საზოგადოების სასარგებლო ნევრებად უნდა ექცია.

ბოსტონში საქველმოქმედო დახმარების საზოგადოება შეეცადა, რაც შეიძლება ბევრი ბავშვი გამოეყვანა „ცუდი“ ოჯახებიდან და „კარგ“ ოჯახებში მოეთავსებინა იმ მოსაზრებით, რომ ნესრიგისა და შრომისმოყვარეობის ჩვევებს ისინი ახალი ოჯახებიდან უფრო შეითვისებდნენ. ნიუ-იორკის ღარიბთა ქცევის გაუმჯობესების (სახელწოდება როგორ მოგწონთ?) საზოგადოების შეხედულებით, „ასეთი ცუდი ოჯახების შენარჩუნება მათი ნახალისებაა. მანკიერების – სიზარმაცის, გარყვნილების, ლოთობის – ეს ბუდეები

საზოგადოების მორალური ჭირია, ამიტომ ისინი უნდა მოიშალონ.“

ბავშვთა დაცვის ნიღაბს ამოფარებული ხელისუფლება მონყალბის სახლებში თავს ერთად უყრიდა ბავშვებს, დამნაშავეებს, უპოვრებსა და სულიერად აკადემყოფებს. 1857 წელს ოჰაიოს შტატის კანონმდებლობამ 6 წლამდე ბავშვები გამოაცალკევა ამ დანესებულებებს, იმ მოტივით, რომ მათი ზნეობრივი კლიმატი ბავშვებზე უარყოფითად იმოქმედებდა. ამას სხვა შტატებიც შეუერთდნენ.

რაკი ბავშვები ღარიბთა სახლებს მოაშორეს, მოსანახი გახდა ბავშვთა დაცვის ახალი ფორმები. გაჩნდა ობოლთა და მცირეწლოვან ლტოლვილთა დანესებულებები. შემოიღეს ბავშვთა ახალ ოჯახებში გაშვილების პრაქტიკა. იმატა ბავშვთა დახმარების დანესებულებათა რიცხვმა. თუ 1800 წელს ასეთი სულ 4 იყო, 1890 წლისათვის 600-ს მიაღწია. ნიუ-იორკის ბავშვთა დაცვის საზოგადოება სულ უფრო მეტ ბავშვს აგზავნიდა შუადასავლეთის მიმართულებით: 814 გააგზავნეს 1860 წელს, 3764 – 1880 წელს.


რატომ გახდა ეს იდეა ასე პოპულარული?

მიზეზი ნაწილობრივ ეკონომიკურია.

1853–1890 წლებში 92 000 ბავშვი მოათავსეს ქვეყნის შუადასავლეთის სასოფლო-სამეურნეო რაიონების ბავშვთა სახლებში, სადაც ისინი ხშირად მძიმე სამუშაოს ასრულებდნენ.

ბავშვთა დახმარების საზოგადოების ფუძემდებელ ჩარლზ ლოვინგ ბრეისს იმედი ჰქონდა, რომ ამ გეგმის მეშვეობით მოხერხდებოდა ქალაქის მომარაგება ახალგაზრდა შრომითი რესურსებით, ამავდროულად გადანყდებოდა უბედური და უპოვარი, მანანნალა და უგულვებელყოფილი ბავშვების სოფლის კარგ ოჯახებში გაშვილების პრობლემებიც.

მართალია, ბავშვთა დაცვის სისტემა წლების განმავლობაში შეიცვალა და მრავალი ნამდვილად მონდომებული ადამიანი ცდილობს, დაეხმაროს ბავშვებს, ამ სისტემის მუშაობაში მაინც ბევრი შემამოფოთებელი ფაქტია.



ვინ შედის ბავშვთა დახმარების სისტემაში?

ერთი შეხედვით, ბავშვთა დახმარების სისტემაში ძირითადად ღარიბი, უმცირესობათა წარმომადგენელი ან უმამო ოჯახების ბავშვები შედიან. ეს სურათი სრული არ უნდა იყოს, რადგან ყოველდღიურად ვკითხულობთ შეძლებული თეთრკანიანი მამის შესახებ, რომელიც ცოფიანივით კლავს თავის ბავშვებს ან იმ დედის შესახებ, რომელიც ბავშვებს მანქანის უკანა სკამზე მიაბამს და ტბაში ახრჩობს. ღიზა სტეინბერგის აზრით, მართალია, ბავშვებს ამორებენ თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებს მათი დაცვის მიზნით, მაგრამ, გამოკვლევები ცხადყოფს, ძალადობის მაჩვენებელი სახელმწიფო ზრუნვაზე აყვანილ ბავშვებში უფრო მაღალია. ამიტომ გასარკვევია, რამდენი ბავშვია რეალურად ბავშვთა სახლში მოთავსებული სიღარიბისა და უსახლკარობის გამო და ისევ და ისევ საკითხავია:

ვინ არის მოძალადე?

1880 წელს პასუხი ნაწილობრივ გასაგები იყო. ისტორიკოსმა ლინდა გორდონმა შეისწავლა ბოსტონში ბავშვთა დახმარების სისტემის ჩანაწერები 1880-იდან 1960 წლამდე. თუმცა ქალზე ძალადობა არ ითვლებოდა პრობლემად და არც ერთი შემთხვევა არ ჩაითვალა დაფიქსირების ღირსად, ჩანაწერები მაინც აჩვენებს შემდეგს:

41 % იმათგან, ვინც ცოლს სცემდა, ასევე ხელყოფდა ბავშვებს, სწორედ ბავშვის დაცვა იყო ქალების უმეტესობისათვის სახლიდან წასვლის მიზეზი.

შედეგი იმ დროსაც იგივე იყო, რაც ახლა. დედებს, რომლებსაც არ შესწევდათ უნარი, დაეცვათ შვილები ხელმყოფი ქმრისაგან, ართმევდნენ შვილებს. რასაკვირველია, ქალებიც ხელყოფენ შვილებს, თვით ნაცემი ქალებიც სცემენ შვილებს, მაგრამ შემთხვევების 80% ეხება არა ძალადობას, არამედ მზრუნველობის ნაკლებობას. ყველა ამ შემთხვევაში დამნაშავე ქალია. იქნებ საქმე ისაა, რომ იმ ქალებს, რომლებსაც სცემენ ქმრები, აღარ შეუძლიათ შვილებზე სათანადოდ იზრუნონ და დაიცვან ისინი. სისტემას, რომელიც არ რეაგირებს დედის ხელყოფაზე, ალბათ არ შეუძლია წინ აღუდგეს ძალადობას. სამაგიეროდ, ის თავს კარგად ართმევს დედებისათვის ბავშვების წართმევას.

ერთი სევდიანი, მაგრამ ტიპიური ამბავი მოგვითხრობს, რომ დედამ მოითხოვა დაცვის ორდერი თავისი ბავშვებისათვის, რათა ქმარს ისინი ველარ ეცემა. სასამართლომ განიხილა საქმე და დაადგინა, რომ დედას არ შეეძლო დაეცვა შვილები, თუმცა კი ეს უკანასკნელი მხოლოდ მათ დაცვას ითხოვდა. ამიტომ სასამართლოს ბრძნული გადაწყვეტილებით დედას შვილები ჩამოერთვა.

ძალადობა ხანდაზმულებზე

რ

აც უფრო დაუცველი და უსუსური ხართ ამ საზოგადოებაში, მით უფრო ადვილად გახდებით მსხვერპლი... ხოლო ყველაზე დაუცველი – მოხუცია. ძალადობა ხანდაზმულებზე ყველაზე დაფარული დანაშაულია. იგი ფარულია მოძალადის მხრიდან, რადგან იცის, დედამისი ისეთი სუსტია, რომ სახლიდან მაინც ვერ გავა – და მსხვერპლის მხრიდანაც, რომელიც ხშირად მთლიანად დამოკიდებულია მოძალადეზე. ნარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ მოზრდილ შვილებთან, თქვენ დაქვრივდით და აღარ გაგაჩნიათ შემოსავალი, ხართ დასუსტებული ავადმყოფობით, დამძიმებული ასაკით და თავს ვეღარ უზრუნველყოფთ. თუ ამ შემთხვევაში სასტიკად გექცევათ სწორედ ის ადამიანი, რომელიც თქვენ გინახავთ, რას მოიმოქმედებთ?

მონაცემები ცხადყოფს, რომ ხანდაზმულების ხელმყოფნი უმეტესად მათი მოზრდილი ვაჟები არიან. ძალიან რთულია ხანდაზმულ მსხვერპლთა აღრიცხვა ან მათი შველა. ბავშვებისაგან განსხვავებით, რომლებიც სკოლაში მაინც დადიან, ისინი სრულიად იზოლირებულნი არიან სამყაროსაგან. თუ მსხვერპლი ამავე დროს ინვალიდია ან სუსტი ჯანმრთელობისაა, იგი ნამდვილ პატიმრად იქცევა საკუთარ სახლში. ფიზიკურ და ემოციურ ძალადობასთან ერთად ხანდაზმულები ხშირად ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნიც არიან. მათი პენსია ან დაზღვევა მოძალადის ხელშია.

გარდა ამისა, მოხუცს შეიძლება სასტიკად მოექცეს ის ადამიანი, ვისაც ევალება მასზე ზრუნვა, მაგალითად, მომვლელი. ხანდაზმულებზე ძალადობის ფაქტები ძალიან შემაშფოთებელია. ადრე თუ გვიან ყველა ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.


ძალადობა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში

ართალია, ჰომოსექსუალურ წყვილებს შორის ურთიერთობაში სასტიკი მოპყრობის შემთხვევების შესახებ ბევრი არაა ცნობილი, მაგრამ სავარაუდოა, რომ ოჯახური ძალადობა აქ ისევე ხშირია, როგორც ნორმალურ წყვილებში. ჰომოსექსუალ ადამიანებს სპეციფიკური პრობლემები აქვთ, რომლებიც შეიძლება ერთი საერთო სახელით — ჰომოფობიით გაერთიანდეს. ამის შედეგია შიში, მალული ურთიერთობები, დევნა და არანაირი დახმარება იმ სისტემიდან, რომელიც წესით მათ უნდა იცავდეს.

ჰომოფობია არის შიში და, აქედან გამომდინარე, უდიერი დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ. ერთი, რასაც ხშირად ვიგებთ „ახალი ამბებიდან“, არის ჰომოსექსუალთა მძიმე შეურაცხყოფა (ან მკვლელობა) იმიტომ, რომ ისინი ჰომოსექსუალები არიან. როგორც წესი, ამის ჩამდენი „სწორი“ ორიენტაციის მამაკაცები (ანუ ნამდვილი მამაკაცები) არიან. შეურაცხყოფას, ჩვეულებრივ, თან ახლავს ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: „ცისფერი“, „პედიკი“. ჰომოფობიას „ინსტიტუციონალური“ ხასიათიც აქვს: მაგალითად, სამხედრო სამსახურზე უარის თქმა, მასწავლებლების სამსახურიდან დათხოვნა, ჰომოსექსუალთა შორის ქორწინების აკრძალვა და ა. შ.

ფაქტები: ყველაზე სერიოზული, სასტიკი და სექსუალური საფუძველის მქონე დანაშაულები სწორი ორიენტაციის მქონე მამაკაცების მიერ არის ჩადენილი. იქნებ სწორედ მათ უნდა აეკრძალოთ სამხედრო სამსახური ან მასწავლებლობა (ან ქმრობა).

წარმოიდგინეთ, რომ ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში იმყოფებით, რომელშიც ადგილი აქვს ძალადობას. თქვენ რეკავთ პოლიციაში ან მიდიხართ სასამართლოში და შეელას ითხოვთ. აი, როგორია ეს სავარაუდო „შველა“.



1. პოლიციელი ალებს კარს. ორი ქალი ერთმანეთს ბუბნის. ერთს ნახევრად შემოხეული აქვს ტანსაცმელი. პოლიციელი ამბობს: „ბიჭოს, ეს რა ხდება! კაია, ცოტას გავერთობი“.
2. პოლიციელი ალებს კარს. ხვდება ნაგვემი მამაკაცი. პოლიციელი ეუბნება: „ასე მოგიხდება, შე პედიკო“.
3. მამაკაცი სასამართლოში მიდის. აქ კარზე ფირნიშია: „დაქორწინებულთათვის ან სწორი ორიენტაციის მამაკაცთათვის“.
4. ქალი იძახებს სასწრაფოს ან უკვე საავად-მყოფოშია. მას ეკითხებიან: „ქმარმა დაგაშავათ თუ...“

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალი უამრავ პრობლემას ეჯახება, თითქმის არ არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ჰომოსექსუალთა პრობლემების გადაჭრაზე იმუშავებდა. ცოტაოდენი, რაც არსებობს, ემსახურება ჰომოსექსუალთა შორის ძალადობის ფაქტების აღრიცხვას, ამ ფაქტების ბუნების გაგებასა და დახმარების აღმოჩენას.

ამ ადამიანებსაც იგივე პრობლემები აქვთ...

როგორ აღმოვჩნდით ამ საშინელებაში?

თანამედროვე ფსიქოლოგია

(ანუ როგორ დავადანაშაულოთ ქალები მეცნიერების გამოყენებით)

რვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორ ახერხებდა ისტორიის მანძილზე მამაკაცი ქალის მიმართ სასტიკი მოპყრობის გამართლებას. ეს ხომ ადვილია! ქალი ზნეობრივად და სულიერად უფრო სუსტია, ქალი კონტროლქვეშ უნდა იყოს. კაცი ოჯახის უფროსად თავად უფალმა დაგვინესა. ამიტომ მამაკაცს ღვთის მიერ ნაბოძები ძალაუფლების განსამტკიცებლად აქვს ძალადობის გამოყენების უფლება, როგორც მამას შვილის მიმართ.

დრო იცვლებოდა და, რელიგიური დოქტრინებიც ეჭვქვეშ დგებოდა. მართლა შვიდ დღეში შეიქმნა სამყარო, ან დედამინა მართლსამყაროს ცენტრია? დიდი მოაზროვნენი – კოპერნიკი, დარვინი და ნოუტონი – ასეთ შეხედულებებს კითხვის ქვეშ აყენებდნენ. თანამედროვე ეპოქაში სამყაროზე რელიგიური წარმოდგენები მეცნიერულმა შეცვალა.

ამ ახალ იდეათა შორის

(და ეს არც არის გასაკვირი)

იყო მამაკაცთა უპირატესობის ახლებური დასაბუთება.

ფსიქოლოგიური მეცნიერება იქცა სქესთა შორის არსებული უთანასწორობის გამართლების ახალ სტრატეგიად. ფროიდი, ფსიქოლოგიის დიდი მამა, ამგვარ შეხედულებათა ჩემპიონი იყო. მოდით, გადავხედოთ მის პიროვნებასა და ზოგიერთ მის მოსაზრებას.

ფროიდი და ფსიქოანალიზის საფუძვლები

რ

ა თქმა უნდა, უსამართლობაა, ფსიქოლოგიის ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი სფერო მარტივ სქემაში წარმოადგინო, მაგრამ ამას აქ ვერ ავცდებით. ათასობით თეორია არსებობს ფსიქოლოგიაში. მათი დიდი უმეტესობა დიდი მამიკო ფროიდიდან იღებს სათავეს.

ზიგმუნდ ფროიდი დაიბადა 1856 წელს. ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა ვენაში, რომელსაც თავის სამშობლოდ მიიჩნევდა. ის გახდა ექიმი, ხელი მიჰყო კერძო პრაქტიკას და დაიწყო კვლევა ფსიქოლოგიის ახალ სფეროში.

ბევრი მისი თანამედროვესი არ იყოს, ფროიდიც აზვიადებდა მეცნიერების შესაძლებლობებს. მას სწამდა, რომ მეცნიერებას მხოლოდ დაკვირვებად ფაქტებთან ჰქონდა საქმე და რომ ფსიქოლოგია მეცნიერებაა. მაგრამ, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ რთულ ფენომენებთან, როგორებიცაა: პიროვნების მოგონებები, გრძნობები და შინაგანი გამოცდილება, ამგვარი მიდგომა ერთობ საფრთხილოა. ვინ უნდა გადაწყვიტოს, ყველაფერი ეს რაზე მეტყველებს, რას ნიშნავს და საიდან მოდის. ვინა და, ცხადია, ფროიდმა!

მე-19 საუკუნის ბოლომდე ფსიქიატრია, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ფენომენს, რომელიც არ ესმოდათ, ავადმყოფობას,

რომელსაც „რაციონალურ“ ახსნას ვერ უძებნიდნენ, უბრალოდ უგულუბელყოფდნენ. მეცნიერება აღარ იზიარებდა რელიგიურ წარმოდგენებს ეშმაკით შეპყრობილობის შესახებ, მიიჩნეოდა, რომ ყველა ავადმყოფობა იყო ფიზიკური (ფაქტები და მხოლოდ ფაქტები) – მაგრამ ისტერია და ლეთარგია არ ექვემდებარებოდა ფიზიკურ ზემოქმედებას. მაშ, ავადმყოფობა იყო თუ არა?

ფროიდი ისე დაინტერესდა ამ ფანტომური ავადმყოფობებით, რომ იგი გაემგზავრა სასწავლებლად შარკოსთან პარიზში. შარკოცხადყოფდა, რომ ისტერიული სიმპტომები არ იყო დაკავშირებული ანატომიასთან და, ამდენად, არ წარმოადგენდა დაავადებას, როგორც ასეთს, ქირურგიულად ან წამლებით რომ იკურნებოდა. ჰიპნოზის დროს, რომელსაც შარკო მიმართავდა, პაციენტის სიმპტომები ქრებოდა. თუ ფიზიკური არა, რა წარმოშობისა იყო ეს ავადმყოფობა?

დაბრუნდა თუ არა ვენაში, ფროიდმა დაიწყო ჰიპნოზის გამოყენება ისტერიულ პაციენტებთან (ფროიდის ჩანაწერებს თუ ნაიკითხავთ, მოგეჩვენებათ, რომ ყოველი მეორე ქალი ვენაში ისტერიით იყო შეპყრობილი). მან შეამჩნია, რომ ჰიპნოზის ქვეშ პაციენტებს ახსოვდათ თავიანთი სიმპტომების მიზეზები და წარმოშობა, სენსის დამთავრებისთანავე კი ყველაფერი ავიწყდებოდათ. რა უცნაურია, ფიქრობდა დოქტორი ფროიდი, რატომ ავიწყდებათ ის, რაზედაც ახლახანს მელაპარაკნენ? ალბათ ამის გახსენება ძალიან მტკივნეულია. „ამ ფენომენს მე რეპრესიას (განდევნას) ვუწოდებ.“

ცდუნების თეორია ვენის რესპექტაბელური საზოგადოების წინააღმდეგ

ომ დროის ვენის საზოგადოება საკმაოდ კონსერვატიული და ბურჟუაზიული იყო. ნესების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ფროიდს, მონდომებულ ებრაელ ექიმს, ძალიან უნდოდა წარმატების მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ ზიგმუნდი დიდი მოაზროვნე იყო და იმ დროის გაბატონებული იდეებიც გვარიანად შეარყია, საბოლოოდ, შორს მანც ვერ წავიდა. იგი თავისი დროის კაცი იყო, ხოლო იმ დროში ქალებისა არ ესმოდათ – ცუდად ექცეოდნენ და ჩაგრავენენ.

მართალია, კუდიანებს აღარ წვავდნენ, სამაგიეროდ, ფსიქიკურად დაავადებულთა თავშესაფრები სავსე იყო ქალებით, რომელთაც 200 წლის წინ კოცონზე დაწვავდნენ. არავინ იცოდა, რა უნდა ექნათ მათთვის.

ბურჟუაზიული წრის შეჭირვებულ ქალებთან მუშაობის პროცესში ფროიდმა კარგა დიდი ნაგავი გამოქექა. თავისი პაციენტების ისტორიებიდან ფროიდმა გამოიტანა დასკვნა, რომ მათი პრობლემები მომდინარეობდა ბავშვობაში მამის ან ახლობელი მამაკაცის მიერ მიყენებული სექსუალური შეურაცხყოფიდან. ეს ეხებოდა ვენის ყველაზე შეძლებულ და რესპექტაბელურ ადამიანებს. კარგად დაიმახსოვრეთ: ფროიდს

სჯეროდა, რომ შუურაცხყოფას ადგილი ნამდვილად ჰქონდა, რომ მისი პაციენტები რეალურ ამბებს უყვებოდნენ. ალბათ ხვდებით, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისის მონესრიგებული ვენა სიხარულით არ შეხვდებოდა ამ აღმოჩენას. იმდროინდელი ვენა მდიდარი და კულტურული ადგილი იყო, რომელსაც უჭირდა ვიქტორიანული ერის ლეგენდარული დათრგუნული სექსუალობის გავლენიდან გამოსვლა. ამგვარ რამეზე არავინ ლაპარაკობდა, ის უბრალოდ იგულისხმებოდა. ფროიდთან მომუშავე ექიმები ძალიან ჩააფიქრა ამ იდეებმა. როდესაც ფროიდი შეეცადა მათ დარწმუნებას სექსუალური ტრავმის თეორიის სისწორეში, ისინი დაემუქრენ, რომ განდევნიდნენ ვენის „დიდი ექიმების კლუბიდან“ და მის სახელს ლაფში ამოსვრიდნენ. ფროიდს ბევრი კრიტიკა და დაცინვა შეხვდა. ამიტომ ის მოიქცა ისე, როგორც მოიქცეოდა ნებისმიერი პროფესიონალი, რომელსაც სურს რეპუტაციის გადარჩენა: მან შეცვალა თავისი თეორია.

ეს არ იყო რთული. იმის აღიარების მაგივრად, რომ სქესობრივი ძალადობის შესახებ მოგონებები რეალური მოვლენების რეალური მოგონებებია, ფროიდი „მიხვდა“, რომ საქმე ჰქონდა წარმოსახვით მოგონებებთან. ისტერიულმა ქალებმა შეთხზეს ეს სიტუაციები საკუთარი სურვილების შესაბამისად. საოცარია, არა? ყველა ამ ქალმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მსგავსი ისტორია მოიგონა.

ცდუნების თეორია

ფროიდი სექსს დიდ ყურადღებას უთმობდა, რაც საუკუნის დასაწყისის ევროპისათვის საკმაოდ რადიკალური იყო. მისი შეხედულებით, ბავშვები ადრეული ასაკიდან ძალიან სექსუალური არსებები არიან, და მათ ყველა სახის ფანტაზია და მოთხოვნილება გააჩნიათ. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნილებაა სქესობრივი ურთიერთობის დამყარება საინანაღმდგო სქესის მშობელთან, ბიჭების — დედებთან და გოგონების — მამებთან. თუმცა, გოგონებისათვის გამართლებელი ფაქტორიც არსებობს. მათ მამასთან სექსის სურვილთან ერთად სურთ ჰქონდეთ პენისიც. ბიჭებს ეს პრობლემა არ აწუხებთ (ცხადია!)

მათ არაფერი არ სჭირდებათ დედისაგან, რაკილა პენისი გააჩნიათ. მეგრდის ან საშვილოსნოს შური არ არსებობს. როდესაც გოგონა აცნობიერებს, რომ არ აქვს პენისი, ის თავს ნაწყენად და კასტრირებულად გრძნობს. მას თავი დაუმთავრებელ მამაკაცად მიაჩნია. ეს გრძნობა ისე ღრმია, რომ მთელი ცხოვრება საკუთარი თავი მამაკაცთან შედარებით არასრულფასოვნად წარმოუდგენია. მას სურს, რომ ცუდად მოექცნენ, რადგან არასრულფასოვანია და არაცნობიერად ესწრაფვის, რომ ამისათვის დაისაჯოს.

ფროიდის თეორიის მიხედვით, მის პაციენტ ქალებს ბავშვობაში უნდოდათ სქესობრივი ურთიერთობა თავიანთ მამებთან, მაგრამ რადგან წესიერ ვენურ ოჯახებში (ისევე, როგორც სხვა ჩვენთვის ცნობილ საზოგადოებაში) ამას ტაბუ ედო, ეს არ ხდებოდა.

ამას გარდა, გოგონები დამნაშავედ გრძნობდნენ თავს ამ ქვენა

სურვილების გამო და, აქედან გამომდინარე, ორი რამ ხდებოდა: ერთი მხრივ, უვითარდებოდათ საშინელი სიმპტომები, რაც ანგრევდა მათ ცხოვრებას; მეორე მხრივ – ყალბი მოგონებანი, რომელთაც ისინი შერ ფროიდს უზიარებდნენ ანალიზის პროცესში. მშვენიერად აუნყო, არა? ასე გადაარჩინა ფროიდმა როგორც თავისი რეპუტაცია, ასევე თეორია. მან არა მარტო გადანყვიტა ნამდვილი სქესობრივი ძალადობის ფანტაზიად გადაქცევის პრობლემა, არამედ შექმნა თეორია, რომელმაც გოგონების უღირსი სურვილები მათი მომავალი პრობლემების მიზეზად დასახა.

მისი თეორია გვიხსნის, თუ სინამდვილეში რატომ სურთ ქალებს, მამაკაცი ცუდად მოექცნენ. მათ გაუკუღმართებული სექსუალური მოთხოვნილებები აქვთ; ისინი დამნაშავეებად გრძნობენ თავს და აკრძალული სურვილებისათვის დასჯას მოითხოვენ. აი, როგორ წარმოიშვა ქალური მამოხიზმის თეორია.

მწყობრი თეორიაა, ვერაფერს იტყვი! ესე იგი, თუ მამაკაცი ცუდად უპრობა ქალს, კაცის ბრალი არაა. ამის მიზეზი ისაა, რომ ქალი კარგად გრძნობს თავს, თუ მას ცუდად ექცევიან. კარგი ოინია! მამაკაცი რომ ცემს ან აუპატოურებს ქალს, სინამდვილეში დიდ პატივს სდებს, რადგან ქალის სანუკვარ სურვილებს ასრულებს. არ იქნებოდა ეს კაცი, იქნებოდა სხვა! მთავარი კი ისაა, რომ ამის გამოსწორება ისევ ქალის საქმეა, რადგან ის, რაც ხდება, ქალის ავადმყო-



ფური ფსიქიკიდან მომდინარე ქვენა სურვილების ასრულებაა.

ადრე ფიქრობდნენ, ქალი ცუდ მოპყრობას იმსახურებს, რადგან უკეთურია და მისთვის ლაგამის ამოღება ღვთის ნებას შეესაბამებაო. თანამედროვე სამყაროში ქალს თავად უნდა, რომ სასტიკად მოექცენ, იცის რა გულის სიღრმეში, რომ გარყვნილია და დასჯას საჭიროებს. ეს უკვე პროგრესია!

თუ გგონიათ, რომ ბევრი რამ შეიცვალა ფროიდის მერე, ძალიან ცდებით. ხშირად შეხედებით ნაცემ ქალს, რომელიც იზიარებს ასეთ მიდგომას, ეს კი ძალიან ართულებს მისი მდგომარეობის გამოსწორებას. დღეს ამ ფენომენს „მსხვერპლის დადანაშაულება“ ეწოდება. ამ თემას შემდგომში უფრო დანვრილებით შევეხებით. ჯერ ვნახოთ ძირითადი მიზეზები იმისა, თუ რატომ შეურაცხყოფს თანამედროვე მამაკაცი ქალს.

რატომ ძალადობს მამაკაცი ქალზე

აი, სია ამ გამართლებებისა:

1. მამაკაცის უპირატესობის ტრადიცია: ქალს ლაგამი სჭირდება და მამაკაცმა იცის, როგორ ამოსდოს. ზოგჯერ საჭიროა მამაკაცმა ფიზიკურ დასჯასაც მიმართოს. თუ ამ თეორიას იზიარებთ, შეგიძლიათ კითხვა ახლავე შეწყვიტოთ.
2. სტრესი: დღეს ყველაზე პოპულარული თეორიაა, რომელიც მამაკაცის მიერ ქალის ცემას ხსნის. კაცი დადის სამსახურში, იგი განიცდის თავს ექსპლუატირებულად, კლასობრივი ან რასობრივი ჩაგვრის მსხვერპლი ჰგონია თავი, უფროსი მას ზედმეტად ამუშავენს, ფინანსური პრობლემები აქვს და ა. შ. მოკლედ, ცხოვრებისეული სტრესების ბრალია, რომ კაცები ოჯახში ძალადობენ. მაგრამ რატომ არ სცემენ ისინი თავიანთ უფროსებს ან თანამშრომლებს? იქნებ სტრესი ადამიანისათვის იგივეა, რაც თევზისათვის წყალი? ანუ არსებობის ფონი. ბევრი დამეთანხმება, რომ ცხოვრება თავისთავად სტრესულია, მაშინ ლოგიკასაა მოკლებული იმის მტკიცება, რომ სტრესი ძალადობას ბადებს. ეს იგივეა, რომ ვთქვათ: ცხოვრება იწვევს ოჯახურ ძალადობას – ეს არაფერზე მეტყველებს. ასევე ვერ აიხსნება ამ თეორიით, თუ რატომ არ სცემენ ცოლსა და შვილებს ისინი, ვისაც ასევე სტრესული ცხოვრება აქვთ, ან რატომ სჩადიან ამას ისინი, ვისაც მაინცდამაინც სტრესული ცხოვრება არა აქვთ.

3. კონტროლის დაკარგვა: ზოგჯერ ძალადობრივ ქცევას ხსნიან იმით, რომ მამაკაცი კონტროლს კარგავს, არ იცის რას აკეთებს, გიჟდება. აღნიშნული თეორიის მიხედვით გამოდის, რომ ამ მამაკაცებს ისეთი აღზრდა აქვთ მიღებული, განრისხების გარდა სხვა ემოციის გამოხატვა არ იციან. ცნობილია, რომ ბიჭებისაგან მოელიან, იყოს თავშეკავებული და არ იყოს მტირალა. ამიტომ, როდესაც მათ რაღაც აღიზიანებთ, ვიღაც აწყენინებს, ან მარტოობის განცდა ეუფლებათ, ისინი ავტომატურად რეაგირებენ ბრაზითა და მრისხანებით.

4. როდესაც მამაკაცები კლავენ ცოლს ან მეგობარ ქალს, ასეთ დანაშაულს გაზეთებში აღწერენ ხოლმე როგორც დიდი ვნების გამოხატულებას, როცა გრძნობამოჭარბებულმა მამაკაცმა არ იცის, რასა იქმს. ამგვარი ამბები ძალიან უყვართ მასმედიაში – სულისშემძვრელიცაა და კარგადაც ეხამება „საპნის ოპერების“ ფილოსოფიას – „ქმარი კლავს ცოლს, მერე თავს იკლავს“, „გაუკუღმართებული სიყვარული“, „ბრაზისაგან გონდაბინდული კაცი კლავს ცოლყოფილს“ და ა.შ. ასეთი ინტერპრეტაცია ხშირად გამოიყენება სასამართლო პროცესზე იმ კაცის დასაცავად, რომელმაც მოკლა მეგობარი ქალი ან ცოლი. მართლაც, ხშირად ამ მამაკაცებისათვის საზოგადოება გამართლებას პოულობს.

ფაქტი: თავისუფლების აღკვეთის ვადა მამაკაცისათვის, რომელმაც მოკლა ცოლი ან მეგობარი ქალი, 7-11 წლინადს შეადგენს.¹

¹ საქართველოს კანონმდებლობაში არ არის სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ცოლის მიმართ ძალადობრივ ქცევას ან ცოლის მკვლელობას. ასეთი შემთხვევები განიხილება და ისჯება როგორც ზოგადად ძალადობის ან მკვლელობის შემთხვევები.

ფაქტი: თავისუფლების აღკვეთის ვადა ქალისათვის, რომელმაც მოკლა ქმარი ან მეგობარი მამაკაცი, საშუალოდ 25 წელიწადს შეადგენს.

მართალია, რომ მოძალადენი კონტროლს კარგავენ? რატომ არ კარგავს კონტროლს, როდესაც პოლიციელი უმიზეზოდ აჯარიმებს, როცა ონკანიდან წყალი წვეთავს, როდესაც თანამშრომელი წერვებს უშლის? განა ამ დროს მრისხანებისაგან ისე კარგავს გონებას, რომ მოკლას პოლიციელი, თანამშრომელი?

როგორც წესი – არა, მაგრამ გამოიცანით, რა ხდება, როდესაც იგი შინ ბრუნდება? კონტროლის მოშლა?

მაშ, რატომ სცემს მამაკაცი?

იმიტომ, რომ სტრესშია, იმიტომ, რომ ბავშვობაში სცემდნენ, იმიტომ, რომ სამსახური დაკარგა, დაანინაურეს, მისმა გუნდმა წააგო, მისმა გუნდმა მოიგო, ბავშვები ხმაურობდნენ, მას სექსი უნდოდა, სადილი მიიწვა, უფროსს შეეკამათა, ტრუალეტი დაკავებული იყო, ცოლს დააგვიანდა, მეგობართან ჭორაობას გადაჰყვა, შეიღებს გაცილებით მეტ დროს უთმობს, თვითონ ნასვამი იყო, მამა გარდაეცვალა, ქორწინების წლისთავი იყო, ცოლს ეძინა...

კაცს საბაბი არ ელევა.

რატომ რჩება მამაკაცი იმ ქალთან?

საერთოდ, მამაკაცი ქალის ხელყოფას ამართლებს იმით, რომ ის ქალმა გამოიწვია. მათ რომ მოუსმინო, მათი ცოლები საშინელი, გარყვნილი ადამიანები არიან და სიცოცხლეს უმწარებენ. ხშირად მოძალადენი სწორედ იმ საქციელს განაქიქებენ, რამაც ძალადობისაკენ უბიძგათ. მოძალადე მამაკაცების სპეციალურ ჯგუფებში ხშირად გაიგონებთ:

„ნამდვილი ქაჯია, ყველაფერს აკეთებს,
რომ ჭკუიდან გადამიყვანოს“,

ან

„სულ ვილაცხას ეპრანჭება და მე თავს
პატარად და უსარგებლოდ ვგრძნობ“,

ან

„ტუტუცი კახპაა, სულ რაღაცას
მისისინებს“,

„მაგაზე შტერ ქალს ცხოვრებაში
არ შევხვედრივარ“,

„უჩემოდ ეგ არარაობაა“,

„ვერაფერს ვერ ანდობ“,

„როგორ შევირთე ცოლად ასეთი ღორი?“,

„სიამოვნებით გამოვჭრიდი ყელს“.

გინდათ იმ ტიპს ჰკითხოთ: თუ ასეთი ცუდია, რატომ არ შორდებით? თუ ასეთი საშინელია, რატომ არ ნახვალთ და უკეთესს არ იპოვით? რატომ რჩებით მასთან? და, როდესაც ის ქალი ბოლოს და ბოლოს მიდის თქვენგან, რატომ მისდევთ და აბრუნებთ, იმიტომ ხომ არა, რომ მასზე ძალადობა გააგრძელოთ?

აქ რაღაც სხვა ხდება. ძალადობრივ ურთიერთობებში ერთი უცნაური რამ შეინიშნება: თუმცა მოძალადე ყოველთვის ქალს ადანაშაულებს, ვერ იტანს, თუ ქალმა ნასვლა დააპირა: მაშინ ძალადობა ორკეცდება.

ქალთა მკვლელობისა და სერიოზული დაშავების ფაქტების 80%-ს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ეს ქალები გაქცევას ცდილობენ.



თუ ქალი მამაკაცის ყველა პრობლემის მიზეზია, ნუთუ ამ უკანასკნელს არ უნდა უხაროდეს მასთან დაშორება?

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არაა მთავარი. იქნებ ძალადობა ისეთი ადამიანის ქცევაა, რომელსაც მეორე ადამიანის წვალება სჭირდება, თავი რომ მამაკაცად იგრძნოს?

მაგრამ მე ხომ განსაკუთრებული ვარ

ერთი, რაც მეტად ნიშანდობლივია მოძალადისათვის, ის არის, რომ მას თავი განსაკუთრებული ჰგონია. მისი პრობლემები უნიკალურია და თვითონ ის არის მსხვერპლი. მრავალი მოძალადე, რომელიც უმონყალოდ სცემდა ოჯახის წევრებს, საკუთარ თავს წარმოაჩენდა დაზარალებულად. მათ ვერაფერს უგებს, ისინი სამყაროში მარტო არიან.

მტკნარი სიცრუეა. ასეთები მილიონობით არიან. ერთ დღეს ერთ ოთახში რომ შეიძლებოდეს მათი შეკრება, ნახავდით, რომ ყველა თითქმის ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, ერთნაირი მეთოდებით აშინებენ, შეურაცხყოფენ და ხელყოფენ პარტნიორებს.

ოჯახური ძალადობა იმდენად მსგავსი მოდელით მიმდინარეობს, რომ ამაზე სახელმძღვანელოს დანერაც კი შეიძლება.



როგორ გავხდე მოძალადე

(სახელმძღვანელო იდიოტებისათვის)

სულ იოლია, იყო მოძალადე, ასეთი მილიონობით მამაკაცია და მათი მომთოკავი არავინაა. თუ დაგიჭირეს, მოსამართლე გეტყვით, რომ ასე აღარ მოიქცეთ და შინ გაგიშვებთ კონფლიქტის მოსაგვარებლად. თქვენ დაგიტოვებენ სამსახურს, სახლს, მართვის უფლებას, ფულს, იარაღს, ოჯახის წევრებზე მეურვეობას.

თუ ისე მხეცურად სცემთ ცოლი, რომ მან დაგტოვათ, თქვენ შეგიძლიათ ბავშვები დაიტოვოთ. ფაქტი: მამაკაცების 60%, რომლებმაც გაყრის შემდეგ ბავშვებზე მეურვეობის უფლება მოიპოვეს, ფიზიკურად ხელყოფდნენ ცოლებს.¹

აი, რას ჰყვება ერთი მამალი გიჟის ცოლყოფილი:

„მე მივმართე სასამართლოს დაცვის ორდერის მისაღებად. ოთხი დღის განმავლობაში დაბმული ვიყავი, გაუპატიურებული, თავთან იარაღი მქონდა მოდებული, თან მემუქებოდა, რომ მომკლავდა, თუ ყველაფერს არ შევუარულებდი. განაჩენი – მარტივი შეურაცხყოფა ქცევით. მე შევიცხადე: „ნუთუ უნდა მომკვდარიყავი, უფრო მკაცრი სასჯელი რომ მიგესაჯათ?“ მოსამართლემ გამაჩუმა და სასამართლოს უპატივცემულობა დამაბრალა. მან მითხრა, რომ

¹ საქართველოს ოურიდოულ პრაქტიკაში ბავშვებზე მეურვეობის საკითხების უმრავლესობა დედის სასარგებლოდ წყდება. ქმრის მიერ ცოლის ცემა არ შეიძლება გახდეს მისთვის ბავშვებზე მეურვეობის უარის თქმის საფუძველი.

თუ არ გავრუმდებოდით, ერთი-ორი დღით ცხიხეშიც ჩამამწყვდევდა. ბოლოს გამაგზავნა ჩემს პარტნიორთან ჩვენი „სიმწელებების“ მოსაგვარებლად. რომელი ჭკუათამყოფელი გაგზავნა ჩემთან მოსათათბირებლად იმ პიროვნებებთან, რომელმაც ეს-ესაა გაგაუპატიურათ და სიკვდილით გემუქრებოდით. სასამართლოდან რომ გადიოდა, ჩემი ქმარი სიცილით ჯვლებოდა“.

სამი იოლი გაკვეთილი იმას, ვისაც სურს, მოძალადე გახდეს:

1. გვერდით, რომ შეგიძლიათ მიიღოთ ის, რაც გინდათ და როდესაც გინდათ.

2. იყავით ისეთ ადამიანთან, ვისაც უყვარხართ; დაარწმუნეთ, რომ თქვენც გიყვართ.

3. გამოიყენეთ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რათა მიიღოთ თქვენი პარტნიორისაგან ის რაც გინდათ.

წერილები მოძალადეებისაგან:

წერილი №1

„*ბ თვე ვეარშიყებოდი ელზას ძალიან ყურადღებიანი ვიყავი. შემდეგ დავქორწინდით. ქორწილის მერე შევედი ჩვენს ოთახში. ცოტათი ნასვამი ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ ელზა უცნაურ ჩემია. ვთხოვე, ერთი ჭიქა შამპანური დაესხა ჩემთვის, მაგრამ მან ყურადღება არ მომაქცია, რაღაც საჩუქრებს ათვალიერებდა. მხარზე მოქაჩე-ლოგინზე დავაგდე და ერთი გემოზე გავუღაბუნე. ატირდა, მე კი ვუთხარი: „ვირჩევნია, ყურადღება მომაქციო, როდესაც ვლაპარაკობ, თორემ დიდი უსიამოვნება გელის. უბრალოდ, მომაქციე ყურადღება და ყველაფერი კარგად იქნება.“*

წერილი №2

„პარასკევობით, სამსახურის შემდეგ, ძმკაცები ერთად ვიკრიბებით გასართობად – ბანქოს ვთამაშობთ, ცოტა ყელსაც ვისხვლებთ. შინ გვიან ვბრუნდებოდი და ცოლი მიწყებდა ყურების გახვერებას. აი, მთელი კვირა ვმუშაობ, ბავშვები სულ ჩემს კისერზე არიან, შენ კი ყოველ პარასკევს ფულს ანიავებ, როცა ისედაც ცოტა გვაქვსო, თანაც მთვრალი მოდიხარო. მაგიყებდა და ერთხელაც გემოზე მივბეგვე. ლავინის მვალის გაუუტეხე და მომიხდა საავადმყოფოში წაყვანა. თავს ცოტათი დამნაშავედ ვგრძნობდი, ამიტომ ყვავილები ვუყიდე. ახლა პარასკევობით გვიან რომ ვბრუნდებო ხმის ამომღები ხლარა.“

წერილი №3

„მე ნამდვილად მიყვარს ჩემი გოგო, მაგრამ ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ სხვას ეკეკლუცება. სადმე რომ მივდივართ, ზედმეტად გამოიპრანჭება ხოლმე და კაცები თვალს არ ამორბებენ. ერთხელ წვეულებაზე ვიყავით, ვილაც კაცს დიდხანს ელაპარაკებოდა და მე ვერარ ავიტანე. გაათრიე ვარეთ და ვუთხარი, რომ თუ კიდევ ვინმეს დაელაპარაკებოდა, ისე ჩაუშტვრევედი სახეს, რომ ზედ აღარავინ შეგდაედა: დავარტყი და თვალი ჩაუღულურჯე. შემდეგ მივბრუნდით სწვეულებაზე. ყველა გკითხებოდა, რა მოგივიდაო. ის არ პასუხობდა, გეკრძით მედგა და რემი ხელი ეჭირა. გადასარევად ვგრძნობდი თავს!“

რა უნდა მოიმოქმედოს იმან, ვისაც ასეთი პრობლემები აქვს?

თერაპია მოძალადეებისათვის

სთიოდე წლის წინ ამოქმედდა შინ მოძალადე მამაკაცებზე ფსიქოთერაპიული ზემოქმედების პროგრამები. მალე გაირკვა, რომ თერაპია ამ მამაკაცებისათვის, ჩვეულებრივ, იყო საშუალება იმისა, რომ გული მოეფხანათ და თავიანთი ძალადობა გაემართლებინათ. მთელი ძალისხმევა ამას ხმარდებოდა. ასახელებდნენ მძიმე ბავშვობას, აუტანელ სამსახურს, ნარკოტიკების ზემოქმედებას, ცოლისა თუ პარტნიორის ცუდ ხასიათს, კონტროლის დაკარგვას და ა.შ. ლაპარაკობდნენ ყველაფერზე, მაგრამ არაფრით არ უნდოდათ მომხდარიის გამო პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აეღოთ. ეს ყოველთვის ვილაცის ან რალაცის ბრალი იყო.

რადგანაც მიზეზი მათ გარეთ ეგულებოდათ, გადანყვეტასაც გარედან ელოდნენ: „უკეთესი სამსახური რომ მქონოდა... ბავშვები რომ უკეთ იქცეოდნენ... ცოლი რომ მხარში ამომდგომოდა...“ და რადგანაც პრობლემის წყარო გარეთ იყო, მათ არც ევალებოდათ, რომ შეცვლილიყვნენ.

მოძალადეებზე ზემოქმედების პროგრამები მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერჯერობით დიდი შედეგი არა აქვს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ სასამართლოების მხრიდან ამას იძულების სახე აქვს.

მოძალადეთა უმრავლესობას არ სჯერა, რომ რაიმე პრობლემა აქვს ან რომ რაიმეა შესაცვლელი.

მოძალადეებს ეხერხებათ თავი მსხვერპლად წარმოადგინონ.

ავილოთ ო. ჯ. სიმპსონის¹ „თვითმკვლელობის“ წერილი.

„უპირველეს ყოვლისა, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნიკოლის სიკვდილში მე ბრალი არ მიდევს. მე იგი მიყვარდა. ყოველთვის მიყვარდა და მეყვარება. თუ გვექონდა პრობლემა, მხოლოდ იმიტომ, რომ უზომოდ მიყვარდა... 1989-ის ახალ წელს მაგრა გავცეცხლდი, მაგრამ ამის საფუძველი მქონდა... სასამართლოში არაფერზე მიკამათია, ვცდილობდი დამეცვა ჩვენი ცხოვრების პირადულობა... არ მინდოდა იგი პრესას გაეჩვენა... ყოველთვის შემეძლო თანადგომა და მხარდაჭერა... მაგრამ ახლა რა ხდება?.. ზოგჯერ მგონია, რომ ეს მე ვარ ხელყოფილი ქმარი... მაგრამ მე იგი მიყვარდა...“

ხომ დამაჯერებელია, არა? განსაკუთრებით 911-ის ჩანაწერების მოსმენის შემდეგ, ნიკოლი შველას რომ ითხოვს. როგორც ჩანს, უნდა შეგვეცოდოს ეს ძლიერი, ჯანმრთელი მამაკაცი.

მოძალადეების სამკურნალო პროგრამები მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერჯერობით დიდად წარმატებულად ვერ ჩაითვლება. ნაწილობრივ ამის მიზეზი ის არის, რომ მოძალადეების უმრავლესობას სასამართლომ მოუსაჯა მკურნალობა.

**მოძალადეების უმრავლესობას არ სჯერა,
რომ აქვს რაიმე პრობლემა. ანდა ვერ
ხედავს მიზეზს, რატომ უნდა შეიცვალოს.**

ეს დამოკიდებულება ისე ძლიერია, რომ მოძალადეების 70%,

¹ 1994 წელს შედგა ო. ჯ. სიმპსონის გახმაურებული პროცესი. მას ბრალი ედებოდა ცოლისა და მისი საყვარლის მკვლელობაში. სასამართლომ ნივთმტკიცებანი არასაკმარისად მიიჩნია. სიმპსონი გაამართლეს.

რომელმაც კორექციული თერაპიის კურსი გაიარა, იმავე წელს ისევ მიმართავს ძალადობას. მეორე პრობლემა ისაა, რომ, მოუხედავად თერაპიული მუშაობის წარუმატებლობისა, ქალები მაინც უბრუნდებიან თავიანთ ქმრებს. მათთვის ისიც საკმარისია, რომ მოძალადეები გამოსწორებას ცდილობენ. ბევრი მამაკაცი თერაპიულ კურსს ესწრება მანამ, სანამ ცოლი არ დაუბრუნდება. როგორც კი თავისას მიაღწევენ, მაშინვე თავს ანებებენ თერაპიას.



ოჯახური თერაპია

ტრადიციულ ოჯახურ თერაპიაში ოჯახი განიხილება როგორც სისტემა, რომელშიც თითოეულ წევრს თავისი მნიშვნელოვანი როლი აქვს. როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმში, აქაც ყველა ნაწილი აუცილებელია მთელისათვის. ასეთ მიდგომას ძალაუფლების რელატივისტურ გაგებამდე მივყავართ – ბატონი და მონა არსობრივად თანასწორნი არიან, რადგან ერთი მთლიანის ურთიერთდამოკიდებულ ნაწილებს წარმოადგენენ. „თანამშრომლობის“ გარეშე ვერც ერთი ვერ იქნებოდა ის, რაც არის. ამავსე თქმა შეიძლება მოძალადისა და მისი მსხვერპლის მიმართ.

ოჯახზე ასეთი შეხედულების თანახმად, მამაკაცის ძალადობრივ ქცევას განაპირობებს ერთი მხრივ, ქალის სურვილი, იყოს დაქვემდებარებული, მეორე მხრივ, მამაკაცის სურვილი, რომ იბატონოს. როგორ თქვას თავის როლზე კაცმა უარი, თუ ამ როლს მას ქალი ანიჭებს? დიახაც – ძველი იდეები ახალ სამოსელში!

კლასიკურ ოჯახურ თერაპიაში ქალი ხშირად განიხილება როგორც ოჯახური პრობლემების წამოჭრის, ისე მათი მოგვარების წყაროდ. ეს იმიტომ, რომ საზოგადოების და თავად ქალების აზრითაც, ოჯახზე მზრუნველობა ქალის მოვალეობად მიიჩნევა. ისინი მამაკაცებზე მეტად არიან დაინტერესებულნი ოჯახის შენარჩუნებასა და სიმყარეში. თერაპია შორს იჭრება: ქალი რომ ასეთი მომთხოვნი არ იყოს, მამაკაცი არ დაუწყებდა ცემას; ამიტომ

ქალი ცდილობს, არ იყოს მომთხოვენი, მაგრამ ძალადობა არ წყდება. ან ასე: უფრო კარგი დიასახლისი რომ ყოფილიყო... ქალი ცდილობს გახდეს უფრო კარგი, მაგრამ ძალადობა არ წყდება. იქნებ უკეთ რომ გამოიყურებოდეს... ქალი იკლებს წონაში, იცვლის ვარცხნილობას, მაგრამ ძალადობა არ წყდება.

კითხვა: რატომ ცდილობს თერაპევტი ქალის შეცვლას, იმისათვის, რომ მამაკაცმა აღარ ცემოს? ნუთუ თერაპევტი ვერ ხვდება, რომ ეს მსხვერპლის დადანაშაულებისა და მოძალადის გამართლების კიდევ ერთი სახეა?

ქალი ცდილობს გამოსწორდეს:

აღარ აკეთებს ჩახოხბილს.

ლან!

აღარ ეჭორავება დაქალს.

ლან!

აღარ ატარებს მოკლე კაბას.

ლან!

ზედმინეწვით კარგად ალაგებს სახლს.

ლან!



საშველი არ არის. ცემა არ წყდება.

რა იღონოს?

სიბრაზის მართვა/


სტრესის დაქვეითება

ზოგიერთი თერაპია მოძალადეებისათვის ემყარება შეხედულებას, რომ ძალადობა სიბრაზის კონტროლის უუნარობისა და სტრესების მაღალი ხარისხის შედეგია. აქედან გამომდინარე, თერაპია ემყარება სტრესის შემცირების უნარის გამომუშავებასა და გაბრაზების დროს კონტროლის შენარჩუნებას. ეს ცნებები ურთიერთკავშირშია: გადაჭარბებულ სტრესებს მივყავართ სიბრაზემდე, გაბრაზებას მივყავართ კონტროლის დაკარგვამდე, კონტროლის ნაკლებობა იწვევს ძალადობას.

სტრესის რაობაზე კამათი რთულია. სიცოცხლე სავსეა სტრესებით. ზოგიერთ ჩვენგანს უფრო მეტი სტრესი აქვს, ვიდრე სხვებს. მაგრამ რატომ ხდება, რომ ყველა მამაკაცი, რომელსაც სტრესებით სავსე ცხოვრება აქვს, არ ცემს თავის ცოლს ან მეგობარ გოგონას? და რატომ ხდება, რომ ფულიანი, ჯანმრთელი, კარგი სამსახურისა და კარგი შვილების პატრონი მამაკაცები ძალადობენ ახლობელ ქალებზე?

ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად დადგინდა მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება თეორიას სტრესი=სიბრაზე=კონტროლის დაკარგვა. ამ გამოკვლევის თანახმად, ცოლზე მოძალადეები უფრო მშვიდად არიან ძალადობის

დროს. „გაბრაზებისას“ მათი გულისცემა მცირდება და ყურადღება მძაფრდება, რაც ნიშნავს, რომ მათი მოქმედება გათვლილია. მაგალითად, ისინი ქალს სწორედ მუცელში ურტყამენ ისე, რომ დაშავება გამოსაჩენი არ იყოს, ან ცდილობენ, რომ ძელები არ ჩაუმტვრიონ. სტრესი=სიბრაზე=კონტროლის დაკარგვისა და მსხვერპლის დადანაშაულების თეორიები ამოდიან იქიდან, რომ ძალადობის მიზეზი ქალის ფსიქოლოგიაში ძვეს.



ქალური მავოხიზმი

რვენ უკვე გავეცანით ამ აზრს ფროიდის თეორიის განხილვისას. ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ღრმა, არაცნობიერი მიზეზების გამო ქალებს უნდათ, ცუდად მოეპყრან; მათ მოსწონთ ცუდი მოპყრობა, რადგან იმსახურებენ დასჯას: ისინი ხომ უვარგისი, ბინძური, ანჩხლი და ხელთუპყარი არსებები არიან. დეტალებზე არ შეეჩერდებით, მაგრამ ლია, რომ მავოხისტი ლადე მამაკაცებს და რელ ტიპებს აიძუ- მოექცნენ.



ამ თეორიის ამოსავა- ქალები ეტებენ მოძა- ამ ბუნჩულა, საყვა- ლებენ, მათ ცუდად

ხელყოფილ ქალთა სინდრომი – ნასწავლი უმწეობა

ეს თეორია განავითარა დოქტორ ლენორ უოკერმა 1980-იან წლებში ხელყოფილ ქალებთან კერძო ფსიქოთერაპიული პრაქტიკის საფუძველზე. ამ თეორიით იგი შეეცადა აეხსნა, თუ რატომ რჩება ქალი მსხვერპლის როლში და რატომ უჯანყდება თავის ხელმყოფელს ძალადობასთან შეგუების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ.

ეს თეორია ეყრდნობა ოჯახური ძალადობის ციკლურ გაგებას. ძალადობის მსხვერპლ ქალებს, პავლოვის ძაღლების მსგავსად, გამომუშავებული აქვთ ძალადობის წინაშე საკუთარი უმწეობის რეფლექსი. ამ თეორიის თანახმად, ძალადობა დანახულია როგორც ციკლი, რომელიც აიძულებს ქალს იყოს „საკუთარი ძალადობის თანამონაწილე“. ეს ციკლი იყოფა სამ სტადიად:

1. დაძაბულობის წარმოშობა – ძალადობის პოტენციის აღმავლობა.
2. ძალადობის ეპიზოდი.
3. თაფლობის თვე ან პატიების სტადია.

ძალადობის შემზადება თანდათანობით ხდება. სახლში სულ უფრო და უფრო იძაბება ვითარება. ქალი ცდილობს შეაჩეროს მამაკაცი და არ დაუშვას მისი გაცოფება. ამისათვის საკუთარი წყრომა უნდა დაივიწყოს და რისხვა ჩაიხშოს, რადგან ეს მამაკაცს

ძალადობამდე მიიყვანს. მაგრამ მამაკაცის დაოცება შეუძლებელია და საბოლოოდ „თავს იჩენს ძალადობის ეპიზოდი“, რომელიც „2-დან 24 საათამდე გრძელდება“. უოლკერი ამ ფაზას შემდეგნაირად ახასიათებს: ძალადობა წრეგადასულობითაც ხასიათდება. მამაკაცი მაშინაც კი ვერ ჩერდება, როცა ქალი მძიმედ არის დაშავებული.

ძალადობას მოჰყვება სიმშვიდის ფაზა, რომელსაც „თაფლობის თვეს“ უწოდებენ. ხელყოფილი ქალი იჯერებს, რომ ამიერიდან ყველაფერი კარგად იქნება, რაკილა კაცი ასე დაუტყბა.



„ამ ფაზის დროს,“ ამბობს უოლკერი, „ქალის მსხვერპლად ქცევა კულმინაციას აღწევს“. ქალს სჯერა მამაკაცის, რომელიც სიყვარულს ეფიცება, აღუთქვამს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

ზოგჯერ ქალები იმ ზომამდე ესწრაფვიან თავლობის პერიოდს, რომ აპროვოცირებენ კიდევ ძალადობის ეპიზოდს. ეს თეორია იმასაც ცხადყოფს, რომ ქალები იჯერებენ, რომ მათ არ შეუძლიათ რამე უკეთესობისაკენ შეცვალონ და თავს სრულიად უმწეოდ გრძნობენ. მაგრამ შემდგომ დათრგუნვილი ბრანის გამო (გახსოვთ, ვამბობდით, მთელი ამ ხნის მანძილზე მათ უხდებათ ბრანის გადაყლაპვა, რომ არ იცემონ), მათ შეიძლება თავი დაკარგონ და თავად იძალონ! სასამართლო პროცესებზე დაცვა ამ თეორიას ხშირად ეყრდნობა, თუ საქმე აქვს ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ მოძალადე მამაკაცის მკვლელობასთან. ეს მოვლენა დროებით სიგიჟეს ჰგავს. ძალადობას ბოლოს და ბოლოს ქალი კონტროლის დაკარგვამდე მიჰყავს და იგი კლავს მამაკაცს.

ნასწავლი უმწეობის თეორია არაფერს ამბობს იმაზე, თუ რატომ ეძებს ამგვარ ვითარებაში მყოფი ამდენი ქალი დახმარებას სისტემისაგან, რომელიც არ შეეღის მათ. ძალადობის მსხვერპლი ქალები აქტიურად ცდილობენ ძალადობის შეჩერებას და ეს დახმარების ძიება თანდათანობით მატულობს.

ერთ-ერთი გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ პირველად ძალადობის მსხვერპლი ქალების 6 % ეძებს დახმარებას სხვადასხვა წყაროსაგან. დროთა განმავლობაში ეს რიცხვი მატულობს 50 %-მდე. 15 წლის წინ ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის გაიხსნა თავშესაფრები; საინტერესოა, რომ მას შემდეგ ქალების მიერ მამაკაცების მკვლელობათა რაოდენობამ იკლო.

ძალადობის მსხვერპლ ქალებს არ უნდათ თავიანთი მამაკაცების მოკვლა და რამდენადაც შეიძლება ხელმისაწვდომ დახმარებას ეძებენ. მრავალი ძალადობის მსხვერპლი ქალი ადასტურებს, რომ მას უნდოდა ურთიერთობის განწყვეტა მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ თავისი ხელმყოფის მოკვლა სურს. ამ სურვილმა იმდენად შეაშინა, რომ მოძალადე მიატოვა. ძალადობის მსხვერპლი ქალები არ არიან უსუსურები, მაგრამ დახმარება მეტად მცირეა, როცა მათ ეს სჭირდებათ. კითხვა ასე უნდა დაისვას:

ვინ არის უმწეო - ქალი თუ სისტემა?



ძალადობის თაობათაშორისი ციკლი

სმ თეორიის თანახმად, ძალადობა არის პრობლემა, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. გენეტიკური ნაკლის დარად ოჯახური ძალადობაც არ ექვემდებარება არჩევანს. ისე გამოდის, რომ თქვენ დიდი შანსი გაქვთ იყოთ ხელყოფილი, თუ ბავშვობაში ძალმომრეობდნენ თქვენზე, ანდა დედათქვენი იყო ხელყოფილი. დიდი შესაძლებლობაა გახდეთ მოძალადე, თუ მამათქვენი ცემდა დედათქვენს.

ეს თეორია ყალბი აღმოჩნდა ქალებთან მიმართებაში — არ შეიძლება იმის წინასწარმეტყველება, თუ ვინ გახდება ძალადობის მსხვერპლი. ეს შეიძლება დაემართოს ნებისმიერ ქალს. გორკვეულნილად ეს არის უგულებელყოფა ფაქტისა, რომ მრავალი მამაკაცია მოძალადე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ ბიჭი, რომელიც ოჯახური ძალადობის ატმოსფეროში იზრდება, 100-ჯერ მეტი შანსი გაქვთ მოძალადე გახდეთ.

ძალადობის პრობლემის მქონე ოჯახებისათვის დახმარება აუცილებლად მოითხოვს იმის გარკვევას, გახდებიან თუ არა ასეთ ოჯახებში გაზრდილი ბავშვები მოძალადეები ან ძალადობის მსხვერ-

პლნი, — მაგრამ ასეთი დახმარება ჯერ არ არსებობს! ნუთუ იმ ქალისათვის უფრო ადვილი ასატანია ძალადობა, ვინც მსგავს ოჯახში გაიზარდა? ანდა ამართლებს თუ არა თავის ოჯახზე მამაკაცის ძალადობას ის ფაქტი, რომ მამამისიც ხელყოფდა დედამისს?

სტოკჰოლმის სინდრომი

ეს თეორია განავითარეს გატაცებული ადამიანების უცნაური ქცევის, კერძოდ, იმ სიყვარულისა და სინაზის ასახსნელად, რომელსაც ისინი გამტაცებლების მიმართ ავლენენ. ტყვეებს, რომელთა სიცოცხლე უწყალო და შეურაცხად გამტაცებლებზეა დამოკიდებული, ზოგჯერ ღრმა მიჯაჭვულობა უვითარდებათ ამ უკანასკნელთა მიმართ. ზოგჯერ მიჯაჭვულობა ისე ძლიერია, რომ ყოფილი ტყვეები აკითხავენ თავიანთ გამტაცებლებს ციხეში, იცავენ მათ მართლმსაჯულებისაგან, ან კიდევ რომანტიკულად უყვარდებთ ისინი.

სტოკჰოლმის სინდრომის გასავითარებლად ოთხი პირობაა აუცილებელი:

1. ერთი პიროვნება მეორეს სიკვდილით ემუქრება და აღიქმება, როგორც ამის რეალურად ჩამდენი.
2. მსხვერპლს არა აქვს თავის დაღწევის საშუალება და მისი სიცოცხლე მთლიანად გამტაცებლის ხელშია.
3. მსხვერპლი იზოლირებულია მხარდაჭერისაგან, ან კიდევ, ტყვეების შემთხვევაში, ინფორმაციისაგან, რომ სხვა ადამიანები (მაგ. სახელმწიფო მეთაურები) მათ დახმარებას ცდილობენ.
4. გამტაცებელი ძალადობის გარდა სიტბოსაც ავლენს, რითაც მსხვერპლს კიდევ უფრო არწმუნებს იმაში, რომ მთლიანად დამოკიდებულია მასზე.


მსხვერპლად გახდომას ოთხი საფეხური აქვს:

1. დაუჯერებლობა და უარყოფა. „არ შეიძლება ეს მე მემართებოდეს“.
2. სიტუაციის რეალობის მიღება, რაც იწვევს ფსიქოლოგიურ ინფანტილიზმსა და პათოლოგიურ ტრანსფერს. ეს ნიშნავს, რომ მსხვერპლი მოძალადეზე მთლიანად დამოკიდებულად განიცდის თავს, თანაც მის საქციელში დადებით გრძნობებსა და მიზნებს კითხულობს, მასში ვაჟკაცს და რაინდს ხედავს, რაც ამ მამაკაცს ძალიან სასურველს ხდის.
3. სტრესიდან გამოსვლის შემდგომი ტრავმული დეპრესია და პოსტტრავმული სტრესული დარღვევები.
4. ტრავმის მოშუშება და ინტეგრირება ცხოვრების მდინარეებაში.

ამ სინდრომის დროს მსხვერპლის მთელი ყურადღება მიმართულია გადარჩენაზე. მსხვერპლი დამოკიდებულია მოძალადეზე, რადგანაც ამ უკანასკნელს სრული ძალაუფლება აქვს. და თუ მოძალადე არ იყენებს ამ ძალაუფლებას, მსხვერპლი მადლიერია და ფიქრობს, რომ მოძალადე კარგი ბიჭი ხდება. მსხვერპლმა ისიც იცის, რომ ბრახის ან წყენის ნებისმიერი გამჟღავნება, ანდა კაცის ძალაუფლების ანგარიშგაუნეველობა ძალადობას გამოიწვევს. ქალი მალე სწავლობს, თუ როგორ უპასუხოს თავისი მბრძანებლის ჭირვეულობას, მოთხოვნებსა და სურვილებს. სახელმძღვანელოებში, რომლებიც შექმნილია მძევლად აყვანის საშიშროების წინაშე მდგომი ადამიანებისათვის (მდიდარი ბიზნესმენებისა ან საერთაშორისო ლიდერებისათვის), მრავალი ქალური სვლა ისწავლება: უნდა იყო კარგი მსმენელი, გაიგო მოძალადის გრძნობები და სურვილები, იყო მაქსიმალურად თვინიერი. გამოხსნილ მძევლებს ასეთი ქცევისათვის

გმირებად აცხადებენ. ხელყოფილ ქალებს კი იმავესთვის მკაცრად აკრიტიკებენ.

ეს თეორია გვიჩვენებს, თუ რაგვარი ფსიქოლოგიური გავლენა აქვს იმას, როცა შენი სიცოცხლე მთლიანად ვილაცის ხელშია. ეს შეიძლება დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ რატომ იცავენ ზოგჯერ ნაცემი ქალები მამაკაცებს, რომლებიც მათ სცემენ. საგულისხმოა



ერთი დიდი განსხვავება, რაც ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მძევლებს შორისაა — ეს არის შველა, რომელსაც მძევლები იღებენ თავის დასახსნელად და დახმარება გამოხსნის შემდეგ. ხელყოფილ ქალთა დახსნაზე არავინ იტყვიებს თავს. გადარჩენაზე თვითონ უნდა იზრუნონ. ვთქვათ, გაერიდა მოძალადეს, ვინ უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას? როცა მოძალადეს მოეგუნებება, ისევ შეუძლია

„მძევლად“ აიყვანოს ქალი (განა შეიძლება ქალები საკუთარ მოძალადეებს იცავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათგან უზომოდ არიან დაშინებულნი?)

უპირველეს ყოვლისა, გახსოვდეთ: საზოგადოების დამოკიდებულება გამტაცებლებისადმი ცალსახაა: მათ იჭერენ, ციხეში სვამენ და კანონის მთელი სიმკაცრით სჯიან. ტიპურ მოძალადეს კი – ესეც თუ ბედი არ სწყალობს და მკაცრი მოსამართლე შეხვდა – ყველაზე დიდი, რამდენიმე კვირიანი ფსიქოკონსულტაცია მოუსაჯონ.

ქალების დაცვა ხელყოფისაგან

უკვე მრავალი აქცევს იმას ყურადღებას, თუ რა ღონეს ხმარობენ ქალები ძალადობრივი ურთიერთობების პერიოდში თავის გადასარჩენად. ხელყოფილ ქალთა ქცევის შესწავლამ აჩვენა, თუ რამდენად ეძებენ ისინი დახმარებას საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად. ამ კვლევებმა ცხადყო, რომ ნამდვილი პრობლემა იმაშია, თუ რა სახის დახმარებას სთავაზობენ მათ და არა ამ ქალების პასიურობასა და უმწეობაში.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ძალადობის ზრდასთან ერთად ქალი სულ უფრო მეტად ეძებს დახმარებას. ძალადობა კი კულმინაციას აღწევს, როცა ქალი ცდილობს ურთიერთობის განწყვეტას. ხელყოფილ ქალებს კონტაქტი აქვთ პოლიციასთან, სასამართლოებთან, უბნის რწმუნებულებთან, სასულიერო პირებთან, თერაპევტებთან, ანონიმური ალკოჰოლიკების¹ ჯგუფებსა და ბავშვის დამცავ სააგენტოებთან. მიუხედავად ამისა, ჩანს, დახმარება უმნიშვნელოა. თითქოს ყველაფერი შექმნილია იმისათვის, რომ წინ აღუდგეს ქალის მცდელობას – დაიცვას თავი.

¹ ანონიმური ალკოჰოლიკები (A.A.) არის ალკოჰოლიზმის პრობლემების მქონე ადამიანების არაპროფესიული გაერთიანება. თავდაპირველად ასეთი ჯგუფები გაჩნდა 70-იან წლებში აშშ-ში, შემდგომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც დიდი პოპულარობა მოიპოვა. A.A. ჯგუფების მუშაობა ეფუძნება ურთიერთმხარდაჭერის, ნდობის, დისკუსიისა და გამოცდილების გაზიარების პრინციპებს და დახმარებას სთავაზობს ნებისმიერ ადამიანს ანონიმურობის დაცვით.

ნებისმიერი ჩარევა და მკურნალობა კონკრეტულ მოძალადეზე უნდა იყოს გათვლილი. მკურნალობა ეფექტური იქნება (თუ საერთოდ შეიძლება, რომ იგი ეფექტური იყოს) პირველი ორი ტიპის მოძალადეებთან. რაც შეეხება ბოლო ორს, ისინი არა მხოლოდ საკუთარი ოჯახებისთვის არიან საშიში, არამედ სხვა ადამიანებისთვისაც და მათ ძალიან ფრთხილად უნდა მიუვდგეთ. მასაჩუსეტსში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების ხელმყოფ მამაკაცთა 60% სხვა კრიმინალურ ქცევაშიც შეინიშნებოდა.

აი, კიდევ რა არის შემაშფოთებელი ამ კვლევის მიხედვით: ოჯახური ძალადობა ჯერ კიდევ არ განიხილება როგორც ძალიან სერიოზული პრობლემა. ქალები, რომლებიც სოციოპათებთან² ცხოვრობენ, იმავე დახმარებას იღებენ, რასაც სპორადული ფსიქოპათების³ ოჯახები. საშიში მოძალადისაგან თავის დასაღწევად არაფერი დახმარებაა, თუ პოლიცია მასზე შემაკავებელ ორდერს გამოწერს: ის ხომ მოძალადეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზედამხედველობას ვერ გაუწევს!

1993 წელს ნიუ-იორკში ყველა მოკლულ 18 ქალს მოძალადის შემაკავებელი ორდერი ჰქონდა.

მოძალადის შემაკავებელი ორდერი არაფრისმაქნისია. რაიმე უფრო ეფექტურია შესათავაზებელი ძალადობის მსხვერპლი ქალებ-


² სოციოპათია – ზნეობრივი განუვითარებლობა, რომელსაც პოტენციურად შეიძლება მოჰყვეს სოციალურად საშიში ქცევა.

³ სპორადული ფსიქოპათია – ხანმოკლე ფსიქოტური დარღვევა, როგორც პასუხი ძლიერ სტრესორზე. სიმპტომებია ბოდვა, ჰალუცინაციები, მეტყველების დარღვევა.

ისათვის.

ძალადობის მსხვერლი ქალები კი არ არიან უმწეონი, არამედ – სისტემა.

ვიდრე სისტემა, რომლისაგანაც შევლას ელიან ძალადობის მსხვერპლი ქალები, სერიოზულად არ მოეკიდება საკითხს, რეალურად არ დაეხმარება და არ დაიცავს მათ, ხელყოფილი ქალები და მათი შვილები ერთობ სახიფათო ურთიერთობებში დარჩებიან. ვიმეორებ: შეერთებულ შტატებში მოკლული ქალების 60% მოკლა ქმარმა ან საყვარელმა.



ყალბი მეხსიერების სინდრომი

8

ოლო ოცი წელია, ძალადობის მსხვერპლნი უფრო თავისუფლად აღაპარაკდნენ საკუთარ გამოცდილებაზე. ზოგმა ფარდა ახადა რეპრესირებულ მოგონებებს, ზოგმა მოახერხა ელაპარაკა იმაზე, რაზე ლაპარაკიც ყოველთვის სახიფათოდ მიიჩნეოდა. წინ წამოინია შეურაცხმყოფელთა დასჯის მოთხოვნაც (ახლა ამან აამღერია წყალი).

დღევანდელი დამოკიდებულება იმისადმი, რომ სააშკარაოზე იქნას გამოტანილი ის, რაც დამალული იყო, უკან შემობრუნებას პგავს. ყალბი მეხსიერების სინდრომის თეორია 1990-იან წლებში გადამღერებული ფროიდი. მათი საფუძვლები თითქმის იდენტურია. მსხვერპლი ერთმანეთში ურევს ფანტაზიასა და სინამდვილეს. პირად სარგებლობას დახარბებული თაღლითი პროფესიონალების დახმარებით იგი რწმუნდება საკუთარი მოგონებების სისწორეში. ამის მერე პაციენტი მოხსნის პირს, უნგრევს ადამიანებს ცხოვრებას და ზოგჯერ კონპენსაციასაც ითხოვს.

ყალბი მეხსიერების სინდრომის თეორია აგებულია პატარა ეშმაკურ სიტყვებზე, როგორებიცაა: კონფაბულაცია¹, შეკონინება, ფიქცია და დამახინჯება. ეს ნიშნავს, რომ „მსხვერპლი“ იგონებს ან სერიოზულად ამახინჯებს მოვლენებს, რომლებსაც არასოდეს ჰქო-

¹ კონფაბულაცია – მეხსიერების ჩავარდნების შევსება

ნია ადგილი სინამდვილეში.

მაგრამ მეხსიერების განსაზღვრება ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ასეთია: „საცავი უკვე ნასწავლისა, რომლის აღდგენა შეიძლება გახსენებითა და ცნობით“. ადამიანებს არ შეიძლება ახსოვდეთ ისეთი რამ, რაც არასოდეს მომხდარა. ადამიანს შეიძლება ახსოვდეს მხოლოდ ის, რაც სინამდვილეში მოხდა. ვერც თერაპევტი, ვერც ჰიპნოტიზიორი ვერ შთაგინერგავთ ცრუ ხსოვნას, თუ მოვლენას ადგილი არ ჰქონია (თქვენ შეიძლება გჯეროდეთ, რომ ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ თქვენ არ გემახსოვრებათ ატლანტიკის გადაკვეთა).

დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანები, რომელთაც ტანჯავდა სერიოზული ემოციური და ფიზიკური პრობლემები, ხშირად თერაპევტის დახმარებით იხსენებდნენ ხოლმე ისეთ რამეს, რაც განდევნილი ჰქონდათ ცნობიერებიდან – ბავშვობაში განცდილი სექსუალური ძალადობის ჩათვლით. ცნობიერებიდან რაიმეს განდევნის მიზეზი ისაა, რომ მისი მოგონება მსხვერპლისათვის ერთობ საშიშელი, თავზარდამცემი და სახიფათოა. ცნობიერებაში რეპრესირებული ხსოვნის ამოტანა ხშირად საშიში პროცესია, რომელიც შეიცავს ემოციურ და ფიზიკურ ტკივილს, ღამის კომშარს, შიშებს, ურთიერთობათა მსხვრევას, კანკალს, ოფლიანობას, უძილობას, უმადობას და ა.შ. როგორ ფიქრობთ, ასე იოლია მსგავსი სიმპტომების შეთხზვა?



პოსტტრავმული სტრესის სინდრომი

ეთეორია დაგვეხმარება იმ პიროვნების გრძნობებისა და ქცევის გაგებაში, ვინც დიდხანს იყო ძალადობის ობიექტი. ამ თეორიის მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი აერთიანებს სრულიად განსხვავებული ჯგუფების – ომის ტყვეთა, მძევალთა, ომისაგან დაქანცულ ჯარისკაცთა, ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა, გაუპატიურებულ და ხელყოფილ ქალთა – გამოცდილებას. გარდა ამისა, ამ თეორიის საშუალებით გასაგები ხდება ძალადობის მსხვერპლთა მიმართ სხვა ადამიანთა გულგრილობა.

ადამიანების უმრავლესობას სჯერა, რომ თუ მის მიმართ ვინმე ძალას იხმარს, იგი უფრო ყოჩაღად მოიქცევა. მსხვერპლის გამოცდილებისაგან თავი შორს რომ დაიჭიროს, ბევრი ადამიანი თვით მსხვერპლის ხასიათს განიხილავს პრობლემად და მისი მსხვერპლად გახდომის მიზეზად. ზოგჯერ მსხვერპლს უფრო მკაცრად ეპყრობიან, ვიდრე მოძალადეს. ეს კარგად ჩანს ძალადობის მსხვერპლი ქალების საბრალდებო დასკვნებიდან; ამ ქალებმა მოკლეს მამაკაცები, რომელნიც ნლების მანძილზე ძალადობდნენ მათზე.

ეს ტენდენცია კარგად ჩანს უფრო ფართო სფეროშიც: ებრაელებს აკრიტიკებდნენ გენოციდის დროს პასიურობის, შავკანიან აფრიკელებს – დამონების, აბორიგენებს – პრიმიტიული ბუნების გამო. ამ მოგონილ ხასიათობრივ დარღვევებს უეჭველად მივყავართ გენოციდურ ძალადობამდე, რასაც ვკითხულობთ ჩვენს ის-

ტორიის ნიგნებსა და დილის გაზეთებში.

პოსტტრავმული სტრესის სინდრომის შემცველი ელემენტები შემდეგია:

1. სრული კონტროლის ობიექტად ყოფნა ხანგრძლივი პერიოდის – თვეების, წლების – განმავლობაში.
2. ცვლილებები გრძნობათა კონტროლში: ფიქრი თვითმკვლელობაზე, საკუთარი თავისაკენ მიმართული ფეთქებადი ან ღრმად ჩაფხვებული მრისხანება; უკონტროლო ან პირიქით – სრულიად დახშული სექსუალობა.
3. ცვლილებები ცნობიერებაში: ამნეზია, დისოციაცია, წარსულში ჩაძირვა.
4. ცვლილებები საკუთარი თავის აღქმაში: უსუსურობა, პარალიზებულობა, თვითგანქიქება, დანაშაულის გრძნობა, მარტოსულობა.
5. ცვლილებები მოძალადის აღქმაში, განსაკუთრებით თუ ეს მოძალადე იწვევს სამაგიეროს გადახდის აკვიატებულ სურვილს; მოძალადის განსაკუთრებულობის განცდა, იდეალიზაცია, მადლიერების გრძნობა ან მისი ზებუნებრივი ძალის რწმენა.
6. ცვლილებები სხვებთან დამოკიდებულებაში: იზოლაცია ან გამოცალკევება, ახლო ურთიერთობების დარღვევა, გადარჩენის სურვილი, დაუცველობა.
7. ცვლილებები ღირებულებათა სისტემაში: რწმენის დაკარგვა, სასონარკვეთა.

მოუხედავად იმისა, რომ დიაგნოზი მსხვერპლის სიმპტომებიდან ამოდის, პრობლემის მიზეზად მოძალადის ქცევაა აღიარებული.

ახლა ყველაზე მეტად გვესაჭიროება მაღალი ანაზღაურებისა და პრესტიჟის მქონე პროფესიონალები, რომლებიც ასევე ამომწურავად გამოიკვლევდნენ მოძალადეს. აქ რამდენიმე განსაზღვრებას ვთავაზობთ ამ ბოლმიანი და საშიში ადამიანებისათვის:

ინფანტილი კონტროლმანიაკი,

პარანოიალური ოჯახური მოძალადე,

დომესტოპატი,

უმნეობა-აგრესიულობის სინდრომი,

კონტროლოპოლიკი,

ქალთმოძულე.



გვაქვს აქ პრობლემა თუ არა?

პრობლემა რომ გადაჭრა, საჭიროა, პირველ რიგში, გააცნობიერო ის, დაარქვა ის, რაც არის. სხვა შემთხვევაში, როგორც ძველი ოთხკუთხა სარქველი ვერ მოერგება მრგვალ ხერულს, ისე ვერ მოერგება პრობლემას მისი გადანყვევების გზა. ამავსე თქმა შეიძლება და ქალებზე ძალადობის პრობლემაზეც. 20 წლის წინ ჯერ კიდევ არ არსებობდა გამოკვეთილი პრობლემა „ოჯახური ძალადობა“. ყველამ იცოდა, რომ არსებობს ზოგიერთი უვარგისი, ლოთი მამაკაცი, „თავზეხელაღებული ან აცვენილი“, რომელიც „ჩაგრავს ამის მოსურნე ქალს“. მაგრამ ამერიკული იდეალი მაინც ნიშნავდა, რომ ყველაფერი კარგადაა და რომ ოჯახი არის უსაფრთხო სამოთხე ამ სასტიკ სამყაროში. თავად ქალები ყოველთვის უჩიოდნენ ქმრების ძალმომრეობას, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. კანონიც კი აცხადებდა, რომ ოჯახური საკითხები იურისდიქციის ფარგლებს მიღმა რჩებოდა (არა უშავს, თუ ქალს სცემენ, მთავარია, ძალიან არ დაასახიჩრონ). ასე რომ, სასამართლოებმა გადანყვიტეს ფარდის ჩამოფარება ოჯახის ირგვლივ და ამ პრობლემის გადატანა კერძო სფეროში. სახლი იყო მამაკაცის ციხე-სიმაგრე, წმინდა ადგილი, სადაც იგი მეფობდა.


ქალი და ეკონომიკური დაქვემდებარება

მას მერე, რაც სახლი იქცა ადგილად, რომელსაც მამაკაცი აკონტროლებს, არ არის საკვირველი, რომ მამაკაცს ქალის ადგილი სწორედ სახლში ეგულებოდა. თუ ქალი სამუშაოდ სახლიდან გადის, მამაკაცი იწყებს ეჭვიანობას და, უმრავლეს შემთხვევაში, ქალს მაინც უწევს მთელი ოჯახური მოვალეობების შესრულება. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მას მამაკაცზე ნაკლებს უხდიან.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ხართ ძალადობის მსხვერპლი, გინდათ დატოვოთ სახლი, მაგრამ თქვენ გელით უსახლკარობა და მარტოხელა დედის ბედი. ქალები, რომლებიც გაურბიან ძალადობას, საშინელ ფინანსურ და პრაქტიკულ პრობლემებს აწყდებიან.

ეს სირთულეები ხშირად დაბრკოლებას უქმნის ქალს, ან თუ წავიდა, აიძულებს უკან დაბრუნებას. ეკონომიკური მიზეზებით აიხსნება ის გარემოება, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები ელოდებიან შვილების გაზრდას, რათა მიატოვონ მოძალადე. თოთქმის შეუძლებელია გადაჭარბებით შეაფასო ის სირთულეები, რომელთაც ქალი აწყდება, როდესაც ოჯახის დამოუკიდებლად რჩენას ცდილობს ისეთ მამაკაცურ საზოგადოებაში, როგორც ჩვენია. უაზრობა იქნება იმის თქმა, რომ ქალის მდგომარეობა არ შეიცვალა ბოლო 100 წლის მანძილზე. მაგრამ გამოსწორდა კი იგი? 1960 წელს ოჯახების 24%, რომელთაც ქალი უძღვებოდა, ღარიბი

იყო. 1986 წელს ქვეყნის 10.4 მლნ. ოჯახიდან 16%-ს ქალი უძღვებოდა. მაგრამ მათგან 51% სიღარიბეში ცხოვრობდა. ვანა ჩაითვლება ეს პროგრესად?



ქალთა ადრეული მოძრაობა

მე-19 საუკუნის დასაწყისში ქალთა მოძრაობა პირველი რე-ფორმატორული მოძრაობა იყო, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზულ პრობლემად იღებდა – მას სახელს არქმევდა და ცდილობდა მოგვარებას. აშშ-ში ქალთა მოძრაობის პირველ ფაზაზე სუზან ბ. ანტონი და ელიზაბეტ კეიდი სტანტონი იყვნენ ლიდერები. ისინი ჯერ კიდევ 1830 წელს ცდილობდნენ შეემუშაებინათ კანონები, რომლებიც ქალს ოჯახური ძალადობისაგან დაიცავდნენ. მათ მცდელობას რაიმე წარმატება არ მოჰყოლია. ქალთა ადრეული მოძრაობა ასევე მოითხოვდა მონობის გაუქმებას და ქალებისათვის ხმის უფლების მიცემას. მოუხედავად იმ დიდი წვლილისა, რაც ქალებს შეჰქონდათ მონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, 1837 წელს მონობის მონინააღმდეგე საზოგადოების შეხვედრაზე მათ მაინც არ მისცეს სიტყვა. რასიზმისა და მონობის წინააღმდეგ ბრძოლისას ქალებმა საკუთარი ოჯახური მონობისა და მისი თანმდევი სისასტიკის გაცნობიერება დაიწყეს.

ბევრი ქალი იბრძოდა მონობის გაუქმებისა და შავკანიანთა სრული მოქალაქეობისათვის, მაგრამ მონობის გადაგდება იმდენ მათ მამაკაცებს მოუტანა მეტი სიკეთე. ხმის უფლება ქალებს მხოლოდ 1920 წელს მიეცათ; ეს უფლება შავკანიანმა და თეთრკანიანმა ქალებმა ერთად მოიპოვეს.

ქალებმა დაიწყეს საკუთარი აზრის გამოთქმა, მაგრამ ამის გამო მათ ყოველთვის უტევდნენ. იბრძოდნენ ისინი მონობის გაუქმების,

ხმის უფლებისა თუ უკეთესი სამუშაო პირობებისათვის, საზოგადოებისათვის მაინც დიდ საფრთხედ მიიჩნეოდნენ. მათ აკრიტიკებდნენ ქალურობის დაკარგვისათვის და ამაზონებად ნათლავდნენ. შიშობდნენ, მილიციამ თუ არ გააკონტროლა, გინოკრატოულ¹ საზოგადოებას შექმნიანო. ისინი რალაც „არაბუნებრივი“ არსებანი იყვნენ და მათ ცივილიზაციისათვის ძირის გამოთხრას აბრალებდნენ.


სამწუხაროდ, დაჩაგრულობა უპირობოდ არ გულისხმობს სხვა დაჩაგრულისადმი თანადგომას. მოუხედავად იმისა, რომ შავკანიანი ქალები თავგანწირვით იბრძოდნენ მონობის წინააღმდეგ, ისინი შეგნებულად იყვნენ გამოტოვებული 1838 წლის ქალთა უფლე-



ბების კონვენციის მიერ (გეცნობათ, არა?) შავკანიანი ქალების ბედი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი თეთრკანიანი რეფორმატორი ქალებისათვის, რომ ისინი ამ ისტორიული მოვლენის თანამონაწილეებად გაეხადათ. თავად განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაჩნდა ჩავგრის მომენტი. ეს მოხდა კასტების ჩამოყალიბებით. იერ-

¹ გინოკრატია – ქალთა მმართველობა

არქიულობა გულისხმობს ჩაგრულთა ერთი ჯგუფის მიერ ჩაგრულთა მეორე ჯგუფის შევიწროებას. ქალთა მოძრაობაში ეს იმას ნიშნავდა, რომ თეთრკანიანი ქალები, რომელთაც მეტი ძალაუფლება ჰქონდათ, გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთი ფერადკანიანი დების პრობლემებს. შავკანიანთა ეროვნულ მოძრაობაში არის ამის ანალოგი. რასიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მამაკაცები აგრძელებენ ქალების შეურაცხყოფასა და მათზე ძალადობას, რასაც ამართლებენ რასიზმის არსებობით.



სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობა

მიუხედავად 1868 წელს მიღებული თავისუფლებისა, აფრიკელი ამერიკელები ისევ მოკლებულნი იყვნენ ძირითად უფლებებს, მათთვის არ არსებობდა არც წესიერი განათლება, არც ხმის უფლება, არც ეკონომიკური წინსვლა. ემანსიპაციის მომდევნო საუკუნეში რასობრივი ჩაგვრის ახალი ფორმები ჩამოყალიბდა. სეგრეგაცია სუფევდა ყველგან: დანყებული სკოლიდან და საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან დამთავრებული სასადილოებით. ადგილი ჰქონდა საჯარო ლინჩსა და არათანაბარ შრომით ანაზღაურებას.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აშშ-ში მრავალი ცვლილება მოხდა, განსაკუთრებით ორი მსოფლიო ომის გავლენით. ამან მიგვიყვანა 1950-იანი და 60-იანი წლების პერიოდთან, როდესაც ამერიკელ შავკანიანებს რასიზმთან უფრო ორგანიზებული სახით ბრძოლის საშუალება მიეცათ.

სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობამ მრავალი ადამიანი გააერთიანა, რომლებიც ყოველი ამერიკელის თანასწორობისათვის იბრძოდნენ.

გამოჩნდა ბევრი ძლიერი ლიდერი, რომელიც ამერიკაში შავკანიანთა თანასწორობისათვის იბრძოდა. მარტინ ლუთერ კინგი, რალფ აბერნათი, მალკომ იქსი, მედგარ ევერსი — აი, ზოგიერთი წარმომადგენელი შავკანიან მამაკაცთა იმ დიდი არმიისა, რომელ-

იც შევიდა ისტორიაში თავისი ხალხისათვის თავდადებული ბრძოლის გამო. ნაკლებ ცნობილი არიან ქალები: ფანი ლოუ ჰამერი, როზა პარკსი, მერი ჯეინი, მაკლოდ ბეთუნი, კონსტანს ბეიკერ მოთლი. ეს არის მცირე ნაწილი იმ ქალებისა, რომლებიც მამაკაცთა გვერდით იბრძოდნენ თავიანთი ხალხის გასათავისუფლებლად. მათ შესახებ ცოტა რამ ვიცით, რადგან ისინი ქალები იყვნენ და, ამდენად, ნაკლები შანსი ჰქონდათ გამხდარიყვნენ მოძრაობის გმირები. ამ გასაოცარ ქალებთან ერთად მრავალი სხვა ქალიც – თეთრკანიანი თუ შავკანიანი – ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობაში. ისინი კვლავ და კვლავ რწმუნდებოდნენ, რომ მოძრაობის ლიდერი მამაკაცები მოელოდნენ, ქალები დასჯერდებოდნენ მათთვის დახმარების ტრადიციულ როლს – საქმლის მომზადებას, ყავის მოდულებას, ოფისებისა და თავისუფლების სახლების დასუფთავებას, სისტემასთან მეზრძოლი მამაკაცების შინ „თბილ“ დახვედრას. ისევ და ისევ ქალებმა წამოჭრეს გენდერული უთანასწორობის საკითხი სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობაში. ქალები მოელოდნენ, რომ ეს განსაკუთრებული მამაკაცები, რომლებიც ჩართული იყვნენ თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში, გააცნობიერებდნენ თავიანთი სექსისტური ქმედებების შეცდომებს. მაგრამ ქალები და მათი პრობლემები ისევ უგულებელყოფილი იყო.

შავკანიანთა გათავისუფლებისათვის ბრძოლისას ქალთა გათავისუფლების საკითხი არ იდგა.

ამ იმედგაცრუების გარკვეული კვალი ჩანს SNCC-ის (ძალადობის სანიანააღმდეგო სტუდენტური საკოორდინაციო კომიტეტი) აქტივისტი ქალის ნერილში, რომელშიც იგი მიმართავს თავის მეზრძოლ ძმებს: „მამაკაცთა აღმატებულობის იდეა ფართოდაა გავრცელებული და ღრმა ფესვები აქვს, და ისევე შეურაცხყოფელია

ქალისათვის, როგორც თეთრკანიანთა აღმატებულობა შავკანიანთა მიმართ... SNCC-ში ქალები ხშირად იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორშიც კორპორაციის მიერ დაქირავებული შავკანიანი. უფროსობას სჯერა, რომ მაქსიმუმი გააკეთა... საჭიროა იმის შეგნება, რომ მსგავსად შავკანიანებისა, რომლებიც ძირუღლად განაპირობებდნენ სამხრეთის ეკონომიკას, SNCC-ის მოძრაობას განსაზღვრავენ და მიმართულებას აძლევენ ქალები.“

დღესაც კი შავკანიანთა შორის ლიდერი მამაკაცები ცდილობენ მამაკაცთა ძალადობა ქალების მიმართ გაამართლონ როგორც რასიზმის შედეგი. 10 000 შავკანიანი ქალისადმი თავის მიმართებაში ლუის ფარაკენმა¹ სცადა დაეშოშმინებინა თავისი ნაცემი დები: „ძალაუფლების მქონე თეთრკანიანი მამაკაცი თრგუნავს შავკანიან მამაკაცს, ხოლო თუ შენი მამაკაცი დათრგუნილია, არ უნდა გაგვივირდეს, რომ იმანაც გცემოს.“

თუ რასიზმი რაციონალური გამართლებაა ძალადობისათვის, მაშინ ყველაზე დიდი მოძალადეები შავკანიანი ქალები უნდა იყვნენ. 1968 წელს პატრიცია რობინსონი წერდა თავის „საბრალო შავკანიანი ქალში“:

„უპირველესად, კლასობრივი იერარქია სანყალ შავკანიან ქალს წარმოუდგენია შემდეგნაირად – ძალაუფლების სათავეში თეთრი მამაკაცია, მას მოსდევს თეთრკანიანი ქალი, უფრო ქვემო საფეხურზე შავკანიანი მამაკაცია, ხოლო სულ ქვემოთ შავკანიანი ქალი დგას. რასიზმი, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი რამ, არ შეიძლება გამოდგეს ძალადობის გასამართლებლად“.

¹ ლუის ფარაკენი (1933) – შავკანიანი მუსლიმანი პოლიტიკური მოღვაწე. ცნობილია თავისი რადიკალური შეხედულებებით ისლამურ მოძრაობაში შავკანიანთა სუპერატიზმის (თეთრკანიანებისაგან) და შავკანიანთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ.

ქალთა თანამედროვე მოძრაობა

სამოქალაქო უფლებათა დაცვის მოძრაობაში ჩართული ქალების გამოცდილება დაეხმარა ქალთა თანამედროვე მოძრაობის ჩამოყალიბებას. ეს იყო 60-70-იან წლებში, როდესაც ქალის მიმართ ძალადობის საკითხი სააშკარაოზე გამოვიდა და ქალებმა საჯაროდ დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა ხდება მათ პირად ცხოვრებაში.

პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი ა რ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი

ძალადობის საწინააღმდეგო მოძრაობის პირველი ტალღა მიმართული იყო გაუპატიურებისა და სექსუალური შეურაცხყოფის წინააღმდეგ. შემდგომი ეტებოდა ძალადობას ოჯახში.

თანამედროვე ფემინისტებს სჯეროდათ, რომ ქალების მიმართ ძალადობას პოლიტიკური ახსნა აქვს. მათ პირველებმა გააცნობიერეს, რომ ოჯახური ძალადობა არ არის არც პიროვნული ფსიქოლოგიის, არც მორალური თეოლოგიის საკითხი – ეს ძალაუფლებისა და კონტროლის საკითხია. ეს თუ ასეა, როგორ აღუდგეს ადამიანი წინ ძალაუფლებასა და კონტროლს?

რა შეიძლება ვისწავლოთ ისტორიიდან

ოსტორია, როგორც სკოლაში ვსწავლობთ ჩვენ მას, ბევრ რამეს გვერდს უვლის. ერთ-ერთი ძირითადი, რაც ისტორიის წიგნების უმრავლესობაში გამოტოვებულია ან საშინლად დამახინჯებული, არის ჩაგრული ხალხების ბრძოლა გაბატონებულ უსამართლო სისტემასთან — ვთქვათ, როგორც იყო მონების აჯანყება თეთრი მჩაგვრელების წინააღმდეგ. მონები არ იყვნენ პასიური მსხვერპლნი, როგორც საისტორიო წიგნები გვარწმუნებენ. სინამდვილეში მონები იბრძოდნენ ყველანაირი საშუალებით — დანყებული აფრიკაში დაჭერის აცდენით ან ხომალდებიდან ზვიგენებიან წყალში მონების გადახტომით (მონობას ერჩიათ, დახოცილიყვნენ როგორც თავისუფალი მამაკაცები და ქალები), დამთავრებული სამუშაოს არშესრულებით, თავისუფლებაზე სიმღერებითა და გაქცევით. არსებობს 1600 წლით დათარიღებული დოკუმენტები ადრეული ეპოქის ორგანიზებული აჯანყებების შესახებ, მაგრამ პირველი სერიოზული აჯანყება 1739 წელს მოხდა. 9 სექტემბერს დაახლოებით 20 მონა შეიკრიბა მდინარე სტონოს ნაპირას, ჩარლესტონიდან 20 მილის დაშორებით (სამხრეთი კაროლინა). მათ გადაწვეს პლანტაციები და 20-ზე მეტი თეთრკანიანი მოკლეს, სანამ თეთრკანიან კოლონისტთა ჯგუფი შემოეხვეოდათ და აჯანყებასაც და მათ სიცოცხლესაც ბოლოს მოუღებდა.

მონათმფლობელები დაუნდობელნი იყვნენ. მონა რომ გაიქცეოდა, იწყებოდა მასზე ნადირობა, ხშირად — ძაღლებით. რომ დაი-

ჭერდნენ, მიათრევდნენ პატრონთან. იგი სასტიკად ისჯებოდა (ზოგჯერ სიკვდილითაც), როგორც მაგალითი სხვა მონებისათვის, რომელთაც შეიძლება მსგავსი აზრები გასჩენოდათ.

სამოქალაქო ომის წინანდელ ამერიკაში შტატებს ჰქონდათ კანონები, რომლის თანახმადაც გაქცეული მონები უნდა დაბრუნებულიყვნენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ შტატში, სადაც ისინი გაიქცეოდნენ, უკვე აკრძალული იყო მონობა.

არაფერი არ უნდა ჩადგეს მამაკაცსა და მის საკუთრებას შორის

პირველი ფართომასშტაბიანი ორგანიზებული მცდელობა – დახმარებოდნენ მონებს გაქცევაში – იყო 1830-იანი წლების ბოლოს „მინისქეშა“ რკინიგზის ორგანიზება. რკინიგზა წარმოადგენდა უსაფრთხო სახლების ქსელს, ე. წ. „სადგურებს“, სადაც გაქცეულ მონებს „კონდუქტორები“ ეხმარებოდნენ მგზავრობაში თავისუფალი ჩრდილოეთისა ან კანადისაკენ. 40-დან 100 ათასამდე მონას დაემარნენ ამ გზით გაქცევაში სამოქალაქო ომის წინა წლებში. რკინიგზის ერთ-ერთი ყველაზე მამაცი ლიდერი ქალი ჰარიეტ ტუბმანი იყო. იგი თავად გაექცა მონობას 1850 წელს და მას მერე 300 მონა მერილენდიდან მარტომ გამოიყვანა.

ძალადობის მსხვერპლი ქალების მოძრაობა


1960

-იან წლებში შეგნების ამაღლების ჯგუფებმა დაიწყო გამოვლენა იმისა, თუ რამდენად იყვნენ ქალები ძალადობის მსხვერპლნი. ქალები ეხმარებოდნენ ერთმანეთს, მოეყოლათ ბავშვობაში გადატანილი სექსუალური შეურაცხყოფის, ცემატყეპის, გაუპატიურების საშინელი ისტორიები. ქალთა პირველი მოძრაობა ძალადობის წინააღმდეგ ყურადღებას გაუპატიურების საკითხზე ამახვილებდა. ჩამოყალიბდა დახმარების სატელეფონო სამსახური, კრიზისული ცენტრები, საავადმყოფოებში კი სპეციალური ჯგუფები; შეიცვალა კანონები და დიდი შრომისა და საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად – დამოკიდებულება ც ქალზე ძალადობისადმი.

70-ანი წლების დასაწყისში დაიწყო ძალადობის მსხვერპლი ქალების მოძრაობა; ისევ ქალები ეხმარებოდნენ ქალებს. მიჰყავდათ ისინი საკუთარ სახლებში, აგროვებდნენ ფულს მათთვის უსაფრთხო სახლების დასაქირავებლად. ადრეული პერიოდის მცდელობებმა მოძრაობას ძალა და მიმართულება მიანიჭა.

შეერთებულ შტატებში 70-იანი წლების შუახანებში დაიწყო მოძრაობა — მსგავსი „მინისქვეშა რკინიგზისა“ – რომელიც ეხმარებოდა ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მათ ბავშვებს გაქცევასა და თავისუფლების მოპოვებაში.

პარიეტ ტუბმანის მოძრაობისა არ იყოს, ეს მოძრაობაც ქალებმა ნამოინწყეს, რომლებიც ადრე თვითონ იყვნენ ჩაგრულნი და თვლიდნენ, რომ უნდა დახმარებოდნენ სხვებს გადარჩენაში. „მინისქვეშა რკინიგზის“ მსგავსად, ჩამოყალიბდა უსაფრთხო სახლები, სადაც ქალებსა და ბავშვებს შეეძლოთ დარჩენა და დახმარების მიღება ახალი ცხოვრების დაწყების მცდელობაში.



აფრიკელი მონების მსგავსად, ძალადობის მსხვერპლი ქალებიც ცდილობდნენ გაქცეოდნენ მოძალადეებს. მონების მსგავსად, ქალებმაც თავიანთ ტყავზე იწვნიეს, რომ გაქცევა ერთობ საშიშია. ამ ქალთაგან ბევრი იატაკქვეშეთში უნდა წასულიყო, ზოგჯერ გვარი და სახელიც კი უნდა შეეცვალა, რათა თავი დაეღწია თავისი „უფლის“ შურისძიებისაგან. მონათმფლობელთა მსგავსად, მოძალადეებიც კვალში მიჰყვებიან თავიანთ მსხვერპლს და ხშირად სჯიან თავისუფლების მოპოვების მცდელობისათვის კიდევ უფრო მეტი ძალადობით – ზოგჯერ მოკვლითაც კი.


თითქმის 80% სერიოზული ტრავმის და სიკვდილის შემთხვევებისა ხდება მაშინ, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალები ცდილობენ გაქცევას, ან გაქცევის შემდეგ.

როდესაც ძალადობის მსხვერპლ ქალს კლავენ, შიშის ტალღა უელის ყველა ქალს.

ნიკოლ სიმპსონის მკვლელობის შემდეგ ძალადობის მსხვერპ-
ლი უამრავი ქალი რეკავდა მთელი ქვეყნის მასშტაბით დახმარების

სატელეფონო სამსახურებში და იტყ-
ობინებოდა მამაკაცების მუქარას

შესახებ: „გირჩევნია, ჭკუით
იყო, თორემ შენი ო. ჯ.
ვიქნები.“



უსაფრთხო სახლები, თავშესაფრები და სხვა დახმარება

ბოლო 20 წლის მანძილზე უსაფრთხო სახლების სისტემა გადაიზარდა ოფიციალური თავშესაფრებისა და სხვა სახის დახმარების სისტემებში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი ბავშვებისათვის. დღესდღეობით აშშ-ში 1500-ზე მეტი თავშესაფარია კრიზისულ ცენტრებთან ერთად. მათი საქმიანობა ოჯახური ძალადობის პრობლემისაკენ არის მიმართული. ხელყოფილ ქალებსა და მათ შვილებს შეუძლიათ მოძალადეს გაექცნენ და დაბინავდნენ თავშესაფრებში, რომელთა მდებარეობა გასაიდუმლოებულია. აქ შეუძლიათ მოიფიქრონ, როგორ მოიქცნენ შემდგომში. თავდაპირველად მოხალისეთა მიერ წამოყენებული ყველა ეს პროგრამა არაფორმალური და ძალიან პოლიტიკური ხასიათისა იყო, დროთა განმავლობაში კი ჩამოყალიბდა ორგანიზაციებად, რომლებიც გარკვეულ დახმარებას უწევენ ასეთ ოჯახებს.

ძალადობის მსხვერპლი ქალების პროგრამები, მიუხედავად მწირი ფინანსური რესურსებისა, ბევრი რამის გაკეთებას ახერხებს. აი, მომსახურებისა და დახმარების ზოგიერთი სახე:

უსაფრთხო თავშესაფარი


ძალადობის მსხვერპლი ქალების პროგრამები სთავაზობენ უსაფრთხო დროებით თავშესაფარს იმ ქალებსა და მათ შვილებს, რომლებიც გაურბიან ძალადობას. ეს არის ან ნაქირავები სახლი, ან ბინა, ან მოხალისე ოჯახი, რომელიც შეიკედლებს ქალებს.

მხარდაჭერაზე ორიენტირებული მომსახურება

ყველა პროგრამა ქალებს რაიმე სახის მხარდაჭერას სთავაზობს. ბევრი მათგანი "თვითდახმარების" პროგრამაა, რომელიც იმ რწმენას ეყრდნობა, რომ გარკვეული სახის ინფორმაციისა და დახმარების შემდეგ ძალადობის მსხვერპლ ქალთა უმრავლესობა საკუთარი პრობლემის გადაჭრას შეძლებს. მრავალი პროგრამა მოიცავს განათლებისა და სრულყოფის ჯგუფებს, ზოგიერთი კი უფრო ტრადიციულ კონსულტაციებს ატარებს.

ბავშვებზე ორიენტირებული მომსახურება

ქალების უმრავლესობა თავის ბავშვებთან ერთად გარბის. ხშირ შემთხვევაში ბავშვებიც ძალადობის მსხვერპლნი ან ძალადობის მონმენი არიან, ანდა ცუდად გრძნობენ თავს, რადგან მათ ცხოვრებაში ნგრევა ხდება. ბავშვებზე ორიენტირებული მომსახურება ცდილობს გააგებინოს ბავშვებს, თუ რა ხდება მათ გარშემო და დაეხმაროს პიროვნული თვისებების განვითარებაში, არამოძალადედ ჩამოყალიბებაში.



დახმარების ტელეფონი

დახმარების ტელეფონი ძალადობის მსხვერპლი ქალების დამაკავშირებელია პროგრამებსა და სამსახურებთან. დახმარების ტელეფონების უმრავლესობა 24-საათის განმავლობაში მუშაობს. ჩვეულებრივ, ქალები ინფორმაციის მისაღებად, თავშესაფრის მოსაძებნად, ან, უბრალოდ, სალაპარაკოდ რეკავენ.



ქალები თავიანთი პრობლემების გადასაჭრელად მუდამ ეძებენ დახმარებას.

იურიდიული მომსახურება

მრავალ ძალადობის მსხვერპლ ქალს ესაჭიროება დახმარება მოძალადის შემაკავებელი ორდერის, კრიმინალური გამოძიების, მოძალადის დაკავების, გაყრის, ბავშვის აღიშენების თუ სხვა სახით. ძალადობის მსხვერპლ ქალთა ზოგი პროგრამა ითვალისწინებს საკუთარ



ოურიდოულ მომსახურებასაც, ზოგი კი ქალებს საზოგადოებრივ ოურიდოულ სამსახურებთან აკავშირებს.

საზოგადოების განათლება და ტრენინგი

ძალადობის მსხვერპლ ქალთა პროგრამების უმრავლესობა ცდილობს აწარმოოს საზოგადოებაში საგანმანათლებლო საქმიანობა ოჯახური ძალადობის თაობაზე, მის მიზეზებსა და ეფექტურ დაძლევაზე. განათლება გულისხმობს ექიმებთან, ოურისტებთან, მოსამართლეებთან, პოლიციასთან, ფსიქოთერაპევტებთან, მასწავლებლებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ წევრებთან მუშაობას.

ცვლილებები სისტემაში

ძალადობის მსხვერპლ ქალთა ზოგი ორგანიზაცია უშუალოდ ცდილობს შეცვალოს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათ შვილების მიმართ “სისტემის” სხვადასხვა სტრუქტურის დამოკიდებულება. მაგალითად, ცდილობს, რომ ადგილობრივმა პოლიციამ უფრო ხშირად დააკავოს მოძალადე, როცა ძალადობის მსხვერპლი ქალი შეელას ითხოვს, ან ცდილობს, ოჯახური ძალადობის შესახებ მათ შტატში მოქმედი კანონები შეიცვალოს.



ძალადობის მსხვერპლი ქალები ყოველ წელს 4 მლნ. განაცხადს აკეთებენ ოჯახში ძალადობის შესახებ და კანონისაგან დაცვას მოითხოვენ.

აშშ-ში ყოველ კვირა 50 ათასი ქალი ითხოვს მოძალადის შემაკავებელი ორდერის გამოწერას, რათა მათზე ძალადობა შეწყდეს.

ყოველ წელს 30 ათასი ძალადობის მსხვერპლი ქალი ხვდება საავადმყოფოს გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში, ხოლო 40 ათასი ქალი – ექიმთან მიღებაზე.

ძალადობის მსხვერპლი ქალები ტოვებენ სახლ-კარს და ეძებენ თავშესაფარს. მთავარ ქალაქებში უსახლკარო ოჯახების 35-40% ოჯახური ძალადობისაგან ლტოლვილებს წარმოადგენენ.

ნიუ-იორკის მასშტაბით ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახური ძალადობის გამო თითქმის 10 ათასი ქალი და ბავშვი არის დარჩენილი უსახლკაროდ.

დიდ ქალაქებში ოჯახური ძალადობის დახმარების სატელეფონო სამსახურებს ყოველ კვირა ასობით ადამიანი მიმართავს.

მარტო ნიუ-იორკში ყოველდღე ასეთი 250 ზარია.

განქორწინებათა ერთი მესამედი მოთხოვნილია ქალების მიერ მათზე ფიზიკური უხეშობის გამო. დიახ, ვიცი, რომ ვიმეორებ ამ სტატისტიკას, მაგრამ მე გავიმეორებ მას მანამ, სანამ ის არ შევა სათანადო ადამიანების თავებში.

ძალადობის მსხვერპლი ათი ათასობით ქალი მიდის ექიმებთან, ოურისტებთან, სასულიერო პირებთან, საკონსულტაციო ცენტრებში და ცდილობს გადაჭრას მის ოჯახში ძალადობის პრობლემა. დახმარების მიღების ამ თავგანწირულ მცდელობას, როგორც ვხედავთ, ყოველთვის დადებითი შედეგი არ მოჰყვება. და მიუხედავად ამისა, ძალადობის მსხვერპლი ქალები კვლავ და კვლავ ცდილობენ დაიცვან საკუთარი თავი და შვილები. მაგრამ ყოველ ქალსა და ბავშვს არ შეუძლია მიიღოს მისთვის აუცილებელი თავშესაფარი, არიან ისეთები, ვისაც უკან აბრუნებენ.

ერთმა თავშესაფარმა ნიუ-იორკში განაცხადა, რომ გადატვირთულობის გამო ყოველ კვირა უკან აბრუნებს 100 ქალსა და ბავშვს.

რა ემართებათ ამ ქალებსა და ბავშვებს?

ბედის ირონია მდგომარეობს იმაში, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალთა მოძრაობამ და მათ მიერ ჩამოყალიბებულმა სამსახურებმა, პირველ რიგში, მოძალადე მამაკაცებს შეუნარჩუნეს სიცოცხლე. ქალების მიერ მამაკაცების მკვლელობამ საგრძნობლად იკლო მას მერე, რაც გაიხსნა თავშესაფრები ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. ქალებს პარტნიორის მიტოვება მათთვის ზიანის მიყენების გარეშე უნდათ. ძალადობის მსხვერპლი ქალები დახმარებას სიამოვნებით მიიღებენ, თუ ეს ხელმისაწვდომი იქნა.

რას ვაკეთებთ ამისათვის?

მანუა

ჩვენ ვიცით, ბევრია, ვინც დახმარებას ცდილობს – პოლიცია, მოსამართლეები, ექიმები, კონსულტანტები. მაგრამ არავინაა იმის გამკეთებელი, რაც გასაკეთებელია. ისინი, უბრალოდ, ღია ჭრილობაზე აკეთებენ ნახვევს.

ჩვენ რას ვაკეთებთ? ძირითადად ვთვალთმაქცობთ. რატომ? ნანილობრივ, გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, ჩვენი მითების გამო. საზოგადოებას ბევრი რამ აერთიანებს. ერთ-ერთი მითოლოგიაა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მითი, რომელიც ინარჩუნებს ჩვენს საზოგადოებას, არის მითი ბედნიერი ოჯახისა და უსაფრთხო, მყუდრო კერის შესახებ.

იმისათვის, რომ გადავჭრათ ოჯახური ძალადობის პრობლემა, საჭიროა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სახლები არ არის დაცულობისა და უსაფრთხოების ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორადაც მათ წარმოვადგენთ... და როგორიც გვინდა იყოს. პირიქით, სინამდვილე სრულიად საპირისპიროა. დღევანდელ ამერიკაში არ არსებობს უფრო საშიში ადგილი ქალებისა და ბავშვებისათვის, ვიდრე მათი უსაფრთხო, დაცული სახლია.

ამის შემდეგ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ, რასაც ვაკეთებთ, ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისათვის ტკივილის გარდა არაფრის მომტანია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ

დამხმარეებსა და ორგანიზატორებს სჯერათ სექსისტური თეორიებისა, რომლებიც ადრე განვიხილეთ. თუ თქვენ არ გესმით პრობლემა, მისი გადაჭრის შანსიც არა გაქვთ. არავის სიამოვნებს, რომ ქალებსა და ბავშვებს სცემენ, მაგრამ ჩვენი დახმარების „სისტემა“ სრულიად უსარგებლოა.

„სისტემა“

თეორიულად არსებობს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მათი შვილებისათვის დახმარების სისტემა და კრიმინალური სამართალი. პოლიცია ეხმარება 911-ის გამოძახებას, სასამართლოები იძლევა დაცვის ორდერებს, მთელს ამერიკაში არის ბავშვების დაცვის სისტემა, არის საავადმყოფოები, თერაპევტები, სასულიერო პირები ცდილობენ დაეხმარონ როგორც ფიზიკური, ისე სულიერიჭრილობების მოშუშებაში. აღარაფერს ვამბობთ მეგობრებსა და ნათესავებზე, რომლებიც გვეხმარებიან კრიტიკულ სიტუაციაში. მოდით გავეცნოთ თითოეულ სისტემას და გავიგოთ, თუ რა ხდება ან რა ხდებოდა.

პოლიცია

ყველა დაგვეთანხმება, რომ 4 მლნ. გამოძახება, რომელსაც ყოველწლიურად იღებს პოლიცია ოჯახური სკანდალების დროს, მხოლოდ აისბერგის წვერია. ფიქრობენ, რომ ეს რეალური სურათის მხოლოდ 10%-ა, რადგან ქალების უმრავლესობა არ იძახებს პოლიციას, ან რამდენიმე მცდელობის შემდეგ წყვეტს გამოძახებას.

გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ კანზანსიტიში მოკლული ქალების ოჯახებში პოლიცია ხუთიდან ერთხელ ადრეც იყო ნამყოფი ოჯახური კონფლიქტების დროს.

ცხადია, რომ პოლიციის ჩარევა არ არის ეფექტური, თორემ ამ ქალებს არ მოკლავდნენ.

ზუსტად რას ნიშნავს პოლიციის ჩარევა?

ნიუ-იორკში, სადაც ათასობით გამოძახებაა ოჯახური ძალადობის გამო, დაპატიმრების პროცენტი მხოლოდ შვიდია. როგორ შეიძლება ეს ხდებოდეს იმ ქალაქში, სადაც უამრავ შემთხვევაში, თვითონ პოლიციის ჩვენებით, დამნაშავე დაპატიმრების ღირსია. მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა დაპატიმრებული.

სად არის ნაკლოვანება?

შემთხვევა №1

„ჩემმა ქმარმა მცემა მას მერე, რაც მთვრალი დაბრუნდა შინ პარასკევს საღამოს. ჩემმა რვა წლის შვილმა დაუძახა პოლიციას.

როცა ისინი ნახევარი საათის შემდეგ ჩვენთან შემოვიდნენ, ჩემი ქმარი, რომელიც მანამდე მუშტებით მცემდა და ცხვირი გამოიტეხა, დივანზე იყო მიგდებული, პოლიციელმა ერთი შეხედა და უთხრა: „აბა, შენ იცი, ამაღამ კარგად მოიქეცი“-ო, ჩემთვის არც კი შემოუთავაზებიათ საავადმყოფოში წაყვანა.“

შემთხვევა №2

„ჩემმა ქმარმა სკამს მიმაბა და დატენილი იარაღი მომადო თავთან. ასე ვყავდი მთელი ღამის მანძილზე. მაიძულებდა, გამემოორებინა მისი სიტყვები, თუ არ იტყვი, ტვინს გაგიხერხეთო. მეც ვამბობდი, რომ ის არის ამ სახლში ბატონ-პატრონი და რაც მოესურვება, იმას მიზამს, რომ ჩემი ფასი კაპიცი არაა. მაიძულა ფეხებზე მეკოცნა. მეორე დღეს რომ წავიდა, მე ყვირილი დავინწყე, მეზობლებმა გაიგეს ჩემი ხმა და გამოიძახეს პოლიცია. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ და მითხრეს, რომ ვერაფერს იღონებენ ამჯერად. უნდა წავიდე სასამართლოში და ავიღო მოძალადის შემაკავებელი ორდერი. თუ კიდევ გაიმეორებს ამის შემდეგ ასეთ რამეს, მაშინ დააპატიმრებენ. სასამართლოში მოსამართლემ მკითხა, მაქვს თუ არა თვალსაჩინო ნაკვალევი, მე ვუპასუხე, რომ არა მაქვს, მაგრამ ჩემს ქმარს მთელი ღამე სკამზე ვყავდი დაბმული და მემუქრებოდა იარაღით, რომელიც თავთან მქონდა მიდებული. მოსამართლემ მითხრა, რომ ძალიან წუხს, მაგრამ ამ ფაქტის, როგორც ოჯახური ძალადობის, განსაზღვრა არ შეიძლება.“

შემთხვევა №3

„ჩემი მეგობარი ვაჟის წყალობით ორი კვირა ვინექი საავადმყოფოში შინაგანი დაზიანებებით. იქედან გამოსულმა სასამართლოს მივაკითხე. მაგრამ არავითარი რეაქცია. ის ისევ მირეკავდა და მემუქრებოდა, მოდიოდა ჩემთან სამსახურში, დამდედა და ზოგჯერ

*მაუპატიურებდა კიდევ. ვურეკავდი პოლიციას, მაგრამ, როგორც
ნესი, ჩემი საყვარელი უკვე ნასული იყო, როცა ისინი მოდიოდნენ
და პოლიცია უარს ამბობდა მის მოძებნაზე. მე ვუთხარი კიდევ, სად
უნდა ენახათ, მაგრამ მითხრეს, რომ მათი საქმე არ იყო ჩემი საყ-
ვარლის დევნა.”*

ამ საუკუნის დამდეგამდე ცოლის ცემა ჯერ კიდევ ლეგალური იყო. უახლოეს ნარსულში პოლიციის ოფიციალური პოზიცია იყო მუულღეებს შორის ურთიერთობის მონესრიგება ოჯახური ძალადობის დროს. ყველა ღონე უნდა ეხმარათ, რომ მოძალადე არ დაეკავებინათ. პოლიციის განსაკუთრებული სამსახური მდგომარეობდა შუამავლობასა და ნყვილის დარწმუნებაში, გაეგრძელებინათ ურთიერთობა.

ბოლო წლებში, როცა სასამართლო უფრო გულისხმიერად მოეკიდა ქალთა საშინელი შეურაცხყოფის საქმეებს, პოლიციამაც დაიწყო სტრატეგიების შეცვლა. მაგრამ ძველი ჩვევები ძნელად კვდება. ისეთ ადგილებშიც კი, როგორც ნიუ-იორკია, რომელსაც ძლიერი პოლიცია ჰყავს, ბოლო ათ წელიწადში დამნაშავე მოძალადეთაგან მხოლოდ 7%-ია დაკავებული.

თუ ოჯახური ძალადობა ასეთი დიდი პრობლემაა — და ნამდვილად არის — რატომაა დაკავების პროცენტი ასეთი დაბალი?

მხედველობაში მაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მსხვერპლმა იცის დამნაშავის ადგილ-სამყოფელი!

მაგრამ რა მოხდა, სასამართლო ხომ ყოველთვის ადგილზეა.

სასამართლოები

დალადობის მსხვერპლ ქალებს შეუძლიათ მივიდნენ სასამართლოში და აიღონ მოძალადის შემაკავებელი ორდერი, რომელიც აუკრძალავს მოძალადეს მომავალში მათ შეურაცხყოფას. თუ შეურაცხყოფას გაიმეორებს, კანონით დაისჯება. ეს ყველაფერი კარგად უღერს, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში?

საშუალოდ ნიუ-იორკის სასამართლოები წელიწადში 60 ათასამდე მოძალადის შემაკავებელ ორდერს გასცემენ. სასამართლოების განცხადებით, ყოველ წელს 1900 დაპატიმრება ხორციელდება ამ წესის დარღვევის გამო. მაგრამ ძალადობის მსხვერპლ ქალებს რომ ესაუბრებით, სულ სხვა სურათი გექმნებათ. ათასობით ხელყოფილი ქალი ამის მსგავს ისტორიას ჰყვება:

შემთხვევა №1

„წავედი საოჯახო სასამართლოში და მოძალადის შემაკავებელი ორდერი ავიღე. როცა ჩემმა ქმარმა კიდევ ერთხელ მცემა, დაეურჯა პოლიციას. როცა მოვიდნენ, ვაჩვენე საბუთი. მათ მითხრეს, რომ ვერაფერს იღონებენ, რადგან არ უნახავთ, როგორ მცემა ქმარმა.“

შემთხვევა №2

„წავედი სასამართლოში და მოძალადის შემაკავებელი ორდერი ავიღე. გარკვეული დროის განმავლობაში ჩემმა საყვარელმა თავი მიმანება. ერთ დღეს სამსახურიდან შინისაკენ მომავალს გზაში

დამხვედა, შემათრია ბაღში და მცემა. როდესაც პოლიცია მოვიდა, იგი ჯერ კიდევ იქ იყო. პოლიციას ვუთხარი, რომ მან დაარღვია მოძალადის შემაკავებელი ორდერი. ორდერი გვაჩვენეო, მითხრეს. მაგრამ ის თან არ მქონდა, შინ დამრჩა. მათ მითხრეს, თუ თავის დაცვა გინდა, ორდერი ყველგან თან უნდა ატაროო. შემდეგ ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ. დამტოვეს ქუჩაში მარტო.“

შემთხვევა №3

„მას შემდეგ, რაც ჩემმა ქმარმა გატეხა ჩემი სახლი, მოიპარა ტელევიზორი, სტერეო და ტანსაცმელიც დამიხია, წავედი ისევ სასამართლოში საჩივრულად, რომ მან დაარღვია მოძალადის შემაკავებელი ორდერი. მოსამართლემ დანიშნა დღე, როცა უნდა მოესმინათ ქმრის მხარე, მაგრამ ქმარი არ გამოცხადდა. მოსამართლემ განხილვა სხვა დროს გადაიტანა. მაგრამ ქმარი ისევ არ გამოცხადდა. ორივე შემთხვევაში მე თავი გავითავისუფლე სამსახურიდან. საბოლოოდ, მოსამართლემ დახურა საქმე და მითხრა, რომ სასამართლოში იმ შემთხვევაში მივსულიყავი, თუ მსგავსი რამ განმეორდებოდა.“

1993 წლის პირველ 3 თვეში ნიუ-იორკში მოკლეს თვრამეტი ქალი, რომელთაც დაცვის ორდერი ჰქონდათ.

1992 წელს მასაჩუსეტსში ყოველ 9 დღეში კლავდნენ ერთ ხელყოფილ ქალს, რომელსაც მოძალადის შემაკავებელი ორდერი გააჩნდა.

ძალადობის მსხვერპლი ქალები თვლიან, რომ სასამართლოს ორდერები არ ღირს იმ ქალადის ფასად, რომელზედაც ისინი წერილია.

ბავშვების დაცვა

მ

თელ ქვეყანაში ყოველ შტატს ევალება ბავშვთა დაცვის სისტემის შემუშავება. საჭიროა ამ სისტემაში სხვადასხვა პროფესიონალის დასაქმება. მათ უნდა წარმოაჩინონ შემთხვევა, სადაც ბავშვზე ძალადობისა და უგულბეღყოფის ეჭვი არსებობს. შემდეგ უნდა შემუშავდეს სისტემა, რომელიც გამოიკვლევს და მოუვლის ოჯახებს, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. თუ მიიჩნევენ, რომ ბავშვს საკუთარ ოჯახში საფრთხე ემუქრება, ის შეიძლება გადაიყვანონ ბავშვთა სახლში.

ვინ იმყოფება ბავშვთა სახლებში? ბავშვთა სახლებში მყოფი ბავშვების უმრავლესობა ან ეროვნული უმცირესობიდანაა ან ღარიბი ოჯახებიდან. გამოდის, რომ მხოლოდ ღარიბი ადამიანები ძალადობენ თავიანთ შვილებზე? სულაც არა. მაგრამ ის, თუ როგორ იცავს ფული ადამიანებს საზოგადოების გაკიცხვისაგან, აშკარად ჩანს ბავშვთა დაცვის სისტემაში. განვიხილოთ ლინა სტეინბერგის მეტად გახმაურებული შემთხვევა. ლინა ნიუ-იორკელი მდიდარი ადვოკატის ჯოელ სტეინბერგისა და მისი არაოფიციალური ცოლის ჰედა ნასბაუმის ნაშვილები იყო. რასისა (თეთრკანიანი) და კლასის (მაღალი შემოსავალი) გამო ბავშვთა დაცვის სისტემის ადმინისტრაცია, პოლიცია, სკოლის დირექცია არ ჩაერია და არ წამოიყვანა პატარა ლინა სახლიდან. მამის ხელით ლინას სიკვდილმა გამოავლინა საშინელი ძალადობა, რომლის ობიექტიც ბავშვის დედა ჰედა იყო. ამან მთელ ქვეყანაში გამოიწვია ინტერესი იმ კავშირის მიმართ, რომელიც არსებობს ბავშვებზე ძალადობასა და ქალებზე ძალადობის შორის.

ჯოელ სტეინბერგის ისტორია

ოცო ერთი მდიდარი ოურისტი, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობდა. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მას ჰყავდა საყვარელი – ჰედა ნასბაუმი. და მათ, ასე ვთქვათ, იშვილეს პატარა გოგო ლიზა. მე ვამბობ „ასე ვთქვათ“ იმიტომ, რომ, როგორც შემდგომ გამოირკვა, ჯოელმა ფული მისცა გოგოს ნამდვილ დედას, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი გააშვილა. მაგრამ ოფიციალურად ეს არ მომხდარა.

ჰედა გამომცემლობაში მუშაობდა. იგი კარგად მუშაობდა და ყველა პატივს სცემდა. მას უყვარდა თავისი ქალიშვილი და ჯოელი. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მათი ურთიერთობის ადრეულ პერიოდზე, მაგრამ მოგვიანებით ჯოელი საშინლად აკონტროლებდა და ხელყოფდა ჰედას. დროთა განმავლობაში ჯოელის მხეცური მოპყრობით ქალის სხეული ისე დამახინჯდა, რომ ჰედამ ვეღარ შეძლო მუშაობა და ნარკოტიკებს მიეცანა. იგი ფიქრობდა, რომ ჯოელი ღმერთი იყო და ყველაფრის გაკეთება შეეძლო. ჩვენ ვიცით, რომ ჰედას უნდოდა ჯოელისაგან წასვლა, ერთხელ ნიუ-იორკის ძალადობის მსხვერპლი ქალების დახმარების ტელეფონზეც დარეკა, მაგრამ მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა – თავშესაფარი გადავსებული იყო. ერთხელ ჰედამ თვითმფრინავით შორს გაფრენა გადაწყვიტა, მაგრამ ჯოელმა როგორღაც ჩაშალა ეს გაქცევა. ერთ დღეს ჰედა საავადმყოფოში მივიდა, და მოუხედავად იმისა, რომ ჯოელს საშინელ ტერორში ჰყავდა, საავადმყოფოს მედპერსონალმა ისევე სახლში გაუშვა თავის წარ-

მოსადეგ თეთრკანიან იურისტ ქმართან. თანდათან ყველაფერი უარესდებოდა. სკოლაში შეამჩნიეს, რომ ლიზა აღარ იყო ბედნიერი პატარა გოგო, ჭუჭყიანი და ტანსაცმელდახეული დადიოდა. მასწავლებლებმა დარეკეს ბავშვთა დაცვის განყოფილებაში. მათ გამოიკვლიეს მდგომარეობა, მაგრამ არაფერი შეიცვალა. პოლიციამაც მიაკითხა სტენიბერგების სახლს, მაგრამ ჯოელმა ისინი არ შეუშვა. მათ არაფერი გააკეთეს მიუხედავად იმისა, რომ ბინა ვირთხების სოროს ჰგავდა და კუთხეში მოკუნტული და დასახირებული ჰედაც შენიშნეს.

რაღაც ხანს ასე გაგრძელდა. ცემის შედეგად ჰედას ცნობა შეუძლებელი იყო. ჯოელის მიერ ლიზას ხელყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ბავშვი ცემის შედეგად გარდაიცვალა. 1983 წლის ნოემბრის ერთ საღამოს სასწრაფო დახმარების მანქანა მი-



ადგა მათ ბინას გრინვიჩ ვილიჯში, როდესაც ლიზა საავადმყოფოში მიიყვანეს, მისი ტვინი უკვე აღარ მუშაობდა. იგი დაიღუპა, რადგან ჯოელი ხშირად ცემდა. პოლიციამ დააკავა ჰედაც და ჯოელიც. ლიზას სიკვდილის გამო ორივეს გასამართლება უნდოდათ.

ჰედა ომიდან ახლადდაბრუნებულს ჰგავდა. მთელი სხეული დაღურჯებული, დასერილი, დამტვრეული ჰქონდა. ძველ ჭრილობაზე განგრენა დასწყობდა, მრავალგზის ჩამტვრეული ცხვირი სრულიად გაბრტყელებოდა, ყურები დეფორმირებული ჰქონდა. ჯოელის

თქმით, იგი ცოლს იმიტომ სცემდა, რომ ბავშვი დაეცვა. კიდეც ბევრი რამ თქვა იმის ასახსნელად, თუ რა მოხდა მის სახლში. საბოლოოდ, იგი გაასამართლეს და დაადანაშაულეს ლიზას სიკვდილში. ჰედას არაფერი მიუსაჯეს, რადგან იგი დათანხმდა ჩვენება მიეცა ჯოელის წინააღმდეგ. ჯოელი ციხეში წავიდა, მაგრამ წუ გაგიკვირდებათ, თუ რამდენიმე წელიწადში გარეთ აღმოჩნდა.

აი, კიდეც ერთი ისტორია, თუ როგორ ეხმარება ბავშვთა დაცვის სისტემა ხელყოფილ ქალებს.

„ქმარი რამდენიმე წლის მანძილზე მცემდა. ბავშვი რომ გვეყოლა, ძლადობა არ შეწყვეტილა. გადაწყვიტე, მეტი აღარ ამეტანა: ნავედი სასამართლოში და მოვიპოვე მოძალადის შემაკავებელი ორდერი და აღიმენტი ქალიშვილისათვის. პროცესის მსვლელობისას მომთხოვეს ჩემს სახელზე გაფორმებული ბავშვის პოლისი – მინდოდა, ჩემს ქალიშვილზეც გავრცელებულიყო მოძალადის შემაკავებელი ორდერი. ამის ნიადაგზე იფიქრეს, რომ, ალბათ, ქმარი ბავშვსაც სცემდა და რომ მე არ ვიყავი კარგი დედა. მიუხედავად გამოძიებისა, მათ მაინც მისცეს ჩემს ქმარს მონმის გარეშე ბავშვის ნახვის უფლება. თუმცა ვეხვეწებოდი, ეს არ გაეკეთებინათ. ვეუბნებოდი, არავინ იცის, რას ჩაიდენს-მეთქი. მაგრამ არ მომისმინეს. ერთ დღეს, როცა იგი ბავშვის ნასაყვანად მოვიდა, მცემა, ბინიდან გამაგდო და კარი შიგნიდან ჩაკეტა. როცა ფეხზე ადგომა შევძელი, მეზობელთან შევედი და პოლიციას დავურგე. პოლიციის მოსვლას ორი საათი დასჭირდა. ჭკუაზე არ ვიყავი. რომ მოვიდნენ, ხელი არ გაუნძრევიათ, რადგან მოძალადის შემაკავებელი ორდერი თან არ მქონდა. ბოლოს, ბავშვის კვილი რომ გაიგონეს, იკადრეს კარის გატეხა. ჩემს ქმარს ბავშვი სკამზე ჰყავდა დაბმული და მღოლარეს ასხამდა.

პოლიციამ გამოიძახა ბავშვთა დაცვის ხალხი და, აბა, თუ მიხვდებით, რა ქნეს მათ? დამემუქრნენ, რომ ჩემს შვილს წაიყვანდნენ და მოათავსებდნენ ბავშვთა სახლში, რადგან მე „ვერ შევძელი მისი დაცვა“ ჩემი მოძალადე ქმრისაგან. მათ მითხრეს, რომ მე უნდა ვიმჯურნალო და ვისწავლო, როგორ გაეხდე უკეთესი დედა. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ სრულიად არაფერი უთქვამთ ჩემი ქმრისათვის, სრულიად არაფერი.



რელიგიური ორგანიზაციები

ოქიდან გამომდინარე, რაც ამ წიგნის დასაწყისში წაიკითხეთ, ალბათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რას ეტყვიან ძალადობის მსხვერპლ ქალებს რელიგიური ორგანიზაციები. მართალია, ისინი ამალდნენ იმ დონემდე, რომ აღარ ურჩევენ მამაკაცებს ცოლების ცემას, მაგრამ ოჯახის დანგრევას მაინც ეწინააღმდეგებიან. არც ის მოსწონთ, როდესაც ქალები დიდად ადანაშაულებენ თავიანთ მამაკაცებს.

უმრავლეს შემთხვევაში ოფიციალური რელიგიის წარმომადგენლები ორ რამეს იცავენ: უპირველეს ყოვლისა, რომ კაცი არის ქალის მეუღლე და რომ ისინი სიკვდილამდე ერთად უნდა იყვნენ. თუ ქალს შვება სჭირდება, ღმერთს უნდა ევედროს, რომ მისი ქმარი უკეთესი გახადოს. მეორე, რასაც ისინი აკეთებენ, ის არის, რომ იბარებენ ქმარს ან წყვილს რჩევის მისაცემად. როგორც წესი, ისინი მოძღვრებენ მამაკაცს, რომ მისი მოვალეობა დაიცვას და ააყვავოს თავისი ოჯახი და არა შეურაცხყოს იგი. მათ შეიძლება შესთავაზონ ქალს, რომ იგი ცოტა სხვაგვარად მოიქცეს, გაბრაზებისა და გაღიზიანების ნაკლები საბაბი მისცეს ქმარს. ყველა რიგდება, მოძალადე პირობას იძლევა, რომ აღარასდროს სცემს ცოლს, და ყველა კარგ ხასიათზე დგება. ამის შემდეგ იგი ან უღმერთოდ სცემს ცოლს, რომელმაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა სამღვდულოების წინაშე, ან – გააჩნია წუთიერ განწყობას – იძლევა პირობას, რომ გამოსწორდება. ეს, როგორც წესი, გრძელდება ერთი დღე, ერთი კვირა ან ერთი თვე.

კონსულტაცია — თერაპია

ღახმარების გამწევი ადამიანი ცდილობს გაიგოს – რატომ არის ხელყოფილი ქალი იმ მდგომარეობაში, რომელშიც არის. არის თუ არა მის წარსულში ისეთ რამ, რაც ამას ახსნის? აქვს თუ არა ქალისათვის ძალადობას რაიმე ისეთი მნიშვნელობა, რაც გამოსააშკარავებელია. როგორც ეს ხშირად ხდება, ფაქტს, რომ ქალი ძალადობის მსხვერპლია, სათანადო ყურადღება არ ექცევა. მრავალი ქალი მკურნალობს დეპრესიისა ან შფოთვისაგან, აზრად კი არავის მოსდის, იკითხოს – იქნებ ძალადობის მსხვერპლია... ხომ ცნობილია, რომ ქალების 25%, რომელიც თავის მოკვლას ცდილობდა, ძალადობის მსხვერპლი იყო.



ხელყოფილი ქალები მიდიან საავადმყოფოში

სხლა უკვე ვიცით, რომ წელიწადში დაახლოებით 4 მლნ. ძალადობის მსხვერპლი ქალი ჩივის პოლიციაში. თქვენ ალბათ ისიც არ გავიწყდებათ, რომ საავადმყოფოს გადაუღებელი დახმარების ოთახებში მყოფი ქალების 35% ძალადობის მსხვერპლია. რაც თქვენ არ იცით, ის არის, რომ 25 ასეთი ქალიდან მხოლოდ ერთია მიჩნეული ძალადობის მსხვერპლად. მეტსაც გეტყვით, მშობიარე პაციენტების 37% ძალადობის მსხვერპლია.

**მრავალი თანდაყოლილი ტრავმა ძალადობის
შედეგია.**

ზოგჯერ ბავშვი მუცელშიც კი კვდება.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავარმა ქირურგმაც კი აღიარა, რომ ოჯახური ძალადობა ერთ-ერთი სერიოზული საშიშროებაა ქვეყნის ქალთა ჯანმრთელობისათვის... რაც ყველაზე საკვირველია, საავადმყოფოებში არავინ იწუხებს თავს, ქალს ჰკითხოს, აქ ოჯახური ძალადობის შედეგად ხომ არ მოხვდა. ან თუ ეკითხებიან, ხშირად სწორედ იმ მამაკაცის წინაშე, რომელმაც ეს-ეს არის, ქალი შეურაცხყო. რა შეიძლება თქვას ქალმა თავისი მოძალადის თანდასწრებით? საავადმყოფოებში ბოლოს და ბოლოს დაინყეს იმის გაცნობიერება, რომ ბევრი მათი პაციენტი, იმისდა

მიუხედავად, გადაუდებელი დახმარების ოთახში არის მოთავსებული, ფსიქიატრიულსა თუ სამშობიაროში, იქ იმყოფება ოჯახში ძალადობის გამო.

საავადმყოფოებში მხოლოდ ახლა იწყებენ თანამშრომლების მომზადებას და გარკვეული პროცედურების შემუშავებას იმ ქალებისათვის, რომლებიც პარტნიორების ძალადობის მსხვერპლი არიან. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ძალადობის მსხვერპლი ქალების უმრავლესობა საბოლოოდ მაინც ახერხებს გათავისუფლებას. მაგრამ ისინი ამას აღწევენ სისტემის დაუხმარებლად და არა – პირიქით.



დასკვნა

ძალადობის მსხვერპლი ქალების მოძრაობამ ბევრი საკვირველი და გმირული საქმე გააკეთა, რაც დაეხმარა ასობით და ათასობით ქალსა და ბავშვს გათავისუფლებულიყო მოძალადე ოჯახებიდან. ამ მოძრაობამ მიაღწია იმას, რომ აღარ დაისვას კითხვები: რატომ ცემენ ქალს? რატომ რჩება ქალი მოძალადესთან? ახლა კითხვა ასე ისმის: რატომ ძალადობს მამაკაცი ქალზე? რატომ აძლევენ მას ამის გაგრძელების უფლებას?

ძალადობის მსხვერპლი ქალების მოძრაობამ გამოავლინა, რომ ამბზე პასუხი სოციალურ პირობებშია, რაც უბიძგებს, ხელს უწყობს და ეხმარება ძალადობრივი ურთიერთობების შენარჩუნებას.

მოძალადეებმა და საზოგადოებამ პასუხისმგებლობა უნდა აიღონ ოჯახური ძალადობის შეწყვეტაზე.

კითხვები და პასუხები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ქალს შეეხებოდა. ქალი ითვლებოდა პრობლემად, მამაკაცის ძალადობის მიზეზად. აქედან გამომდინარე, ქალი უნდა შეცვლილიყო, რათა პრობლემა მოგვარებულიყო. ამ მიდგომამ მახეში გააბა ძალადობის მსხვერპლი მრავალი ქალი, რომელმაც პრობლემის მოწესრიგება თავის თავზე აიღო; დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ, რასაც არ ეცადნენ ეს ქალები, არაფერმა გამოიღო ნაცოფი.

ძალადობა არ არის პრობლე-
მა, რომელიც მსხვერპლმა
შეიძლება გამოასწოროს.

ძალადობა ის პრობლემაა,
რომელიც მხოლოდ მოძალ-
ადემ შეიძლება გამოას-
წოროს...

ან საზოგადოებამ იმუშაოს იმ
მიმართულებით, რომ დაიცვას
მსხვერპლი.

თუ ჩვენ შევხედავთ პრობლემას სხვაგვარად, ანუ გონივრულად,
როგორც ამას ვაკეთებთ სხვა დანაშაულთა მიმართ, მაგალითად –
როგორ ვაჩერებთ დამნაშავეს? არ არის საჭირო, იყო დიდი მეც-
ნიერი, რომ ეს გაიგო...

თუ 4 მლნ. ქალი არის ძალადობის მსხვერპლი, ეს იმას ნიშნავს,
რომ არის 4 მლნ. მამაკაცი, რომელიც ძალადობს მათზე. მაინც რა
გვინდა?

ჩავამწყვდიოთ ციხეში ეს 4 მლნ. მამაკაცი... 4 მლნ დამნა-
შავე?

ვუმკურნალოთ?

მართვის უფლება ჩამოვართვათ?

იქნებ გვიჯობს, მოვექცეთ როგორც დამნაშავეებს, რაც სინამდვილეში არიან კიდევ?

თუ გვინდა, ჩვენი უმოქმედობისა და სიმხდალის საზღაური მივიღოთ?

90% მცირეწლოვანი დამნაშავეებისა, რომლებიც მკვლელობისათვის იყვნენ გასამართლებული, ციხეში იმის გამო მოხვდნენ, რომ მოკლეს დედაზე მოძალადეები.

ორსული არასრულწლოვანების 65% ინცესტის მსხვერპლია.

უგულებელყოფა ან ძალადობა ბავშვობაში 53 %-ით ზრდის არასრულწლოვანთა შორის დანაშაულთა რიცხვს.

ნარკომანი ქალების 85% ბავშვობაში სექსუალური ან ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

უსახლკარო ოჯახების 40% ოჯახურ ძალადობას გამოექცა. ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს.

თუ კვლავაც მამაკაცურ პრივილეგიას ვაღიარებთ,



მოგვიწევს ვზლოთ ძალადობის მსხვერპლი ქალებითა და დასახიჩრებული ბავშვებით. იმ შემთხვევაში კი, თუ ყურადღებას მსხვერპლთა დაცვასა და მოძალადეთა პასუხისმგებზე გადავიტანთ, ძალადობას შევჩერებთ. ეს უბრალო კონპეტეცია აღარ იქნება – მოძალადეს აღარ ექნება ასპარეზი ხელახალი ძალადობისათვის. იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეიცვალოს აზრი ოჯახურ ძალადობასა და ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე, საჭიროა მუშაობა და მოთმინება. მამაკაცის უპირატესობისა და ქალის არასრულყოფილების ცნებები ძალიან ღრმად არის გამჯდარი იმისათვის, რომ ადვილად შეიცვალოს. მაგრამ ცვლილებები მაინც დაიწყო და ასეც გაგრძელდება. ერთ მშვენიერ დღეს ურთიერთობა აღარ დაეფუძნება ერთი ადამიანის ძალაუფლებას მეორეზე. ის იქნება დაფუძნებული ნდობაზე, ურთიერთაპატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე. კომუნიკაცია და განაწილებული ძალაუფლება ნორმა იქნება. ძალადობრივი ურთიერთობის მსხვერპლი მიხვდება, რომ დამნაშავე არ არის და არც სიტუაციის გამოსწორება შეუძლია. შესაბამისი სამსახურები და მოძალადისაგან დაცვა ადვილად მიღწევადი იქნება. შეუფერხებლად მოხდება ჩარევა ძალადობის შესაჩერებლად. ქალი და ბავშვები კი არ გაექცევიან მოძალადეს, არამედ მოძალადე იქნება იზოლირებული, ხოლო მისი პარტნიორი – დაზღვეული ძალადობისაგან; მოძალადეს გამოსწორების საშუალება ექნება.

იმედი უნდა გვექონდეს, რომ ვიცხოვრებთ მშვიდობიან ოჯახებში. მოდით, ყველამ მსგავსი ოჯახი შევქმნათ.

დამატება წიგნის ბოლოს

ბარ თუ არა მოძალადე? ხარ თუ არა ძალადობის მსხვერპლი? აქვს თუ არა შენს ურთიერთობას ძალადობის ნიშნები? ყველა მკითხველმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ძალადობრივი ქცევების სია. წაიკითხე, იფიქრე, მიეცე შენს დას, მეგობრებს, საყვარელს, ძმას, მამას.

გახსოვდეს, ძალადობრივი ურთიერთობები იწყება ისევე, როგორც არაძალადობრივი. იყავი მზად, ისწავლე ძალადობის მომასწავებელი ნიშნების გამოცნობა, ნუ მოიტყუებ და, რაც მთავარია, ნუ დაიდანაშაულებ თავს.

თუ ძალადობის მსხვერპლი ხარ, ეს შენი ბრალი არ არის.

მაგრამ შენი ვალია დაიცვა თავი.

ძალადობრივი ურთიერთობები ყოველთვის თანდათანობით ფუჭდება და არ უმჯობესდება.

ნუ დააყოვნებ დახმარების თხოვნას; რაც უფრო სწრაფად გააკეთებ ამას, მით უკეთესია.

დაიცავი შენი თავი ახლა!

თუ შენ მოძალადე ხარ ან ფიქრობ, რომ შეიძლება გახდე ასეთი, გაჩერდი და მიიღე დახმარება ახლავე. ნუ გადადებ, რადგან ეს

პრობლემა თავისით არ გაქრება, თუ შენ თვითონ რამეს არ იღონებ. შენ შეიძლება დაანგრეო საკუთარი ცხოვრება და მიაყენო ტკივილი ადამიანებს, რომლებიც ყველაზე ძვირფასია შენთვის. თუ ისეთ ოჯახში გაიზარდე, სადაც იყო ძალადობა და შეურაცხყოფა, ნუ დაკარგავ იმედს და; რაც მთავარია; ნუ გადაულოცავ ტკივილს შენს შვილებსა და საყვარელ ადამიანებს. არიან ადამიანები, რომელთაც შეიძლება გული გაუხსნა, არიან ადამიანები, რომლებიც შეიძლება დაგეხმარონ, და არის ბევრი ისეთი რამ, რამაც შეიძლება განგ-კურნოს. არ არის აუცილებელი, რომ მოძალადე გახდე, არჩევანი შენი გასაკეთებელია. უპირველეს ყოვლისა, გულახდილი უნდა იყო საკუთარ თავთან.

ვარ მე მოძალადე? ვარ მე ძალადობის მსხვერპლი? ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალი მოგეხმარებათ ამის გაგებაში. მოძალადეებს გარკვეული სახის ქცევები ახასიათებთ — შეუდარე შენს ქცევებსა და ურთიერთობებს.

ძალადობრივ ქცევათა სია:

1. ეჭვიანი და მესაკუთრული დამოკიდებულება. ხშირად გამეორება: „უშენოდ ცხოვრება არ შემძლია. თავს მოვიკლავ, თუ დამტოვებ. როცა მეგობრებთან საუბრობ, ცუდ ხასიათზე ვდგები. მინდა სულ შენთან ვიყო“.
2. ნაზი და ტკბილი დამოკიდებულების უეცარი შეცვლა გაღიზიანებით, სიბრაზით ან აგრესიით. ხშირად ასეთი ამოფრქვევა ბოდიშებით, ყვავილებითა და დაპირებებით მთავრდება.
3. ნივთების მტვრევა, განსაკუთრებით ისეთის, რომელიც მნიშვნელოვანია ან საჭიროა თქვენთვის.
4. დამუქრებები. „თუ არ გაჩერდები, მე გაგაჩერებ“, ან „დროზე თუ არ დაბრუნდები, ველარასოდეს გახვალ სახლიდან“, „ჯობს, ფრთხილად იყო, როცა სახლში დავბრუნდები“.
5. შეურაცხყოფა ან დამცირება, განსაკუთრებით სხვების თანდასწრებით.
6. იარაღით დამუქრება.
7. მუქარა შვილების, მშობლების ან მეგობრების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე ვარაუდობს, რომ მათ ყველაფერი იციან.
8. ნათესაების ან მეგობრების ნახვის აკრძალვა.
9. ფულის უაზროდ ფლანგვა (სასმელზე, აზარტულ თამაშებსა და

ნარკოტიკებზე) იმ დროს, როდესაც ეს ფული აუცილებელია ოჯახის სარჩენად.

10. იმის თქმა, რომ: „ყველა პრობლემა შენი პრობლემაა“.
11. სახლში არ შეშვება ან ჩაკეტვა სახლში, ოთახსა ან მანქანაში, მანქანის გასაღების ან საფულის გადაგდება.
12. გარტყმა, მუშტის დარტყმა, ჩქმეტა, სილის განვნა, მოქაჩვა, დაბმა, ხელის კვრა, ნიხლქვეშ გაგდება, სექსის დაძალება, დაჭრა, დაკანკრა, რაიმე საგნით ტკივილის მიყენება.

თუ ზემოთ აღწერილი რომელიმე შემთხვევა გეცნოთ, იცოდეთ, რომ ოჯახში პრობლემები გაქვთ.

თუ აღწერილი შემთხვევებიდან რამდენიმესთან გაქვთ საქმე თუნდაც იშვიათად, იცოდეთ, რომ თქვენს ოჯახში სერიოზული პრობლემებია.

და თუ 12-ვე ხდება, ეძებთ დახმარება და თავს უშველეთ! ბავშვები თუ გყავთ, თან ნაიყვანეთ, ნადით მეგობრებთან, დედასთან, საავადმყოფოში, პოლიციაში, ეკლესიაში — იქ, სადაც დაცული იქნებით. მზად იყავით მანქანით (ავტობუსით) მატარებლით გასაქცევად. დამალეთ მანქანის გასაღები ისეთ ადგილას, სადაც მას ვერავინ იპოვის. ყოველთვის გქონდეთ გადადებული ფული. თუ დაცვის ორდერი ან რაიმე სხვა იურიდიული დოკუმენტი გაქვთ, თან იქონიეთ. უთხარით რაც შეიძლება მეტ ადამიანს, რა ხდება თქვენს თავს — ნუ დამალავთ, რადგან ძალადობა ჰყვავის მაშინ, როდესაც ის დაფარულია.

თუ მიდიხართ ან ემუქრებით, რომ ტოვებთ და მოძალადე გა-

ძლევთ პირობას, რომ აღარასოდეს ჩაიდენს იმავეს, თუ „დაბრუნდებით და შეურიგდებით“ და „ეყოფა ძალა, გამოსწორდეს“, ნუ დაუჯერებთ მას. ეს მახეა. თუ მას ნამდვილად უნდა გამოსწორება, ის ამას თავისით გააკეთებს, იმიტომ, რომ ასე უნდა და ასე სჯერა, და არა იმიტომ, რომ მას თქვენი უკან დაბრუნება სურს. ეს არის მოძალადეების ჩვეული ტაქტიკა, რომელიც ბევრ მსხვერპლს აბრუნებს მისთვის საშიშ სიტუაციაში.

თუ მოძალადეს დახმარება სურს, სერიოზულად უნდა შეეცადოს დაგიცვათ და მიიღოს მისთვის საჭირო დახმარება. თუ თქვენი მოძალადე ამავდროულად ნარკომანიცაა, რომელიც ცდილობს განიკურნოს, ძალიან კარგი, მაგრამ გახსოვდეთ – ნარკომანია არ ინვეეს ოჯახურ ძალადობას, არამც და არამც. ოჯახში ძალადობას ინვეეს უპირატესობის სურვილი, განცდა, რომ შეიძლება ვიღაცის თავზე ჯოხის გადატეხა. თუ თქვენი მოძალადე ნარკომანიას მკურნალობს, ეს სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ რამე ნაბიჯს დგამს ძალადობის აღმოსაფხვრელად.

გახსოვდეთ, თუ რამდენად ღრმაა ეს პრობლემა. იგი არ ქრება რამდენიმე დღეში, კვირაში, თვეში. თუ თქვენ ერთი წლის მანძილზე მოძალადისაგან ცალკე ცხოვრობთ და ამ ხნის განმავლობაში იგი მკურნალობს და არ ძალადობს თქვენზე, სულ მცირე, ერთი წელი მაინც (გახსოვდეთ: ძალადობა არ არის მხოლოდ ცემა-ტყეპა), მაშინ შეგიძლიათ იფიქროთ უკან დაბრუნებაზე. თუ თქვენ ეს გინდათ.

თუ მოძალადე ხართ ან ფიქრობთ, რომ შეიძლება გახდეთ ასეთი, წაიკითხეთ ზემოთ მოყვანილი სია და ნახეთ, თუ არის მასში თქვენთვის დამახასიათებელი მოქმედება უახლოესი ადამიანების – პარტნიორების, ბავშვების ან მშობლების – მიმართ. იყავით გულწრფელი. მეტად ადვილია მოექცე ვინმეს ისე, როგორც ეს სიაშია

ჩამოთვლილი, მით უმეტეს, თუ მამაკაცი ხართ. ასე რომ, ღირს დაფიქრება.

არ შეიძლება ასე ვინმეს მოექცე, განსაკუთრებით იმას, ვისთანაც დაკავშირებული ხართ ან ვინც თქვენზეა დამოკიდებული. არა აქვს მნიშვნელობა, რას ფიქრობთ ან როგორ შევიწროვებულად გრძნობთ თავს საზოგადოების, ქალის, ოჯახის ან სხვა რამისაგან. არასოდეს არ არის კარგი ვინმეზე ძალადობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონს გაექეცი, ვერ გაექცევიტ საკუთარ თავს, იმ შედეგებს, რაც მოჰყვება თქვენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანების ნამებას.

ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიჯეროთ, რომ ძალადობა ცუდია და რომ ეს თქვენი და მხოლოდ თქვენი პრობლემაა. ამას ვაუკაცობა სჭირდება და თქვენ გეყოფათ ძალა საამისოდ.

– თუ თქვენ პირადად გეხებათ ოჯახური ძალადობა,

– თუ თქვენს გარემოცვაში ოჯახური ძალადობის ფაქტებია,

– თუ კონსულტაცია ან კონკრეტული დახმარება გესაჭიროებათ,

– თუ გაქვთ სურვილი უფრო მეტი გაიგოთ ამ პრობლემების შესახებ,

მიმართეთ შემდეგ სამსახურებსა და ორგანიზაციებს:

სახლი

ქალთა საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრი საერთაშორისო ორგანიზაცია OXFAM-ის ბაზაზე

ტელეფონი თბილისში: 92 34 94



კრიზისული დახმარების ცენტრი

ანონიმური ტელეფონი მოზრდილთათვის
(სადღელამისო)

ტელეფონი თბილისში: 96 05 05

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასო- ციაციის ქალის უფლებების შემსწავლელი ჯგუფი

თბილისი, ერეკლე მეორეს შესახვევი 7.
ტელ. 93 61 01; 98 95 60; 99 50 76

ქუთაისი, მაიაკოვსკის ქუჩა 17.
ტელ. 4 11 92

ბათუმი, გამსახურდიას გამზირი 13.
ტელ. 7 66 68

რუსთავი, კოსტავას გამზირი 22-44.
ტელ. 12 84 37

გორი, სტალინის ქუჩა 29, | სართული.
ტელ. 2 55 44

ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქუჩა 3.
ტელ. 2 45 74





Women's Right Watch, Human Right Watch, Pamela Gomez

ტელ. 22 10 99

ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ქსელი

ქალები, კანონი და განვითარება, საქართველოს
ჯგუფი

ტელ. 899 56 11 83

დაეხმარე საკუთარ თავს

– აფხაზეთიდან დევნილ ქალთათვის

ტელეფონი თბილისში: 23 38 92





დედა

საქველმოქმედო სახლი

ტელეფონი თბილისში: 38 98 75

დედათა ცენტრი

ტელეფონი თბილისში: 39 88 21

მშობიარეთა და ახალშობილთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია

ტელეფონი თბილისში: 39 45 65



ქართულ ენაზე შეგიძლიათ წაიკითხოთ:

ძალადობა ოჯახში და ადამიანის უფლებები.
OXFAM-ის ბროშურა

ავტორები: ქ. გაფრინდაშვილი,
რ. ფხაკაძე,
ი. გაბისონია.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასო-
ციაციის აღმანახი. დეკემბერი, 1998

